



სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის
სახელმწიფო სტრატეგიისა და **2015-2020 წწ.**
სამოქმედო გეგმის შესრულების
დასკვნითი შეფასება



სარჩევი

შესავალი	4
სტრატეგიული მიზანი 1. თანაბარი და სრულფასოვანი მონაწილეობა სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში.....	8
შუალედური მიზანი 1.1. მცირერიცხოვან და მონყვლად ეთნიკურ უმცირესობათა მხარდაჭერა	9
შუალედური მიზანი 1.2 გენდერული მეინსტრიმინგი.....	13
შუალედური მიზანი 1.3 სახელმწიფო ადმინისტრირების, სამართალდამცავი ორგანოებისა და მექანიზმების ხელმისაწვდომობის გაზრდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის	19
შუალედური მიზანი 1.4 ეთნიკურ უმცირესობათა მონაწილეობის ნახალისება პოლიტიკურ გადანაცვებითა და მიღების პროცესში	27
შუალედური მიზანი 1.5 ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებისათვის მასმედიასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება	41
შუალედური მიზანი 1.6 ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის უზრუნველყოფა.....	52
სტრატეგიული მიზანი 2. თანაბარი სოციალური და ეკონომიკური პირობებისა და შესაძლებლობების შექმნა.....	54
შუალედური მიზანი 2.1 სოციალური და რეგიონული მობილობის ხელშეწყობა	54
სტრატეგიული მიზანი 3. ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესება	65
შუალედური მიზანი 3.1: სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის	66
შუალედური მიზანი 3.2 ხარისხიანი ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა როგორც სახელმწიფო, ასევე მშობლიურ ენებზე.....	73

შუალედური მიზანი 3.3 უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა	112
შუალედური მიზანი 3.4 პროფესიული და ზრდასრულთა განათლების უზრუნველყოფა	120
სტრატეგიული მიზანი 4 - ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის შენარჩუნება და ტოლერანტული გარემოს წახალისება	127
შუალედური მიზანი 4.1 კულტურის პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში ეთნიკური უმცირესობების როლისა და მნიშვნელობის ასახვა	127
შუალედური მიზანი 4.2 ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და პოპულარიზაცია	128
შუალედური მიზანი 4.3 კულტურული მრავალფეროვნების წახალისება	131
რეკომენდაციები	133

შესავალი

ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესისადმი ინსტიტუციურ მიდგომას საფუძველი 2005 წელს ჩაეყარა, როდესაც საქართველომ „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ ევროპულ ჩარჩო კონვენციასთან მიერთებით აიღო ვალდებულება პატივი სცეს ეთნიკურ უმცირესობათა თვითმყოფადობას და შექმნას სათანადო პირობები მათი უფლებების რეალიზაციისათვის.

2009 წელს მომზადდა „შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია და 2009-2014 წლების სამოქმედო გეგმა,“ რომელშიც სახელმწიფოს სამოქალაქო ინტეგრაციის მიდგომა განისაზღვრა. კონცეფციის მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ მომზადდა მისი განხორციელების შეფასების დოკუმენტი, რომელშიც წარმოდგენილი იყო არსებული პრაქტიკა; მიღწეული შედეგები და გამოწვევები; რეკომენდაციები, რაც გათვალისწინებული იყო „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმის“ დოკუმენტში.

2015 წლის 17 აგვისტოს საქართველოს მთავრობის №1740 განკარგულებით დამტკიცდა „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია და 2015-2020 წლების სამოქმედო გეგმა“, რომელიც სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მექანიზმია. იგი ეფუძნება მიდგომას „*მეტი მრავალფეროვნება, მეტი ინტეგრაცია*“. ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნება ქვეყნის სიძლიერისა და დემოკრატიული განვითარების წყარო და წინაპირობაა.

სტრატეგიაში ჩამოყალიბებულია ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის უზრუნველყოფის სტრატეგიული და შუალედური მიზნები და ამოცანები. დოკუმენტი მოამზადა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა, სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის, ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების ფართო ჩართულობით.

სახელმწიფო სტრატეგიის ძირითად მიზნებს წარმოადგენს:

- თანაბარი და სრულფასოვანი მონაწილეობა სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში;
- ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესება;
- თანაბარი სოციალური და ეკონომიკური პირობებისა და შესაძლებლობების შექმნა;
- კულტურული იდენტობის დაცვა და ტოლერანტული გარემოს გაძლიერების ხელშეწყობა.

აღნიშნული სტრატეგია:

- ემყარება წარსულ გამოცდილებას და ნერგავს ახალ მიდგომას მიზნების ეფექტური მიღწევისათვის;

- ითვალისწინებს უფრო მეტ ინტეგრაციას ეთნიკურ უმრავლესობასთან, რამეთუ სამოქალაქო ინტეგრაცია არის პროცესი, რომელშიც ჩართულია მთელი საზოგადოება, მისი თითოეული წევრი;
- განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ეთნიკური უმცირესობებისათვის წვდომის გაუმჯობესებას გადაწყვეტილების მიღების პროცესისა და საზოგადოებრივი სერვისების მიმართ, რაც ასევე გულისხმობს ენობრივი ბარიერის გადალახვას;
- ითვალისწინებს სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლებისთვის შესაბამისი პროგრამებისა და პროექტების ეფექტიან განხორციელებას;
- ითვალისწინებს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მცირე ჯგუფების კულტურის დაცვას;
- მოიცავს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის კომპონენტს;
- პრიორიტეტად ისახავს მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფების, მათ შორის ბოშათა თემის მხარდაჭერას.

2015-2020 წლებში, არაერთი მნიშვნელოვანი პროგრამა და ღონისძიება განხორციელდა, რაც მიმართული იყო საქართველოს თითოეული მოქალაქის, განურჩევლად მისი ეთნიკური წარმომავლობისა, თანასწორი, სრულფასოვანი და ღირსეული მონაწილეობის გაუმჯობესებისკენ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში; მათი კულტურული იდენტობის დაცვისა და ტოლერანტული გარემოს განმტკიცების ხელშეწყობისკენ, რაც წარმოადგენს სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის უმთავრეს პრიორიტეტს.

„სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმის“ დოკუმენტით განისაზღვრა დასახული მიზნებისა და ამოცანების, ღონისძიებების განხორციელების ანგარიშგება, მონიტორინგი და შეფასება, რასაც კოორდინირებას უწევს სახელმწიფო მინისტრის აპარატი.

სახელმწიფო მინისტრის აპარატი, ასევე უძღვებოდა აღნიშნული სტრატეგიის ეფექტიანად განხორციელების მიზნით შექმნილი სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის¹ საქმიანობას. კომისიის შემადგენლობაში შედიან შესაბამისი სახელმწიფო უწყებები, ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. კერძოდ:

- შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო;
- საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო;

¹სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისია 2020 წელს ჩაანაცვლა სამთავრობო კომისიამ განახლებული შემადგენლობით (საქართველოს მთავრობის დადგენილება N122, 2020 წლის 20 თებერვალი, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სამთავრობო კომისიის შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ, <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4803678?publication=0>)

- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;
- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
- საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
- ქვემო ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია;
- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია;
- კახეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია;
- ქ. თბილისის საკრებულო;
- ქ. ბათუმის მერია;
- საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა;
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური;
- საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭო;
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია (ეთხოვა მონაწილეობა);
- საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი (ეთხოვა მონაწილეობა)².

სტრატეგიის განხორციელების პერიოდში გაიმართა კომისიის გაფართოებული სხდომები, გასვლითი შეხვედრები, სამუშაო შეხვედრები ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების, ექსპერტების, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების, თემით დაინტერესებული აქტორების მონაწილეობით. შემუშავდა წინადადებები და რეკომენდაციები. სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის ფარგლებში 2015 წლიდან ჩამოყალიბდა თემატური სამუშაო ჯგუფები, რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ სამთავრობო კომისიის წევრები, ასევე სახალხო დამცველის აპარატისა და მასთან არსებული ეროვნული უმცირესობების საბჭოს, ეთნიკური უმცირესობებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები. კომუნიკაციის/თანამშრომლობის აღნიშნული ფორმატი ხელს უწყობს სხვადასხვა აქტორებს შორის მოსაზრებების გაცვლას, წინადადებების მომზადებასა და განხილვას, საჭიროებების იდენტიფიცირებასა და არსებულ გამოწვევებზე საპასუხო კონკრეტული ქმედებების დაგეგმვას.

სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის განხორციელების დასრულებისთანავე დაგეგმილი იყო შუალედური (სამთავრობო კომისიის ფარგლებში შიდა მოხმარების დოკუმენტი) და საბოლოო შეფასების დოკუმენტების მომზადება. აღნიშნული შეფასებების მიზანია სტრატეგიით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების შესრულების

² 2017 წელს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა საკუთარი გადაწყვეტილებით დატოვა უწყებათაშორისი კომისიის შემადგენლობა

ეფექტურობის შემოწმება წინასწარ შემუშავებული ინდიკატორების გამოყენებით, რომლებიც შედარებითი ანალიზის საშუალებას იძლევა.

წინამდებარე ანგარიში „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმის“ შესრულების საბოლოო შეფასების დოკუმენტია, რომელიც მოიცავს 2015-2020 წლებში სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების შესახებ ინფორმაციას, ანალიზს, შეფასებასა და ახალი სტრატეგიისა და შემდგომი წლების სამოქმედო გეგმის მომზადებისთვის რეკომენდაციებს.

საბოლოო შეფასების დოკუმენტში განხილულია „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიითა და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმით“ განსაზღვრული 4 სტრატეგიული მიმართულების, 15 შუალედური მიზნისა და 28 ამოცანის ფარგლებში განხორციელებული პროგრამების/ღონისძიებების ზეგავლენა სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესზე, მიღწეული შედეგები და პროგრესი, ასევე ის პოზიტიური და ნეგატიური ტენდენციები, რომლებიც სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში შეინიშნებოდა. დოკუმენტში ასევე შეფასებულია სტრატეგიით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების შესრულების ეფექტურობა.

დოკუმენტის მომზადების პროცესში განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა ძირითადი ტენდენციების გამოვლენაზე, რომლის მრავალმხრივი შეფასებაც, ახალი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. განხორციელებული საქმიანობისა და არსებული ტენდენციების შეფასების საფუძველზე დოკუმენტში წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებიც სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში ჩართული ძირითადი აქტორებისათვის თვისობრივად ახალი პოლიტიკის შემუშავების შესაძლებლობას ქმნის. წარმოდგენილი რეკომენდაციები ეფუძნება არა მხოლოდ კვლევის დროს მიღებული ინფორმაციის ანალიზს, არამედ ბოლო წლებში სხვადასხვა ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ კვლევებში წარმოდგენილ დასკვნებს.

შეფასების დოკუმენტი დაეხმარება სახელმწიფო უწყებებს გამოავლინონ სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში არსებული ხარვეზები და პოზიტიური დინამიკა. 2015-2020 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის შეფასებით სახელმწიფო უწყებები ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციისთვის გადადგმული ნაბიჯების კომპლექსური შეფასების შესაძლებლობას მიიღებენ. წარმოდგენილ შეფასების დოკუმენტს დაეფუძნება ახალი სტრატეგიისა და შემდგომი წლების სამოქმედო გეგმის დოკუმენტი.

საბოლოო შეფასების დოკუმენტი მომზადებულია შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა სამოქალაქო ინტეგრაციის სფეროში მომუშავე ექსპერტთა ჯგუფის მიერ. ექსპერტთა ჯგუფის წევრები არიან: გიორგი მშვენიერაძე, შალვა ტაბატაძე, გიორგი სორდია და მამუკა კომახია.

შეფასების პროცესში ექსპერტებმა გამოიყენეს კვლევის სხვადასხვა მეთოდი, მათ შორის ინტერვიუები და სამაგიდო კვლევა. ასევე, დამუშავდა პასუხისმგებელი უწყებებიდან გამოთხოვილი და მიღებული ინფორმაცია. აქტივობების შეფასებისას ექსპერტებმა იხელმძღვანელეს არა მხოლოდ სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი ინდიკატორებით,

არამედ, განხორციელებული ქმედებებით; დამატებით, შეფასებაზე დაფუძნებული ხარისხობრივი ინდიკატორებითაც, სამოქალაქო ინტეგრაციის სხვადასხვა მიმართულებით სახელმწიფო უწყებების მიერ მომზადებული სტატისტიკური მონაცემებით; ასევე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, სახალხო დამცველისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებით. 2020 წელს, COVID-19-ის პანდემიის პრევენციის მიზნით დაწესებული შეზღუდვების გამო ვერ მოხერხდა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ამ მიზნით ფოკუსჯგუფების ორგანიზება.

საბოლოო შეფასების დოკუმენტის მომზადება უზრუნველყო შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა საქართველოს გაეროს ასოციაციის, „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის“ პროგრამის (Promoting Integration, Tolerance and Awareness -PITA) ფარგლებში, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით.

სტრატეგიული მიზანი 1. თანაბარი და სრულფასოვანი მონაწილეობა სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში

აღნიშნული სტრატეგიული მიზანი აერთიანებს მთელ რიგ აქტივობებსა და კონკრეტულ ღონისძიებებს, რომელთა ეფექტიანი განხორციელება გააუმჯობესებს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა სრულფასოვან ჩართულობას ქვეყნის სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში. წინა სამოქმედო გეგმისგან განსხვავებით სახელმწიფო სტრატეგიის მიმდინარე სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლების ფართო სპექტრის ინტერესებს, რაც იმით გამოიხატება, რომ სრულად არის გათვალისწინებული როგორც მრავალრიცხოვანი და კომპაქტური დასახლებების მქონე ეთნიკური ჯგუფების, ისე ყველაზე მცირერიცხოვანი და მოწყვლადი ეთნოსების საჭიროებები. ასევე აღსანიშნავია, რომ სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქტივობები ორიენტირებულია გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებულ ქალთა ჩართულობისა და მონაწილეობის გაძლიერებაზე.

შუალედური მიზნებია:

- 1.1. მცირერიცხოვან და მოწყვლად ეთნიკურ უმცირესობათა მხარდაჭერა;
- 1.2. გენდერული მენისტრიმინგი;
- 1.3. სახელმწიფო ადმინისტრირების, სამართალდამცავი ორგანოებისა და მექანიზმების ხელმისაწვდომობის გაზრდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის;
- 1.4 ეთნიკური უმცირესობათა წარმომადგენლების მონაწილეობის წახალისება პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში;

1.5. ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებისათვის მასმედიასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;

1.6. ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების თაობაზე საზოგადოების ინფორმირებულობის უზრუნველყოფა.

შუალედური მიზანი 1.1. მცირერიცხოვან და მოწყვლად ეთნიკურ უმცირესობათა მხარდაჭერა

ამოცანა 1.1.1. მცირერიცხოვან და მოწყვლად ეთნიკურ უმცირესობათა მიმართ პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მნიშვნელოვანი სიახლეა ისეთი საკითხების გათვალისწინება, როგორცაა მცირერიცხოვან და მოწყვლად ეთნიკურ უმცირესობათა მხარდაჭერა. დოკუმენტით სახელმწიფო ვალდებულებას იღებს, უზრუნველყოს სხვადასხვა მცირერიცხოვანი და მოწყვლადი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა საგანმანათლებლო და სამართლებრივი საჭიროებები, ასევე, სასწავლო დაწესებულებებში დანერგოს ზემოაღნიშნული ეთნიკური ჯგუფების მშობლიური ენების სწავლება.

თავისი არსით, სამოქმედო გეგმის აღნიშნული ამოცანა, პირველ რიგში, სახელმწიფოს მხრიდან ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლების წინაშე არსებული პრობლემების სიღრმისეულ ანალიზს ითვალისწინებს. სახელმწიფოს შემუშავებული აქვს ერთიანი მიდგომა როგორც მრავალრიცხოვანი, ისე მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების მიმართ, რაც მოიაზრებს ერთი მხრივ, მათი კულტურული იდენტობის დაცვასა და მხარდაჭერას, მეორე მხრივ კი, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ჩართულობის უზრუნველყოფას. ამავდროულად, გათვალისწინებულია თითოეული ჯგუფის საჭიროებები.

დაბადების/პირადობის მოწმობების არმქონე ან ხარვეზიანი დოკუმენტების მქონე პირებისათვის დოკუმენტაციის მოწესრიგება რჩება ერთ-ერთ აქტუალურ საკითხად. ამ კუთხით, საქართველოს სოციალურ რეალობაში აღსანიშნავია ბოშათა თემი. მოსახლეობის საყოველთაო აღწერის 2014 წლის მონაცემებით, საქართველოში 604 ბოშა ცხოვრობს, ხოლო ამ თემაზე მომუშავე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და თავად თვითმმართველობების ადგილობრივ ორგანოთა მონაცემების თანახმად, საქართველოში მუდმივად მცხოვრები ბოშა მოსახლეობის რაოდენობა 2300-მდეა.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის წლიური ანგარიშების თანახმად, სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის ფარგლებში მცირერიცხოვან და მოწყვლად ეთნიკურ უმცირესობათა მხარდაჭერის მიზნით შექმნილ სამუშაო ჯგუფში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საქართველოში მცხოვრები ბოშათა თემის მდგომარეობის, მათი პრობლემების, საჭიროებების განხილვასა და გადაჭრის გზების ძიებას.³

ბოშა მოსახლეობის უმრავლესობას აქვს სამოქალაქო რეგისტრაცია, თუმცა 2015 -2020 წლებში შესაბამისი პროცედურების გატარება დაბადების რეგისტრაციასთან, მოქალაქეობასთან და პირადობის დამადასტურებელი მოწმობების გაცემასთან დაკავშირებული საკითხების მოსაგვარებლად გაგრძელდა. საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ „ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრთან“ თანამშრომლობით განახორციელა UNHCR-ის მიერ მხარდაჭერილი პროექტი „მოქალაქეობის არმქონე პირთა შემცირება და მოქალაქეობის არქონის პრევენცია საქართველოში“, რომლის ფარგლებშიც აღნიშნულ პერიოდში სამართლებრივი დახმარება გაეწია ბოშათა თემის 44 დოკუმენტის არმქონე წარმომადგენელს, რომელზეც იუსტიციის სამინისტროს სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ“ გასცა სარეგისტრაციო დოკუმენტები: 8 პირისთვის -დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობა, 9 პირისთვის - საქართველოს მოქალაქეობა (პირადობის მოწმობა), 18 პირისთვის -დაბადების მოწმობა, 8 პირისთვის -მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსი, 1 პირისთვის-საქართველოს მოქალაქეობა, 1 პირისთვის - ბინადრობის მოწმობა.

ოფიციალური დოკუმენტების არარსებობა საქართველოში მცხოვრები, განსაკუთრებით კი ზრდასრული ბოშებისთვის, დღემდე ერთ-ერთ გამოწვევად რჩება,⁴ რაც მათთვის სოციალური თუ სხვა შესაძლებლობების სარგებლობის კუთხით მნიშვნელოვანი ბარიერია. ამავდროულად, ბოშათა ინტეგრაციის პროცესში გარკვეული პოზიტიური ცვლილებებიც შეინიშნება. მაგალითად, ბოშებისთვის უფასოა დაბადების ფაქტის დადგენა, ისინი სულ უფრო ხშირად მიმართავენ სამედიცინო (სამშობიარო) დაწესებულებებს, რაც ახალშობილებისთვის დაბადების მოწმობის გაცემას მნიშვნელოვნად ამარტივებს.

სახელმწიფო უწყებების მიერ წარმოდგენილ 2015-2020 წლების ანგარიშებში ყურადღება გამახვილებულია საქართველოში მცხოვრებ ბოშათა თემის ჩართულობის უზრუნველყოფის ღონისძიებებზე. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ქვეპროგრამის „განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა სოციალური ინკლუზიით“ ფარგლებში განხორციელდა რიგი ღონისძიებები, რომელთა მიზანია იყო ინკლუზიურ პრინციპებზე დაფუძნებული აქტივობებით ბოშების მიმართ

³სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2016 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, გვ. 6.

⁴ბოშების სამართლებრივი მდგომარეობა, ადამიანის უფლებების განვითარების ფონდი, 2017, <http://hrdf.ge/2017/11/08/>

კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა, სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლება, საგანმანათლებლო სივრცეში ბოშათა ჩართულობის ხელშეწყობა.

წლების განმავლობაში, მიმდინარეობს იმ საჯარო სკოლების წახალისება, რომელთა თემშიც ბოშათა ოჯახები ცხოვრობენ. განხორციელდა ისეთი ღონისძიებები, რაც ითვალისწინებდა საჯარო სკოლის მოსწავლეების მოხალისეებად გადამზადებას, რომლებიც მომავალში ითანამშრომლებენ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ თანატოლებთან, გადამზადებული ბოშა მოზარდები კი, თავად არიან ჩართული ქვეპროგრამაში ახალი ბოშა ბენეფიციარების მოზიდვისა და მათ წინაშე არსებული პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით. პროგრამა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში მოზარდების ჩართულობის ხელშეწყობას. „სოციალური ინკლუზიის“ ქვეპროგრამა განსხვავებული რელიგიისა და კულტურის მქონე თანატოლებს ბარიერების შემცირების მიზნით გაკვეთილების შემდეგ სთავაზობს ე.წ. ინტერესთა კლუბებს, რაც ითვალისწინებს გასვლით შეხვედრებს, კონფერენციებს, გამოფენებს საქართველოში მცხოვრები ბოშების ისტორიის, ყოფისა და კულტურის საკითხების შესახებ. ასევე, ქვეპროგრამის ფარგლებში განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო აფინანსებს კონკრეტულ პროექტებს, რაც ხელს უწყობს ბოშათა შემდგომ დასაქმებას (ცეკვის მასწავლებელი, ფოსტის კურიერი, სტილისტი და ა. შ.)

განხორციელებულმა აქტივობებმა ხელი შეუწყო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურზე ბოშა მოზარდების ჩართვასა და რაოდენობრივ ზრდას: თუ 2014 წელს საჯარო სკოლებში სწავლობდა 88 ბოშა მოზარდი, 2017-2018 სასწავლო წელს მათი რაოდენობა გაიზარდა 263-მდე, 2018-2019 სასწავლო წელს - 236 ბოშა მოსწავლე, 2019-2020 სასწავლო წელს - 346 მოსწავლე.

შეჯამების სახით, უნდა აღინიშნოს, რომ ბოშათა თემის მდგომარეობა საჭიროებს სიღრმისეულ ანალიზს და უპირველეს ყოვლისა, მათი ზუსტი სტატისტიკის დადგენას, ამასთანავე, სრულად არ არის გამოვლენილი მათი კონკრეტული საჭიროებები⁵. ასევე საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ სამართლებრივი დოკუმენტაციის აღებასთან დაკავშირებული ხარჯების გაღება ბოშებში იწვევს დემოტივაციას სახელმწიფო უწყებებთან კომუნიკაციის კუთხით.

რაც შეეხება მცირე ეთნიკური ჯგუფების მხარდაჭერას, 2015 წლიდან მნიშვნელოვანი პოზიტიური ნაბიჯები გადაიდგა. კონკრეტულად, (ა) შემუშავდა და დამტკიცდა ეროვნულ უმცირესობათა სასწავლო გეგმა და მცირერიცხოვან უმცირესობათა ენების სტანდარტები I-VI კლასებისათვის (ამ ენათა რიცხვს განეკუთვნება: ოსური, ჩეჩნური, ასირიული, ხუნძური, უდიური); (ბ) სკოლებიდან წარმოდგენილი ოფიციალური თხოვნის საფუძველზე ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით დამტკიცდა იმ სკოლების ნუსხა, სადაც მცირერიცხოვან ეთნიკურ უმცირესობათა ენების სწავლება არჩევითი კურსის სახით

⁵საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის წარმომადგენლის მიერ მოწოდებული ინფორმაცია

დაინერგება; (გ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 27 ოქტომბრის №145/ნ ბრძანებით ცვლილებები შევიდა ეროვნულ სასწავლო გეგმაში, რომლის თანახმად დამტკიცდა ეთნიკურ უმცირესობათა ენების სასწავლო გეგმა, რომელზე დაყრდნობითაც სსიპ „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის“ სტანდარტების განვითარებისა და დანერგვის სამსახურის ეთნიკურ უმცირესობათა ენების ექსპერტ-კონსულტანტის მიერ შემუშავდა მასწავლებელთათვის სტანდარტები და სტანდარტზე დაყრდნობით დაიწერა ტრენინგ-პროგრამის „ენის სწავლების მეთოდოლოგია ეთნიკური უმცირესობების ენების მასწავლებელთათვის“ ფარგლებში ორი ტრენინგ-მოდული: კითხვა/მოსმენის უნარების განვითარება (20 საკონტაქტო საათი) და წერა/ლაპარაკის უნარების განვითარება (15 საკონტაქტო საათი), მომზადდა შესაბამისი საკითხავი მასალა და სატრენინგო დავალებები; (დ) ევროპის საბჭო-ევროკავშირთან თანამშრომლობით შეიქმნა და 13 ენაზე ითარგმნა ბროშურები უმცირესობათა ენების შესწავლისა და ბილინგვური განათლების მნიშვნელობის შესახებ. ბუკლეტების შექმნა/თარგმნაში მონაწილეობას იღებდნენ ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლები. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 20 ნოემბრის N1255 ბრძანებით (ასევე 2016 წლის 13 სექტემბრის მინისტრის N702 ბრძანებით ცვლილება შევიდა N1255 ბრძანებაში) განისაზღვრა სკოლები/კლასები, სადაც დაინერგა მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების მშობლიური ენების სწავლება:

- ❖ ოსური ენა - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ წიწკანაანთსერის საჯარო სკოლის I-IX კლასებში; ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფლების ფონისა და არეშფერანის საჯარო სკოლების I-XII კლასებში;
- ❖ ხუნძური ენა - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფლების თივის, ჩანტლისყურისა და სარუსოს საჯარო სკოლების I-IX კლასებში;
- ❖ უდიური ენა - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზინობიანის საჯარო სკოლის I-VI კლასებში;
- ❖ ასირიული ენა - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი ქანდის საჯარო სკოლის VI-XI კლასებში;
- ❖ ჩეჩნური ენა - ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლების - ომალოს, დუისის, დუმასტურის, ბირკიანისა და ჯოყოლოს საჯარო სკოლების V-VI კლასებში;
- ❖ ქურთული ენა- ქ. თბილისის 179-ე საჯარო სკოლაში

2018 წლიდან მიმდინარეობს აფხაზური ენის სწავლება აჭარაში - ქ. ბათუმის მე-12 საჯარო სკოლასა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერიის საჯარო სკოლაში.⁶

⁶სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2018 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, გვ.6-7.

„საქართველოს ლატვიელთა სათვისტომოს „ავე სოლის“ ინიციატივით, ქ. თბილისის საკრებულოსთან არსებულ „მეგობრობის სახლში“ 2018 წლიდან ლატვიური ენის შემსწავლელი საკვირაო სკოლა ფუნქციონირებს.⁷

მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფების ენების სწავლების მიმართულებით სახელმწიფოს მხრიდან გადადგმული ნაბიჯები ცალსახად დადებითად უნდა შეფასდეს, რაც მნიშვნელოვანი წვლილია მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების მშობლიური ენისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის.⁸ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი ენების (უდიური ენა) სწავლება, რომლებიც მსოფლიოში გაქრობის პირას არიან. ამავდროულად, ამ ენების სწავლებისას გარკვეული ხარვეზებიც წარმოჩნდა. სწავლების პროცესში პედაგოგიური კადრებისა და სახელმძღვანელოების ნაკლებობის გამო მნიშვნელოვანი სირთულეები შეიქმნა. მაგალითად, თბილისის 179-ე საჯარო სკოლაში ქურთული ენის სწავლება ვერ დაიწყო შესაბამისი კვალიფიკაციის პედაგოგის არარსებობის გამო. ამასთან, არცერთი სასწავლო პროგრამა არ განხორციელებულა პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.

ზემოაღნიშნული ამოცანის შესრულების შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი აქტივობები შუალედური მიზნის მისაღწევად არასაკმარისია. ამასთან, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების შესახებ არსებული ინფორმაცია მწირია, რაც ართულებს ანალიზის პროცესს.

შუალედური მიზანი 1.2 გენდერული მეინსტრიმინგი

ამოცანა 1.2.1 გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრის ხელშეწყობა

საკითხის სტრატეგიულ დონეზე გათვალისწინება მნიშვნელოვანია ქვეყანაში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებში გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრის კუთხით. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა, როგორც გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმა, როგორც ზოგადად საქართველოში, ისე ეთნიკურ უმცირესობებშიც, მნიშვნელოვანი პრობლემაა. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენელ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა გარკვეული სპეციფიკურობით ხასიათდება. უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანაში არ არსებობს ერთიანი სისტემური დოკუმენტი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებში გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის გამომწვევი სპეციფიური მიზეზებისა და ზოგადად, ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენელ ქალთა საჭიროებების შესახებ.

⁷სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2018 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში.

⁸საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის შესახებ, 2015 წ., გვ. 456-457

სახელმწიფოს, მათ შორის, შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან, ბოლო პერიოდში ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. აღსანიშნავია, რომ სამართალდამცავების მხრიდან დანაშაულის ფაქტზე ეფექტიანი რეაგირებისა და გამოძიების უზრუნველსაყოფად 2018 წელს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნა ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი, რომელიც მონიტორინგს უწევს შემდეგი საქმეების გამოძიებას: ოჯახური დანაშაული, ქალთა მიმართ ძალადობა, დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილი დანაშაული, სიძულვილით მოტივირებული დანაშაული, ტრეფიკინგი, არასრულწლოვანთა მიერ და მათ მიმართ ჩადენილი დანაშაული. დეპარტამენტის მიერ დაიწყო მუშაობა დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე სტატისტიკური მონაცემების შეგროვების გაუმჯობესების მიზნით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2018 წლიდან ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის გამოძიების საკითხებზე გამომძიებელთა სპეციალური მომზადების კურსის მასშტაბური განხორციელება დაიწყო. 2018-2020 წლებში ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის გამოძიების საკითხებზე სპეციალური მომზადების კურსი გაიარა 555-მა გამომძიებელმა, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში - 73 გამომძიებელმა. აღსანიშნავია, 2019 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის ინიციატივით, 18-დღიანი საინფორმაციო კამპანია „ნუ წაართმევ ბავშვობას“ განხორციელდა. კამპანიის ფარგლებში შეხვედრები ასევე ჩატარდა ქალაქებში: ბათუმში, ქობულეთში, თელავში, გარდაბანში, დმანისში, რუსთავში, მარნეულში, საგარეჯოში, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქოსალარში და სხვა (სულ 15 შეხვედრა).

2016-2020 წლების მდგომარეობის შესახებ ანგარიშების თანახმად,⁹ ეთნიკურ უმცირესობებში გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის სირთულე და კომპლექსურობა გარკვეულწილად განპირობებულია უფრო მეტად პატრიარქალური წყობის საზოგადოებით, თავისებური ადათ-წესებითა და ინფორმაციის სიმცირით, რასაც, თავის მხრივ, ენობრივი ბარიერი უწყობს ხელს. ეთნიკურ უმცირესობებში, დღეს შედარებით ნაკლებად, თუმცა კვლავ არსებობს ადრეული ქორწინების პრობლემა. მსგავსი შემთხვევები განსაკუთრებით ისეთ დასახლებებშია, სადაც მათი გეოგრაფიული მდებარეობის ან/და ენობრივი ბარიერის გამო ინფორმაცია რთულად ან/და შეფერხებით აღწევს.

გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია ამ თემებში ქონებრივ უფლებებშიც იჩენს თავს. ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენელი ქალების უმეტესი ნაწილი ქონებრივად და ეკონომიკურად ოჯახზეა დამოკიდებული. არსებული ტრადიციების თანახმად, ქალი ძირითადად არ განიხილება მემკვიდრედ და ისინი იშვიათად აცხადებენ პრეტენზიას მემკვიდრეობიდან წილის მიღებაზე. ოფიციალური მონაცემების მიხედვით, ქონებაზე რეგისტრირებული საკუთრების უფლების მიხედვით, ქალები უმცირესობაში არიან განსაკუთრებით მარნეულსა და ბოლნისში.¹⁰

⁹<https://gdi.ge/uploads/other/0/708.pdf> ; <https://gdi.ge/uploads/other/0/824.pdf>

¹⁰ Ibid.

ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში გენდერული ნიშნით ძალადობასთან ბრძოლას მნიშვნელოვნად აფერხებს ენობრივი ბარიერი. აღნიშნულ რეგიონებში ქართული ენის ცოდნის დონე დაბალია. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მათთვის ინფორმაციის მიწოდება გასაგებ ენაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის კუთხით ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ქალებს ქვეყანაში არსებული ზოგადი პრობლემების მიღმა დამატებით სხვა ბარიერების გადალახვაც უწევთ. ესენია: არსებული ტრადიციები, ქონებრივი უფლებები, ენობრივი ბარიერი და სხვა. ცხადია, რომ ეთნიკური უმცირესობისადმი კუთვნილება ქალებს კიდევ უფრო მეტად მოწყვლადს ხდის.

სახელმწიფოს მხრიდან ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალების გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიმართულებით საჭიროებებზე დაფუძნებული სამოქმედო გეგმა და მისი ეფექტიანად განხორციელება, შესაძლოა ჩაითვალოს ზემოაღნიშნული გამოწვევის დაძლევის ერთ-ერთ მექანიზმად.

აღნიშნული სამოქმედო გეგმის ფარგლებში არაერთი ღონისძიება განხორციელდა, რაც მიზნად ისახავდა ქალების ჩართულობის გაზრდას და მათ გაძლიერებას. ამ კუთხით აღსანიშნავია, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შექმნილი ეთნიკურ უმცირესობათა საკოორდინაციო საბჭოს მიერ წარმართული საქმიანობა, რაც ითვალისწინებდა დედაქალაქში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენელ ქალებთან კომუნიკაციას შეხვედრების, ქალთა საჭიროებებზე გამართული ტრენინგების, კონფერენციების,¹¹ დისკუსიების მეშვეობით.¹² აქვე აღსანიშნავია ქ. ბათუმის მერიასთან არსებული „მეგობრობის სახლში“ მოქმედი „ქალთა კლუბის“ ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა. შესაბამისი უწყებიდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, „ქალთა კლუბში“ რეგისტრირებულია 32 ბენეფიციარი. 2015-2019 განმავლობაში რეგულარულად იმართებოდა შეხვედრები ქალთა ეკონომიური, სოციალური და პოლიტიკური გაძლიერების მიზნით, მათი უფლებების დასაცავად, ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და სხვა სახის პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობების თაობაზე.

ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ მუნიციპალიტეტებში ფუნქციონირებს „ქალთა ოთახები“, რომელთა ფარგლებშიც რეგულარულად იმართებოდა შეხვედრები ადრეული ქორწინების; ოჯახში ძალადობის; გენდერული თანასწორობის და სხვა თემებზე;¹³ ასევე „ქალთა ოთახების“ მუნიციპალური სერვისის ფარგლებში განხორციელდა უფასო სამედიცინო კვლევები და კონსულტაციები, რომლებითაც ასევე ისარგებლეს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელმა ქალებმა.

¹¹ სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2016 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, გვ. 8

¹² სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, გვ. 7

¹³ სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2017 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, გვ. 11

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2018 წლის 20 ნოემბრის წერილით ირკვევა, რომ 2017 წელს განხორციელდა პროექტი „გენდერული თანასწორობა სპორტსა და ფიზიკურ აქტივობებში“. პროექტი საქართველოს იუნესკოს საქმეთა ეროვნული კომისიის დაფინანსებით შემუშავდა. პროგრამა განხორციელდა ქ. თბილისსა და საქართველოს 4 რეგიონში (იმერეთი, კახეთი, სამცხე-ჯავახეთი და ქვემო ქართლი), მათ შორის, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით დასახლებულ ქალაქებში - ახალციხესა და მარნეულში. პროგრამის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგები პედაგოგებისა და მწვრთნელებისთვის (ტრენინგი გაიარა 130-მა სპეციალისტმა), ასევე შემეცნებითი კონკურსი მოსწავლეებისთვის.

სახელმწიფო მინისტრის აპარატმა, სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდთან“ და საქართველოს გაეროს ასოციაციასთან თანამშრომლობით, 2017-2019 წლებში განახორციელა პროექტი „ახალგაზრდები გენდერული თანასწორობისათვის“, რომლის ფარგლებში, თანატოლმა განმანათლებლებმა, რომლებმაც გაიარეს გადამზადების თემატური სპეციალური კურსი (ToT), ოჯახში ძალადობისა და ადრეული ქორწინების თემაზე ჩატარეს ქვემო ქართლის, კახეთისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების, 21 მუნიციპალიტეტის, 196 სოფელში 282 შეხვედრა (7849 ბენეფიციარი). ტრენინგები ჩატარდა სახელმწიფო ენაზე, თუმცა საჭიროების შემთხვევაში, შეხვედრები ტარდებოდა ეთნიკური უმცირესობების მშობლიურ ენებზეც. ასევე, 2018 წელს სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ ჩატარდა ერთობლივი საინფორმაციო შეხვედრები - წალკაში, ნინოწმინდასა და ახალსოფელში.

2019 წელს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობით ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიანი კამპანიის ფარგლებში გაიმართა შეხვედრები ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში; გავრცელდა საინფორმაციო ბროშურები ეთნიკური უმცირესობების მშობლიურ ენებზე. აღსანიშნავია, 2019-2020 სასწავლო წელს აკადემიაში ჩარიცხული მსმენელებისათვის გაცნობითი სახის ტრენინგის (2 სთ.) ჩატარება გენდერული თანასწორობის პრინციპების შესახებ.

2016-2019 წლებში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით განხორციელდა რიგი ღონისძიებები, რაც მიზნად ისახავდა გენდერული თანასწორობის საკითხებზე საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლებას. კერძოდ, 2016 წელს მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ სადახლოს საზოგადოებრივ ცენტრში გაიმართა შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან ადამიანით ვაჭრობის, ოჯახში ძალადობისა და ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვის საკითხებთან დაკავშირებით. 2017 წელს, „სტამბოლის კონვენციის“ რატიფიცირებისა და საკანონმდებლო ცვლილებების კვალდაკვალ, საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ აწარმოა კამპანია სახელწოდებით - „იმოქმედე“. კამპანიის ფარგლებში ტრენინგები დაიგეგმა საქართველოს მასშტაბით (67 ადგილზე), ყველა იმ ქალაქსა და სოფელში, სადაც არის იუსტიციის სახლები (18) ან საზოგადოებრივი ცენტრები (48); სომხურ

და აზერბაიჯანულ ენებზე ტრენინგი ჩატარდა: მარნეულში, კაბალში, იორმულანლოსა და სადახლოში; ასევე, ახალციხეში, ბარალეთში, კუმურდოსა და ფოკაში. საქართველოს მასშტაბით ტრენინგს დაესწრო 1298 მონაწილე.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა TOT-ტრენინგები - (ტრენინგები ტრენერებისთვის) თემაზე „გენდერული თანასწორობა და ქალთა მიმართ ძალადობა“ ჩაუტარეს ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ ახალგაზრდებს ნინოწმინდის, ახალქალაქისა და ახალციხის მუნიციპალიტეტებიდან.¹⁴

ამასთანავე, აღსანიშნავია იუსტიციის სამინისტროს მიერ ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით გატარებული ღონისძიებები. 2016-2017 წლებში სსიპ ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდისა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტის „ოჯახში ძალადობის შემცირება საქართველოში“ პრევენციის კომპონენტის ფარგლებში, ოჯახში ძალადობის აღკვეთის თემაზე მომზადდა და დაიბეჭდა მასალები ოთხ ენაზე (ქართულად, რუსულად, სომხურად, აზერბაიჯანულად - 500 ერთეული ბროშურა, 300 ერთეული სტიკერი, 300 ერთეული კალენდარი); მასალები შეიცავდა ინფორმაციას ძალადობის ფორმებისა და მსხვერპლის დახმარების მექანიზმის, სახელმწიფო ფონდის მომსახურებისა და მოსარგებლე ბენეფიციარების შესახებ. ასევე, 2016-2019 წლებში ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის რეგიონების ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ მუნიციპალიტეტებში გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები, რომელშიც მათ შორის 600-მდე ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა.¹⁵

გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) მხარდაჭერით, ძალადობისაგან დაცვის საკონსულტაციო ცხელი ხაზის (116 006) ხელმისაწვდომობა ქართული ენის გარდა, უზრუნველყოფილია დამატებით 7 (ინგლისურ, რუსულ, თურქულ, აზერბაიჯანულ, სომხურ, არაბულ და სპარსულ) ენაზე.¹⁶

გენდერული თანასწორობის საკითხებზე შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიას შემუშავებული და დანერგილი აქვს გადამზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც მოიცავს შემდეგ თემებს: ადამიანის უფლებები, პოლიცია მრავალეთნიკურ საზოგადოებაში, საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიცია, ოჯახში ძალადობა, დისკრიმინაციის დაუშვებლობა და გენდერული თანასწორობა. 2015-2018

¹⁴სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2017 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, გვ. 8-9.

¹⁵მონაცემები მოწოდებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის მიერ.

¹⁶სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2017 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, გვ. 10.

წლებში აღნიშნულ კურსებზე ჩაირიცხა 33 მსმენელი, 2019 წელს - 23, ხოლო 2020 წელს - 29 ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი.

გენდერული თანასწორობის საკითხებისა და ქალთა უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლების კუთხით მნიშვნელოვნად უნდა იქნეს განხილული სსიპ „დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში“ 2016 წელს IV კურსის იუნკრებისთვის სასწავლო მოდულში გენდერული თანასწორობის პრინციპების შესახებ დამატებით შეფასებითი ლექციის (4 სთ.) დანერგვა. 2017-2020 წლების განმავლობაში გენდერული თანასწორობის პრინციპების შესახებ შეფასებითი ცხრა ლექცია ჩაუტარდა IV კურსის 248 იუნკერს, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს. ასევე, 2016-2017 სასწავლო წელს ჩატარდა ორსაათიანი ტრენინგი „გენდერული თანასწორობის პრინციპებისა და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების“ შესახებ.¹⁷

საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელებას. ქალთა მეწარმეობის გასაძლიერებლად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 21 ივლისის №1-1-319 ბრძანების საფუძველზე, კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობის საკონსულტაციო საბჭოსთან შეიქმნა შესაბამისი სამუშაო ჯგუფი - ქალთა მეწარმეობის ხელშეწყობის ქვესაბჭო. აღნიშნული სამინისტროს სსიპ „აწარმოე საქართველოში“ 2015 წლიდან ახორციელებს მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამას საქართველოს ყველა რეგიონში, გარდა თბილისისა. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, მიკრო და მცირე მეწარმეობის საგრანტო თანხა მიღებული აქვთ ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთის და კახეთის რეგიონებში მცხოვრებ მეწარმეებს. 2015-2018 წლების განმავლობაში ჯამში დაფინანსებულია 3,923 ბენეფიციარი, საიდანაც, 1,532 ქალია (39.1%). ქალ ბენეფიციარებზე გაცემული ჯამური თანხა შეადგენს 7,704,306.53 ლარს. მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამა ასევე გამოცხადდა 2020 წლის 5 ოქტომბერს, რომლის ფარგლებშიც შემოვიდა სულ 26,299 განაცხადი. პროგრამის ფარგლებში, შემდგომ ეტაპზე გადავიდა 4124 განმცხადებელი. ტრენინგების ეტაპზე, გადასული 4124 ბენეფიციარიდან 2074 (50.3%) ქალი ბენეფიციარია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქალების სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში ჩართულობის წამახალისებელ ნაბიჯად უნდა განვიხილოთ სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემიის ერთობლივი ინიციატივა, რომლის ფარგლებშიც 2017-2020 წლებში ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში, ასევე კახეთში (პანკისის ხეობაში) მცხოვრები ქალებისთვის განხორციელდა სასწავლო ტრენინგკურსი „როგორ დავიწყოთ და განვავითაროთ ბიზნესი“ პროექტის ფარგლებში 50-მდე მონაწილემ მცირე ბიზნესის დასაწყებად მიიღო შესაბამისი ცოდნა და განივითარა უნარ-ჩვევები. ამასთანავე, მონაწილეებმა მოამზადეს კონკრეტული ბიზნესგეგმები; აღნიშნული პროექტის ფარგლებში

¹⁷სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2017 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, გვ. 10-11

11-მა ბიზნესპროექტმა გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) მხრიდან მიიღო საგრანტო დაფინანსება.

ამოცანის შესრულებასთან დაკავშირებით, შეჯამების სახით უნდა აღინიშნოს, რომ 2015-2020 წლებში მთელი რიგი ღონისძიებები განხორციელდა ქალთა ინფორმირების/ცნობიერების ამაღლების გაზრდის, ჩართულობის გაუმჯობესებისა და მათი გაძლიერების მიზნით, თუმცა პროგრამებისა და ღონისძიებების დაგეგმვისას მნიშვნელოვანი და საჭიროა სისტემური, კომპლექსური და თანამიმდევრული მიდგომა.

შუალედური მიზანი 1.3 სახელმწიფო ადმინისტრირების, სამართალდამცავი ორგანოებისა და მექანიზმების ხელმისაწვდომობის გაზრდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის

ამოცანა 1.3.1 ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო ენის არმცოდნე მოქალაქეებისათვის არასახელმწიფო ენაზე შედგენილი დოკუმენტების თარგმნაში ხელშეწყობა საჭიროებისამებრ

ენობრივი ბარიერი მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორია სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში.

2015 წელს სახელმწიფო ენის შესახებ მიღებული კანონი განსაზღვრავს „ეროვნული უმცირესობების ენის“ ცნებას და მათი გამოყენების შესაძლებლობას იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც მჭიდროდ სახლობენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები. კერძოდ, კანონი განმარტავს, „იმ მუნიციპალიტეტში, სადაც ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლები კომპაქტურად ცხოვრობენ, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები უფლებამოსილნი არიან, დაადგინონ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულისაგან განსხვავებული წესი, რომელიც გულისხმობს, საჭიროების შემთხვევაში, ეროვნული უმცირესობისათვის მიკუთვნებული პირის მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში ამ ეროვნული უმცირესობის ენაზე წარდგენილი განცხადების, საჩივრის, მასზე გაცემული პასუხის თარგმნას. ამასთანავე, ოფიციალური ძალა მხოლოდ შესაბამისი ტექსტის დედანს აქვს.¹⁸ ასევე, კანონით გათვალისწინებულია - იმ მუნიციპალიტეტში, სადაც ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლები კომპაქტურად ცხოვრობენ, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს მის მიერ მიღებული ნორმატიული აქტის ამ ეროვნული უმცირესობის ენაზე თარგმნას. ამასთანავე, ოფიციალური ძალა მხოლოდ შესაბამისი ტექსტის დედანს აქვს“.¹⁹

აღსანიშნავია, რომ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციასთან ურთიერთობისას ეთნიკურ უმცირესობებს ენობრივი ბარიერის გამო

¹⁸საქართველოს ორგანული კანონი სახელმწიფო ენის შესახებ, თავი III, მუხლი 11, პუნქტი 4, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2931198?publication=3>

¹⁹საქართველოს ორგანული კანონი სახელმწიფო ენის შესახებ, თავი III, მუხლი 12, პუნქტი 2, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2931198?publication=3>

პრობლემა არ შექმნიათ. აღნიშნულ ადმინისტრაციასთან წარმოებული კორესპონდენციით ირკვევა, რომ სახელმწიფო ენის არცოდნის გამო შექმნილი დაბრკოლების შესახებ არცერთი პრეტენზია არ შესულა არც ადმინისტრაციაში და არც მუნიციპალიტეტებში. ანგარიშებში წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2015-2020 წლებში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციას სხვადასხვა საჭიროების გამო განცხადებით მიმართა 4986 მოქალაქემ, რომელთაგან 699 იყო ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი, რაც განცხადებების 14.02 %-ს შეადგენს.²⁰ ანალოგიური მონაცემები იქნა მოწოდებული კახეთის სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციიდან, რომლის მიხედვით, 2015-2020 წლებში ადმინისტრაციას სხვადასხვა საჭიროების გამო განცხადებით მიმართა 700-მდე მოქალაქემ, რომელთაგან ეთნიკური უმცირესობის 30-მდე წარმომადგენელი იყო.

ამოცანა 1.3.2 ეთნიკურ უმცირესობათა ჩართულობის გაუმჯობესება სახელმწიფო რწმუნებულების - გუბერნატორების ადმინისტრაციაში

2017 წლიდან, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით, ქვემო ქართლისა და კახეთის სახელმწიფო რწმუნებულების - გუბერნატორების ადმინისტრაციებთან საკონსულტაციო (სათათბირო) საბჭოები ჩამოყალიბებული და ამოქმედებულია. კერძოდ, ქვემო ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციაში, 2016 წლის 6 სექტემბერს, გუბერნატორის №61 განკარგულების საფუძველზე შეიქმნა სათათბირო საბჭო ეთნიკურ უმცირესობათა პრობლემატიკის შესახებ.²¹ საბჭომ 2016-2019 წლებში გამართა 15 სხდომა, თუმცა, მის მიერ განხილული საკითხების ჩამონათვალი ზოგადია, არცერთი დოკუმენტი არ შეიცავს ინფორმაციას საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ.

სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის 2016 წლის 11 აპრილის №37 განკარგულებით შეიქმნა ანალოგიური სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის სათათბირო ორგანო - საკონსულტაციო საბჭო კახეთის რეგიონში, უმცირესობების სამოქალაქო ჩართულობის გაუმჯობესების მიზნით. საბჭომ 2017-2019 წლებში გამართა 4 სხდომა. წარმოდგენილი ინფორმაციით, ისევე როგორც ქვემო ქართლის მსგავსი საბჭოს სხდომებში, მონაწილეობდნენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები.

აქვე აღსანიშნავია, რომ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციასთან არ შექმნილა მსგავსი საკონსულტაციო საბჭო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წინ გადადგმული ნაბიჯია სათათბირო საბჭოების ჩამოყალიბება და ამოქმედება, რაც ითვალისწინებს ეთნიკური უმცირესობების ჩართულობას ადგილობრივ დონეზე, თუმცა მხოლოდ ფაქტზე დაფუძნებული რაოდენობრივი

²⁰სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015, 2016, 2017, 2018, 2019 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშები, www.smr.gov.ge

²¹ქვემო ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის 2018 წლის 27 ნოემბრის №01/2013 წერილი

მაჩვენებლები ამ საქმიანობის წარმატებას ვერ გაზომავს. ეთნიკური უმცირესობის პრობლემებზე სათათბირო საბჭოების საქმიანობის გავლენის შესახებ ინფორმაცია არ არსებობს. ამიტომ, მნიშვნელოვანია, შეფასდეს და გაანალიზდეს განხილული საჭიროებები და მიღებული გადაწყვეტილებები, რაც გამოავლენს მის როლს და შემდგომი განვითარების/გამლიერების მიმართულებებს. უნდა აღინიშნოს, რომ მისასაღებელი იქნება სამცხე-ჯავახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციაშიც ანალოგიური საბჭოს შექმნა და ამოქმედება.

აქვე აღსანიშნავია, რომ 2019 წელს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატთან შეიქმნა ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების განვითარებისა, გამლიერებისა და სამოქალაქო ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით სამოქალაქო საზოგადოებასთან საკონსულტაციო საბჭო. საბჭოში სამოქალაქო საზოგადოების, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები შედიან, რომლებიც ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების განვითარებასა და გამლიერებასთან დაკავშირებული აქტივობების შემუშავების, არსებული გამოწვევების დასაძლევად საპასუხო ნაბიჯების განხილვისა და მოსახლეობის ინტერესების კიდევ უფრო მეტად გათვალისწინების მიზნით, სახელმწიფო მინისტრის აპარატთან ინტენსიურად თანამშრომლობენ. აქტუალური იყო 2020 წელს, აღნიშნული საბჭოს ფარგლებში, საკონსულტაციო შეხვედრების (3 დისტანციური შეხვედრა) გამართვა, რომელზეც იმსჯელეს პანდემიის პირობებში ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების მოსახლეობის საჭიროებებზე, არსებულ გამოწვევებსა და მათი გადაჭრის გზებზე.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის გამოწვევად რჩება სხვადასხვა სფეროში და, მათ შორის საჯარო სამსახურში, დასაქმების ხელმისაწვდომობა. ამგვარად, „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2015-2020 წლების სამოქმედო გეგმა“ ითვალისწინებდა გარკვეული ინიციატივების მომზადებას და განხორციელებას, რომელსაც ხელი უნდა შეეწყოს მათი საჯარო სამსახურში ჩართვის წახალისებისათვის. სწორედ ასეთ ინიციატივას წარმოადგენს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდებისთვის საჯარო უწყებებში სპეციალური სტაჟირების პროგრამის დანერგვა, რომლის ამოქმედების მიზნით 2017 წლის 14 დეკემბერს ცვლილება შევიდა „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესისა და პირობების შესახებ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №410 დადგენილებაში. შესაბამისად, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის განისაზღვრა საჯარო უწყებებში სტაჟირების გავლის პროცედურები. განხორციელებული ცვლილებების თანახმად, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სტუდენტებს, რომელთაც გავლილი აქვთ „ქართულ ენაში მომზადების სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამა“ („1+4“ პროგრამა) შესაძლებლობა მიეცათ საჯარო სტრუქტურებში სტაჟირების გავლის გზით მიიღონ სათანადო გამოცდილება და განივითარონ პროფესიული უნარ-ჩვევები. პროგრამის ფარგლებში, 2018 წელს 142-მა, 2019 წელს - 87-მა შერჩეულმა „1+4“ საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილემ (ხოლო 2017 წელს, საპილოტე პროგრამის ფარგლებში - 65-მა) ახალგაზრდამ სტაჟირება გაიარა სხვადასხვა

სახელმწიფო უწყებაში, მათ შორის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების ჩართულობას და საბოლოოდ სამოქალაქო ინტეგრაციას. სტაჟირების პროგრამის გავლის შემდეგ ერთი პირი დასაქმდა სახალხო დამცველის აპარატის სამცხე-ჯავახეთის რეგიონულ წარმომადგენლობაში; ათობით ბენეფიციარმა პროფესიული კარიერა განაგრძო არაქართულენოვან სკოლებში დამხმარე მასწავლებლად. 2020 წელს COVID-19-ის პანდემიის გამო პროგრამა დროებით შეჩერდა.

ამოცანა 1.3.3 საზოგადოებრივი სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებისათვის

2015-2020 წლების განმავლობაში, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო უზრუნველყოფდა საზოგადოებრივი სერვისებისა და მიმდინარე სახელმწიფო პროგრამების შესახებ საინფორმაციო მასალების გავრცელებას ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, მათ შორის მათთვის გასაგებ ენაზე (თითოეულ საზოგადოებრივ ცენტრში საშუალოდ 80-100 ბროშურა). 2019 წელს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში (კუმურდოს, ფოკას, ბარაღეთის, სადახლოს, კაზრეთის, იორმულანლოს, კაბალის, მარტყოფის, სართიჭალის საზოგადოებრივი ცენტრები) გავრცელდა საჯარო რეესტრის - ბიზნესის რეესტრის ახალი ელექტრონული სერვისების შესახებ საინფორმაციო მასალები, კერძოდ 7 000 ერთეული ტრიპლეტი სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. აღნიშნული ტრიპლეტები გავრცელდა ქართულენოვან სოფლებშიც (საზოგადოებრივ ცენტრებში). 2020 წელს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ პუნქტებში მდებარე საზოგადოებრივი ცენტრების (სართიჭალა, ფოკა, ყვარელწყალი, კაზრეთი, კაბალი, სადახლო, იორმულანლო, ვალე, ბარაღეთი, კუმურდო, წალკა, დმანისი, ყაჩაღანი, ნინოწმინდა და ასპინძა) მეშვეობით გავრცელდა 2809 ერთეული საინფორმაციო ბროშურა. აღნიშნული ბროშურები ინფორმაციას მოიცავდა შემდეგ საკითხებზე: უვიზო მიმოსვლა, ქორწინების რეგისტრაცია, ოჯახში ძალადობა, გენდერი და საკუთრება, იუსტიციის სახლის და საზოგადოებრივი ცენტრის სერვისები, მიწის რეგისტრაცია, სოფლის განვითარების ხელშეწყობა და სხვა.

2016-2018 წლებში საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სხვადასხვა რეგიონში გამართა საინფორმაციო შეხვედრები, ჩატარდა ტრენინგები, რომლებიც მიეძღვნა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკას, უკანონო მიგრაციის საკითხებსა და ამ საფრთხისაგან თავდაცვის მექანიზმებს. გავრცელდა ტრეფიკინგის თემაზე მომზადებული ხუთენოვანი საინფორმაციო ბროშურები (ქართული, ინგლისური, რუსული, თურქული და აზერბაიჯანული).²² 2018 წელს საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ საზოგადოებრივ ცენტრებში გაავრცელა ბუკლეტები (საზოგადოებრივ ცენტრში 80-100) საზოგადოებრივი სერვისებისა და მიმდინარე სახელმწიფო

²²სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2016 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, გვ. 13

პროგრამების შესახებ. საზოგადოებრივი ცენტრების, მათ შორის (მუხაესტატე, ჩაქვი, დიდი ჯიხაიში, მარტყოფი, სადახლო და გლდანი) მეშვეობით გავრცელდა 800 ცალი (სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულენოვანი) ბროშურა ქუჩაში მცხოვრებ ან/და მომუშავე ბავშვთა ტრეფიკინგისგან დაცვის შესახებ. ბოლნისის, გარდაბნის, საგარეჯოსა და ნინოწმინდის საზოგადოებრივი ცენტრების მეშვეობით გავრცელდა 1300 ერთეული ბროშურა.

სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშების მიხედვით, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის შესახებ საგარეო საქმეთა სამინისტროს სსიპ-ის „საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“ ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს. 2017-2020 წლებში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სსიპ ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრი როგორც ქ. თბილისში, ისე ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში რეგულარულად მართავდა საჯარო ღონისძიებებს, სემინარებს, საინფორმაციო შეხვედრებსა და კამპანიებს, ღია დისკუსიებს, საგანმანათლებლო-შემეცნებით ღონისძიებებს, სასწავლო ვიზიტებს და ინფორმაციას აწვდიდა სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიას (მასწავლებლებს, მოსწავლეებს, სტუდენტებს, ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებს, მედიას, ფერმერებს და ადგილობრივ მოსახლეობას) ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მნიშვნელობის, ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის, ასოცირების შეთანხმებისა და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ. 2017-2020 წლების პერიოდში გაიმართა 240-მდე ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 10 500-მდე ბენეფიციარმა. აქვე აღსანიშნავია, რომ 2020 წელს, კოვიდპანდემიის შედეგად შემოდებული რეგულაციების შესაბამისად, ციფრულ ფორმატში განხორციელდა 25-მდე შეხვედრა ეთნიკური უმცირესობების 350-მდე წარმომადგენლის მონაწილეობით.

საინფორმაციო ცენტრი აქტიურად თანამშრომლობდა რეგიონული მედიის წარმომადგენლებთან საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებული მასშტაბური პროექტის - „დასავლური ინტეგრაციის პროცესის შესახებ ინფორმირებულობისა და ჩართულობის გაზრდა საქართველოს რეგიონებში“ - ფარგლებში ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში მოქმედმა ხუთმა მედიასაშუალებამ (TV მარნეული, FM მარნეული, FM NOR, ATV 12, TOK TV) საქართველოს დასავლური ინტეგრაციის საკითხებთან დაკავშირებით 100-მდე შინაარსობრივი პროდუქტი მოამზადა და გაავრცელა.

ამავდროულად, საინფორმაციო ცენტრის მიერ სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ითარგმნა და გავრცელდა საინფორმაციო მასალები („გზამკვლევი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“, „მითები ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“), ხოლო 2020 წელს, სოციალური მედიის საშუალებით წარმოებული საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში, დასავლური ინსტიტუტების მუშაობის პრინციპებზე, დასავლურ ღირებულებებსა და ფასეულობებზე,

საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მნიშვნელობის, პოზიტიური შედეგებისა და არსებული შესაძლებლობების შესახებ 52 შემეცნებითი პოსტი მომზადდა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე, რომლებსაც ჯამში ჰქონდა 356,578 ჩვენება; გაეცნო 38, 361 ადამიანი. ასევე, გაიმართა სემინარი პედაგოგებისთვის „ნატო-არჩევანი მშვიდობიანი და სტაბილური განვითარებისთვის“. სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ერთობლივი ინიციატივითა და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ფინანსური მხარდაჭერით, განხორციელდა პანკისის ხეობის პედაგოგებისთვის პროექტი - „ცნობიერების ამაღლება საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის შესახებ“, რომლის ფარგლებშიც, პანკისის ხეობის საჯარო სკოლების პედაგოგები (20 ადამიანი) სასწავლო ვიზიტით ბრიუსელში, ბელგიის სამეფოში იმყოფებოდნენ.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით, საგარეო საქმეთა სამინისტროს სსიპ ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრთან და საქართველოს გაეროს ასოციაციის „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამა“ (PITA) თანამშრომლობის ფარგლებში, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით განხორციელდა პროექტი „ახალგაზრდა ევროპელი ელჩები“. 2017-2020 წწ. ახალგაზრდებისგან შემდგარმა მობილურმა ჯგუფმა, რომლებმაც გაიარეს სპეციალურად მათთვის დაგეგმილი თემატური სკოლა (ToT), 36 მუნიციპალიტეტის 250 სოფელში ჩაატარეს 320 ტრენინგი (6843 ბენეფიციარი). აღსანიშნავია, რომ 2020 წელს, კორონავირუსის პანდემიის პრევენციასთან დაკავშირებით დაწესებული შეზღუდვების გამო, შეხვედრები დისტანციურ ფორმატში ჩატარდა.

სახელმწიფო პროგრამებისა და სერვისების შესახებ საინფორმაციო/ცნობიერების ამაღლების შეხვედრები ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ მუნიციპალიტეტებში გაიმართა სხვადასხვა სახელწიფო უწყებისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ. კერძოდ:

სახელმწიფო პროგრამებისა და სერვისების შესახებ საინფორმაციო/ცნობიერების ამაღლების შეხვედრები ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ მუნიციპალიტეტებში გამართა სხვადასხვა სახელწიფო უწყებამ და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელმა:

- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე გამოსცა და გაავრცელა ბროშურა - „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის გზამკვლევი“ (აზერბაიჯანულ ენაზე - 1500, სომხურ ენაზე - 1500 ერთეული). ასევე, 4 500 ერთეული ბროშურა, ფლაიერი და პოსტერი ინფექციური დაავადებების, ცხოველთა რეგისტრაცია/იდენტიფიკაციის, რძისა და მასთან დაკავშირებული დაავადებების შესახებ. სამინისტროს მიერ შემუშავდა და რეგიონულ მაუწყებლებში გავრცელდა საინფორმაციო ვიდეორგოლი აგროდაზღვევის პროგრამის შესახებ. ასევე, დარიგდა გარემოს დაცვისა და სოფლის

მეურნეობის სამინისტროს მიერ გამოშვებული გაზეთი (3 500 ერთეული); მობილური ექსტენციის ფარგლებში გავრცელდა 27 905 ერთეული საინფორმაციო მასალა.

- 2016 წლიდან საქართველოს *სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს* (2018 წლის ივნისიდან კი სპეციალური პენიტენციური სამსახურის) ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში ხელმისაწვდომია ბრალდებულ/მსჯავრდებულთა უფლებებისა და მოვალებების შესახებ ინფორმაციის ელექტრონული და ბეჭდური ვერსიები, მათ შორის სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე. ასევე, პენიტენციურ დაწესებულებებში მსჯავრდებულთა შესახლების დროს უზრუნველყოფილია მათი ინფორმირება როგორც ზეპირი, ისე წერილობითი სათარჯიმნო მომსახურებით. ამავდროულად, მიმდინარეობს მომზადება/გადამზადება სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლების როგორც ანტიდისკრიმინაციული რეგულაციების, ისე ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებულ ბრალდებულ/მსჯავრდებულთა უფლებებისა და მათთან მოპყრობის სპეციფიკის საკითხებზე.²³ 2019 წლიდან პენიტენციურ დაწესებულებებში მაუწყებლობს 20 სატელევიზიო არხი, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების მშობლიურ ენებზე.
- *ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ* ტურიზმისა და ტურისტული ობიექტების საკითხებზე საინფორმაციო მასალები გაავრცელა.²⁴
- *სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის, კახეთის რეგიონების სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციის* წარმომადგენლები ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ტერიტორიულ ერთეულებში პერიოდულად მართავდნენ საინფორმაციო შეხვედრებს მოსახლეობასთან – საკანონმდებლო სიახლეების, ანტიდისკრიმინაციული რეგულაციების, ეთნიკურ უმცირესობათა უფლებებისა და შესაბამისი კანონმდებლობის გაცნობის მიზნით.²⁵
- *შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის* ინიციატივით და შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობით 2018-2020 წლებში განხორციელდა 350-მდე საინფორმაციო/ცნობიერების ამაღლების შეხვედრა ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, რომლის მეშვეობითაც მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია სახელმწიფო სერვისებისა და პროგრამების შესახებ, მათ შორის, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის, განათლების, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის, ეკონომიკური და ფინანსური პროგრამებისა და სიახლეების შესახებ.²⁶

²³სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2016 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, გვ. 12-13

²⁴სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2018 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, გვ. 13

²⁵სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, გვ. 9

²⁶Ibid

ამოცანა 1.3.4 საჯარო ადმინისტრირებასა და საჯარო სამსახურში ეთნიკურ უმცირესობათა ჩართულობის გაზრდა და პროფესიული განვითარება

ამოცანა 1.3.5 ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებულ საჯარო მოხელეთა მიერ სახელმწიფო ენის ფლობის გაუმჯობესება

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის საქმიანობა. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2018 წლის 20 ნოემბრის №MES 1 18 01494889 წერილით და სკოლის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციით ირკვევა, რომ სკოლა 2014 წლიდან ახორციელებს სასწავლო პროგრამებს: სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის, საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების მიმართულებით.²⁷ სწავლება მიმდინარეობს სხვადასხვა ლოკაციებზე, მათ შორის სკოლის 10 რეგიონულ სასწავლო ცენტრში (მარნეულში, ბოლნისში, დმანისში, გარდაბანში, წალკაში, ახალქალაქში, ნინოწმინდაში, საგარეჯოში, ლაგოდეხში, ახმეტაში), ქალაქებსა და სოფლებში არსებულ მობილურ ჯგუფებში.²⁸ სამინისტროს ამავე წერილით ირკვევა, რომ 2015-2018 წლებში რეგიონულ სასწავლო ცენტრებში სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამაში მონაწილეობა მიიღო ეთნიკური უმცირესობის 11109 წარმომადგენელმა (მათ შორის 319-მა საჯარო მოხელემ). ხოლო, საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების პროგრამა სულ ეთნიკური უმცირესობის 296-მა წარმომადგენელმა გაიარა.

2019-2020 წლებში მიუხედავად ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების ადგილობრივ თვითმმართველობებში სახელმწიფო ენის ცოდნის დაბალი მაჩვენებლისა, სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში გადამზადებულ ეთნიკური უმცირესობის 5604 წარმომადგენელს შორის მხოლოდ 48 იყო საჯარო მოხელე, ხოლო საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების პროგრამით გადამზადდა ეროვნულ უმცირესობათა 62 წარმომადგენელი საჯარო მოხელე.

ასევე აღსანიშნავია, რომ 2020 წელს საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა გაეროს ბავშვთა ფონდის UNICEF-ის მიერ დაფინანსებული პროექტი - „ადრეული და სკოლამდელი განათლების სისტემის ხელშეწყობა და ადამიანური კაპიტალის განვითარება მუნიციპალიტეტების შესაძლებლობების განვითარების გზით ადრეული და სკოლამდელი განათლების კანონისა და სახელმწიფო სტანდარტების აღსრულების მხარდასაჭერად“, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა ეთნიკური უმცირესობის 7 წარმომადგენელი.

სსიპ შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში „ქართულ ენაში მომზადების სპეციალურ საგანმანათლებლო პროგრამაზე“ სტუდენტთა პირველი ნაკადი 2016-2017 სასწავლო წელს 2

²⁷<http://www.zspa.ge/geo/page/31>

²⁸<http://zspa.ge/geo/page/119>

ეთნიკურად სომეხი და 4 ეთნიკურად აზერბაიჯანელი სტუდენტი ჩაირიცხა;²⁹ 2017-2018 სასწავლო წელს 3 ეთნიკურად აზერბაიჯანელი სტუდენტი ჩაირიცხა. შემდეგ წლებში აღნიშნული პროგრამის განხორციელება შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში შეწყდა.

ამოცანა 1.3.6. სამართალდამცავ ორგანოებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების მოზიდვა

უნდა აღინიშნოს, რომ ეთნიკურ უმცირესობათა ჩართულობა სამართალდამცავ ორგანოებში გარკვეულ გამოწვევას წარმოადგენს. ამას ადასტურებს თავად სამოქმედო გეგმით აღებული სახელმწიფოს ვალდებულებაც, სამართალდამცავ ორგანოებში მოიზიდოს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები. ამ კუთხით აქტუალურად რჩება კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა. სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშებიდან ვლინდება, რომ ამ ვალდებულების შესრულების კუთხით პასუხისმგებელი უწყებების საქმიანობა მეტად ფრაგმენტული და არასაკმარისია.

შუალედური მიზანი 1.4 ეთნიკურ უმცირესობათა მონაწილეობის წახალისება პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში

ამოცანა 1.4.1 ეთნიკურ უმცირესობათა მიერ ხმის მიცემისა და ინფორმირებული არჩევანის გაკეთების უზრუნველყოფა

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების პოლიტიკურ ცხოვრებაში სრული და ნაყოფიერი ჩართულობის უზრუნველყოფა გათვალისწინებულია სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის დოკუმენტსა და მის შესაბამის სამოქმედო გეგმაში. სტრატეგიის ერთ-ერთ პრიორიტეტს სწორედ უმცირესობების წარმომადგენლების პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური ჩართულობის წახალისება წარმოადგენს. აღნიშნულის მისაღწევად 2015-2020 წლებისათვის შემდეგი ამოცანები იქნა დასახული: უმცირესობებისათვის ინფორმირებული არჩევანისა და ხმის მიცემის უფლება, უმცირესობების წარმომადგენლების პოლიტიკურ პარტიებსა და არჩევნებთან დაკავშირებულ ღონისძიებებში მონაწილეობის წახალისება, ასევე მათი სახელმწიფო სამსახურში ჩართვის ხელშეწყობა.

აღსანიშნავია, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) მიერ ბოლო წლებში გაწეული მნიშვნელოვანი ძალისხმევა, ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მოქალაქეთა ინფორმირების გაზრდის, საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა მომზადების, არჩევნების პროცესისთვის საჭირო დოკუმენტაციის უმცირესობების ენებზე (სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე) თარგმნის,

²⁹სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2016 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, გვ. 10.

საარჩევნო პროცესის შესახებ მოქალაქეთა ინფორმირებისა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით.³⁰

ცესკოდან მოწოდებული ინფორმაცია ამ ამოცანის შესრულებისთვის განხორციელებულ აქტივობებთან დაკავშირებით შთამბეჭდავი და ყოვლისმომცველია.³¹ ასევე აღსანიშნავია, ცესკოს მიერ ანგარიშგების დოკუმენტის სტრუქტურა და ინფორმაციის ზუსტად გადმოცემა. მნიშვნელოვანია ამ ტენდენციის შენარჩუნება.

2015-2020 წლებში საარჩევნო ადმინისტრაციამ ჩაატარა ოთხი საერთო არჩევნები (საქართველოს პარლამენტის (ორი არჩევნები), მუნიციპალიტეტის ორგანოთა და საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები), 13 შუალედური და ოთხი რიგგარეშე არჩევნები. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩევლებს ჰქონდათ თანაბარი მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა. კერძოდ:

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელმა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებმა ინტენსიური ტრენინგები გაიარეს, ასევე მათთვის სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე დაიბეჭდა ფუნქციების შესასრულებლად საჭირო სახელმძღვანელო მასალები. სტატისტიკური ინფორმაცია სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შესახებ წარმოდგენილია 1-ელ ცხრილში .

ცხრილი 1

არჩევნების დასახელება	სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა (სულ)	სომხურენოვანი	აზერბაიჯანულენოვანი
საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნები	2 681	1 343	1 338
ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნები	2 742	1 368	1 374
საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნები	1 639	762	877
საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბერს გამართული არჩევნები	1 579	861	718

³⁰ოქვე, გვ. 17-20

³¹საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2018 წლის 20 ნოემბრის №03-07/2072 წერილი

ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მცხოვრები სომხურ და აზერბაიჯანულენოვანი ამომრჩევლებისთვის ითარგმნა და დაიბეჭდა საარჩევნო დოკუმენტაცია, მათ შორის საარჩევნო ბიულეტენი, ამომრჩეველთა ერთიანი სია, ასევე ამომრჩეველთა ინფორმირებისთვის განკუთვნილი საინფორმაციო მასალები.

ცესკოს მიერ მომზადებული ვიდეორგოლები ითარგმნა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე, მათ შორის, მომზადდა ვიდეორგოლი ეთნიკური უმცირესობებისთვის ხელმისაწვდომი სერვისების შესახებ. რგოლები განთავსდა ცესკოს ვებგვერდზე, სოციალურ ქსელსა და რეგიონული ტელევიზიების ეთერში. ცესკომ ასევე მოამზადა რადიო რგოლები.

საარჩევნო ადმინისტრაციამ ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში განახორციელა ოთხი მნიშვნელოვანი საარჩევნო და სამოქალაქო საგანმანათლებლო პროგრამა, როგორც საჯარო სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისთვის, სტუდენტებისა და ზოგადად ახალგაზრდებისთვის, ისე ნებისმიერი ასაკის ამომრჩევლებისთვის. კერძოდ,

„საარჩევნო განვითარების სკოლა“ 18-25 წლის ახალგაზრდებისთვის

პროგრამის მიზანს წარმოადგენდა ახალგაზრდებში არჩევნების პოპულარიზაცია, სამოქალაქო ჩართულობის გაზრდა, საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის ტრენერის უნარ-ჩვევების განვითარება და საარჩევნო ადმინისტრაციაში დაგროვებული ცოდნის გაზიარების გზით დამატებითი ადამიანური რესურსის შექმნა. დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია მე-2 ცხრილში .

ცხრილი 2

წელი	სერტიფიცირებულთა რაოდენობა (სულ)	ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მცხოვრებ მონაწილეთა რაოდენობა	ქალი	კაცი
2015	627	21	5	16
2016	453	8	7	1
2017	453	15	6	9
2018	472	10	2	8
2019	463	62	36	26
2020	578	49	33	16

„საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები“ 18 წლიდან მოქალაქეებისთვის

პროგრამის მიზანს წარმოადგენდა საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება და საარჩევნო ადმინისტრაციაში კვალიფიციური საკადრო რესურსის ფორმირების ხელშეწყობა. დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია მე-3 ცხრილში .

ცხრილი 3

წელი	სერტიფიცირებულთა რაოდენობა (სულ)	ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მცხოვრებ მონაწილეთა რაოდენობა	ქალი	კაცი
2015	193	172	80	92
2016	804	246	115	131
2017	5247	306	141	165
2018	5551	470	165	305
2019	7669	1235	734	501
2020	6416	1078	693	385

„არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“ საჯარო სკოლების XI-XII კლასების მოსწავლეებისთვის.

პროგრამის მიზანს წარმოადგენდა ახალგაზრდებში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება და სამოქალაქო პასუხისმგებლობის ზრდის ხელშეწყობა. დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია მე-4 ცხრილში .

ცხრილი 4

წელი	სერტიფიცირებულთა რაოდენობა (სულ)	ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მცხოვრებ მონაწილეთა რაოდენობა	ქალი	კაცი
2015	1356	652	346	306
2016	1235	722	399	323

2017	1645	391	217	174
2018	1857	168	120	48
2019	2763	457	259	198
2020	<i>კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით მიღებული ზომებიდან გამომდინარე, პროექტი ვერ განხორციელდა.</i>			

„სასწავლო კურსი საარჩევნო სამართლის დარგში“ ახალციხის უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის

პროგრამა მიზნად ისახავდა სტუდენტებისთვის აუცილებელი პროფესიული ცოდნის გაღრმავებას საარჩევნო სამართალში, მათი პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებასა და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობას. დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია მე-5 ცხრილში.

ცხრილი 5

წელი	სერტიფიცირებულთა რაოდენობა (სულ)	ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მცხოვრებ მონაწილეთა რაოდენობა	ქალი	კაცი
2016	686	46 ³²	-	-
2017	750	54	33	21
2018	633	64	40	24
2019	635	62	34	28
2020	370	11	9	2

ამასთან, 2017-20120 წლებში, საარჩევნო ადმინისტრაციამ განახორციელა საინფორმაციო კამპანია „ვესაუბრებით ამომრჩევლებს“. საინფორმაციო შეხვედრები გაიმართა საქართველოს მასშტაბით, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების მუნიციპალიტეტების ცენტრებსა და სოფლებში, რომლებიც ასევე მოიცავდა ქისტებით (პანკისის ხეობა), ხუნძებით და ბოშათა თემით დასახლებულ სოფლებს. კამპანიის ფარგლებში გავრცელდა ფლაერები ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

აღნიშნული პროექტები, როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი მახასიათებლების ჭრილში ემსახურება შუალედური მიზნის ამოცანის - ეთნიკურ უმცირესობათა მიერ ხმის მიცემისა და ინფორმირებული არჩევანის გაკეთების უზრუნველყოფა.

³² 2016 წელს სერტიფიცირებულ პირთა მონაცემები გენდერულ ჭრილში არ დამუშავებულა

საარჩევნო პერიოდში, ცესკოს სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩევლებს საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღება შეეძლოთ სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი ოპერატორებისგან.

ასევე, განხორციელდა მცირე გრანტების გაცემა სამოქალაქო ორგანიზაციებისა და უმცირესობათა თემებისათვის - არჩევნების მნიშვნელობის შესახებ საინფორმაციო კამპანიის წარმოებისა და საარჩევნო კულტურის გაძლიერების მიზნით. შესაბამისად, 2015-2020 წლებში, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველთა საარჩევნო პროცესში მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით, დაფინანსდა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების 74-მდე პროექტი, რომლის ბიუჯეტმა შეადგინა 2 000 000 ლარზე მეტი. პროექტების განხორციელების გეოგრაფიული არეალი სრულად მოიცავდა ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებს.

ამოცანა 1.4.2 საარჩევნო პარტიულ სიებსა და პოლიტიკურ პარტიათა საქმიანობაში ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლების მონაწილეობის წახალისება

2015-2020 წლების განმავლობაში შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურები, მათ შორის შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი აქტიურად თანამშრომლობდნენ იმ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომლებიც თავიანთი საქმიანობით ხელს უწყობდნენ პოლიტიკურ პარტიათა გაძლიერებას, მათ შორის უმცირესობათა სამოქალაქო ჩართულობისა და პარტიებში უმცირესობების მოზიდვის თვალსაზრისით.

2016 წლიდან შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი აქტიურად თანამშრომლობდა არასამთავრობო ორგანიზაციასთან – „ნიდერლანდების ინსტიტუტი მრავალპარტიული დემოკრატიისთვის“ – NIMD – (Netherlands Institution for Multiparty Democracy), ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრთან (CSEM), სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ცენტრთან (“რონდელის ფონდი”), რომლებიც ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა საკითხებში უმაღლესი კომისრის ოფისის მხარდაჭერით ახორციელებდნენ პროექტებს, რომლის ფარგლებშიც ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობის გაუმჯობესების მიზნით გათვალისწინებული იყო ლექციები და სემინარები, სტაჟირება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდებისთვის პოლიტიკურ პარტიებში, სატელევიზიო თოქშოუების სერია ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე და მათი მონაწილეობით.

ამოცანა 1.4.3 პოლიტიკური მონაწილეობისათვის სამართლებრივი ბაზის გაუმჯობესება

აღნიშნული აქტივობის შესრულების ან აქტივობასთან რელევანტური საქმიანობის განხორციელების შესახებ ინფორმაცია სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშებში

წარმოდგენილი არ არის. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მთავარი პასუხისმგებელი ორგანიზაციები, რომლებსაც შეუძლიათ პოზიტიური წვლილი შეიტანონ ეთნიკურ უმცირესობათა პოლიტიკური მონაწილეობის პროცესში, არიან პოლიტიკური პარტიები. ამ კუთხით მნიშვნელოვანია თავად პოლიტიკური პარტიების მიერ ამომრჩეველთა მოზიდვის პროცესში ეთნიკური უმცირესობების წახალისება, ასევე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის ქართული ენის ხარისხიანად შესწავლის შესაძლებლობის შეთავაზება და ზოგადი განათლების მიმართულებით რეფორმების განხორციელება. ამავდროულად, წარმომადგენლობის გაზრდასთან ერთად მნიშვნელოვანია უმცირესობათა წარმომადგენლები უფრო მეტად გააქტიურდნენ და საკუთარი ჯგუფის ინტეგრაციის მიმართულებით სასარგებლო ინიციატივები წარმოადგინონ.


ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები საქართველოს პარლამენტში

ფართო განხილვის საკითხს წარმოადგენს ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური მონაწილეობის კორელაცია საარჩევნო სისტემებთან. პროპორციული საარჩევნო სისტემის გარკვეული ვარიაციები ზოგადად უფრო უკეთ უზრუნველყოფს ეთნიკური უმცირესობების ფართო წარმომადგენლობას, თუმცა, ისეთ ოლქებში, სადაც ეთნიკური უმცირესობები შეადგენენ უმრავლესობას, მაჟორიტარული სისტემები უფრო ეფექტურია. არჩევნების მაჟორიტარული ნაწილი პოლიტიკურ პარტიებს უბიძგებს, რომ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ საარჩევნო ოლქებში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებად ამავე უმცირესობების წევრები წარადგინონ. რაც შეეხება შერეული საარჩევნო სისტემის მოდელს, ერთი შეხედვით, საკმაოდ ეფექტური უნდა იყოს იმ თვალსაზრისით, რომ აერთიანებს ორივე სისტემის მახასიათებლებს, თუმცა, ის სრულად ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის პარლამენტში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობითობას. ასევე აღსანიშნავია, რომ პარლამენტში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობაზე გავლენას ახდენს საარჩევნო ზღვარიც. მაღალი ბარიერის პირობებში მხოლოდ რამდენიმე მსხვილი სუბიექტი იღებს მანდატებს, რაც პატარა პარტიებს პროპორციული წესით პარლამენტში მოხვედრის შესაძლებლობას უზღუდავს და მთლიანი მანდატები მსხვილ პარტიებზე ნაწილდება, რაც სიების ბოლოში მყოფ ეთნიკურ უმცირესობებს საპარლამენტო მანდატების მოპოვების საშუალებას აძლევს.

არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს გათვალისწინებით ეთნიკური უმცირესობების არჩევა პარლამენტის წევრებად დამოკიდებულია პროპორციული სისტემის შემთხვევაში პოლიტიკური პარტიების მხრიდან საარჩევნო სიებში ეთნიკური უმცირესობების კანდიდატების გათვალისწინებაზე, მაჟორიტარული სისტემის შემთხვევაში კი, ანალოგიურად პოლიტიკური პარტიების ან საინიციატივო ჯგუფების მიერ ეთნიკური უმცირესობების დასახელებაზე მაჟორიტარული ოლქის კანდიდატად. დამკვიდრებული პრაქტიკა აჩვენებს, რომ წამყვანი პოლიტიკური პარტიები ნაკლებად არიან ორიენტირებულები პარტიულ საქმიანობაში ეთნიკური უმცირესობების მოზიდვით, რაც

შემდგომში აისახება კიდევ პარტიულ საარჩევნო სიებში ეთნიკურ უმცირესობათა სიმცირეში. ანალოგიური პრობლემა იჩენს თავს მაჟორიტარული სისტემით არჩევნებშიც. გასული წლების არჩევნების პრაქტიკა აჩვენებს, რომ ეთნიკურ უმცირესობებს გარანტირებული წარმომადგენლობა მხოლოდ ორ საარჩევნო - ახალქალაქის და ნინოწმინდის ოლქებში ჰქონდათ, რაც განპირობებული იყო ამ მუნიციპალიტეტებში ეთნიკური სომხების მაღალი კონცენტრაციით (მოსახლეობის 95-98%), ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული მუნიციპალიტეტების სხვა ოლქებიდან კი, მათი არჩევა დამოკიდებული იყო იმაზე, თუ პოლიტიკური პარტია შეაჩერებდა არჩევანს უმცირესობის წარმომადგენელზე. 2015 წელს საარჩევნო კოდექსში განხორციელებული ცვლილებებით, რასაც შედეგად მოჰყვა შედარებით წვრილი საარჩევნო ოლქების გამსხვილება და გაერთიანება მაჟორიტარული სისტემით ეთნიკური უმცირესობების არჩევის ალბათობა კიდევ უფრო შეამცირა, რადგან გაერთიანდა ის რამდენიმე ოლქი, საიდანაც ეთნიკურ უმცირესობებს რამდენიმე კანდიდატის არჩევის საშუალება ჰქონდათ. კერძოდ, ახალქალაქისა და ნინოწმინდის საარჩევნო ოლქების გაერთიანებით 2016 წლიდან, ფაქტობრივად, რეგიონიდან ერთით ნაკლები უმცირესობის წარმომადგენელი აირჩევა. ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამა 1-ში მოცემულია მაჟორიტარული და პროპორციული წესით არჩეული დეპუტატების რაოდენობა დინამიკაში.

დიაგრამა 1. მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემის შესაბამისად არჩეული ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტის წევრები




წყარო: ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრი.

2020 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის განხორციელდა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო სიახლეები. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციასა და საქართველოს

ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ განხორციელდა ცვლილებები, რომლითაც არსებითად შეიცვალა საარჩევნო სისტემა: დაიხვეწა ზოგიერთი ნორმა, აღმოიფხვრა შეუსაბამობები, ხარვეზები და გამარტივდა ზოგიერთი საარჩევნო პროცედურა, კერძოდ, შეიცვალა საქართველოს პარლამენტის შემადგენლობა, პარლამენტის არჩევნების შედეგად არჩეული პარლამენტი შედგება პროპორციული სისტემით არჩეული 120 და მაჟორიტარული სისტემით არჩეული 30 პარლამენტის წევრისგან. ასევე შეიცვალა პროპორციული სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგად საქართველოს პარლამენტის წევრთა მანდატების განაწილების წესი და ის ნაწილდება იმ პოლიტიკურ პარტიებზე, რომლებიც არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების ერთ პროცენტს მაინც მიიღებდნენ, ასევე იმ საარჩევნო ბლოკებზე, რომელთა მიერ მიღებული ხმების პროცენტული მაჩვენებელი ერთი პროცენტისა და საარჩევნო ბლოკში შემავალი პოლიტიკური პარტიების რაოდენობის ნამრავლს შეადგენდა.

მიუხედავად იმისა, რომ ინტერვიუების მიმდინარეობისას პოლიტიკური პარტიების უმეტესობამ ეთნიკურ უმცირესობათა უფრო მეტად ინტეგრაციის აუცილებლობაზე გაამახვილა ყურადღება, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის რეგისტრირებულ პარტიულ სიებში ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლობა კვლავაც დაბალია და აქამდე ჩატარებულ არჩევნებთან შედარებით პროგრესი არ შეინიშნება. ეთნიკური უმცირესობების ნაყოფიერი და სრულყოფილი ჩართვა ზოგად პოლიტიკურ პროცესებში სრულად დამოკიდებულია კონკრეტულ პოლიტიკურ პარტიებსა და მათი კონკრეტული ლიდერების კეთილ ნებაზე. ეთნიკურ უმცირესობათა პოლიტიკური მონაწილეობის განმსაზღვრელ ინდიკატორად თუ მივიჩნევთ უმცირესობათა მონაწილეობას საპარლამენტო საქმიანობასა და აღმასრულებელ ხელისუფლებაში, მდგომარეობა არც თუ ისე სახარბიელო იქნება. ეთნიკური უმცირესობები ყოველი მოწვევის საქართველოს პარლამენტში არიან წარმოდგენილები, თუმცა მათი რაოდენობა და პროცენტულობა მუდმივად მერყეობს. ქვეყანაში ეთნიკური უმცირესობის საერთო რაოდენობის გათვალისწინებით, ყველაზე ადეკვატური და პროპორციული წარმომადგენლობა 2016 წელს არჩეულ საქართველოს პარლამენტში იყო, სადაც ეთნიკური უმცირესობები 11 პარლამენტის წევრით იყვნენ წარმოდგენილები, რაც დეპუტატთა საერთო რაოდენობის 7.33% შეადგენდა. ქვემოთ მოცემულ დიაგრამა 2-ში ასახულია საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში ეთნიკური აზერბაიჯანელებისა და სომხების რაოდენობა დინამიკაში.


დიაგრამა 2. საქართველოს პარლამენტის ეთნიკური შემადგენლობა



წყარო: ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრი.


2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე, მეათე მოწვევის პარლამენტში ეთნიკური უმცირესობებიდან 6 ადამიანი არის წარმოდგენილი (დეპუტატთა საერთო რაოდენობის 4%). აქედან, პროპორციული წესით აირჩა 4 დეპუტატი, ხოლო მაჟორიტარული წესით - 2 დეპუტატი. შესაბამისად, მეათე მოწვევის პარლამენტში წინა მოწვევის პარლამენტთან შედარებით ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ დეპუტატთა რაოდენობა 11-დან 6-მდე (3.33%-ით) შემცირდა. იხ. დიაგრამა 3 და 4.

დიაგრამა 3. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგების მიხედვით მეათე მოწვევის პარლამენტში ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი დეპუტატების რაოდენობა



წყარო: ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრი.

დიაგრამა 4. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში პროპორციული და მაჟორიტარული წესით არჩეული დეპუტატები ეთნიკური უმცირესობიდან




წყარო: ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრი

პოლიტიკური ჩართულობა ადგილობრივ დონეზე

ადგილობრივ არჩევით ორგანოებში ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლობითობა 2017 წლის ადგილობრივი არჩევნების შედეგად შემდეგნაირად გამოიყურება: 64-დან 21 მუნიციპალიტეტში არჩეულია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მინიმუმ ერთი კანდიდატი, სულ 165 პირი.³³ ქვემოთ მოცემული დიაგრამა აჩვენებს იმ საკრებულოების ეთნიკურ შემადგენლობას, რომლებშიც წევრების მინიმუმ 20% ეთნიკურ უმცირესობებს მიეკუთვნება. რვა ასეთი მუნიციპალიტეტი იმ რეგიონებშია, სადაც ეთნიკური უმცირესობები კომპაქტურად სახლობენ.

³³ http://csem.ge/wp-content/uploads/2018/06/Competing-for-Votes-of-Ethnic-Minorities_Geo.pdf?fbclid=IwAR1PUZUzKp7ghbK3KvnhQ-4k_SMgik3bWtmFi8uO55E5KqFzBbBIoWWpDk


დიაგრამა 5. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობა საკრებულოებში



წყარო: ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრი.

2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით, საქართველოში ექვსი ისეთი მუნიციპალიტეტია, სადაც ეთნიკურად ქართველები უმცირესობაში არიან: ახალქალაქი, ბოლნისი, დმანისი, მარნეული, ნინოწმინდა და წალკა (იხილეთ დიაგრამა 6 ქვემოთ). 2017 წლის არჩევნების შედეგად კი, მხოლოდ სამი მუნიციპალიტეტია - მარნეული, ახალქალაქი და ნინოწმინდა, რომელთა საკრებულოებშიც ეთნიკურად ქართველები უმრავლესობას არ წარმოადგენენ. ბოლნისის, დმანისისა და წალკის საკრებულოებში ეთნიკურად ქართველები უმრავლესობაში არიან.

დიაგრამა 6. მუნიციპალიტეტების ეთნიკური შემადგენლობა




წყარო: 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერა, საქსტატი.

დიაგრამა 6 აჩვენებს, რომ მოცემულ რვა მუნიციპალიტეტში ცხოვრობს 102788 ქართველი, 90370 ეთნიკური სომეხი და 170830 ეთნიკური აზერბაიჯანელი, თუმცა მათ შესაბამისად მიიღეს 13281 და 58 ადგილი რვა საკრებულოში. ეს ნიშნავს, რომ საშუალოდ 779 ქართველს ჰყავს ერთი წარმომადგენელი საკრებულოში, მაშინ როდესაც 1116 ეთნიკურად სომეხსაც და 2945 ეთნიკურად აზერბაიჯანელსაც - თითო-თითო წარმომადგენელი.³⁴ ეს რიცხვები იმის მანიშნებელია, რომ ეთნიკური უმცირესობები მთლიანობაში ნაკლებად არიან წარმოდგენილნი საკრებულოებში, ვიდრე ქართველები.

³⁴http://csem.ge/wp-content/uploads/2018/06/Competing-for-Votes-of-Ethnic-Minorities_Geo.pdf?fbclid=IwAR1PUZUzKp7ghbK3KvnhQ-4k_SMgik3bWtmFi8uO55E5KqFzBbBIoWWpDk

დიაგრამა 7. რვა მუნიციპალიტეტისა და მათი საკრებულოების ეთნიკური შემადგენლობის შედარება



წყარო: ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრი.

ამგვარად, მონაცემებზე დაყრდნობით ნათელი ხდება, რომ საქართველოში ეთნიკური უმცირესობები რიგ მუნიციპალიტეტებში არასათანადოდ არიან წარმოდგენილი ადგილობრივ დონეზე. შედეგად, იქმნება შთაბეჭდილება, რომ საკუთარი ამომრჩევლების ეთნიკური შემადგენლობის პროპორციულად ასახვა ჯერჯერობით, შესაძლოა, არ წარმოადგენდეს ქართული პოლიტიკური პარტიების უმთავრეს პრიორიტეტს ან შესაძლოა, არც იყოს ამისთვის სათანადო რესურსი.

რაც შეეხება აღმასრულებელ ხელისუფლებას, უმცირესობათა თემების ინტერესების გამომხატველი წარმომადგენლობა ძირითადად გვხვდება ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებსა და მუნიციპალიტეტებში. მთელ რიგ მუნიციპალიტეტებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები იკავებენ როგორც გამგებლის, გამგებლის მოადგილეების თუ სხვა საკვანძო თანამდებობებს.

სამოქალაქო და პოლიტიკური ჩართულობისთვის დამატებით ამოქმედებული ინიციატივები

ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის პოლიტიკა ასევე ითვალისწინებს სამოქალაქო მონაწილეობის განზომილებას. სამოქალაქო მონაწილეობის თვალსაზრისით უკანასკნელი წლების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებს გააჩნიათ სამოქალაქო პროცესებში მონაწილეობის ადეკვატური შესაძლებლობები (სამოქალაქო აქტივობა, საკუთარი პრობლემებისა და მიმდინარე გამოწვევების გაჟღერება),

სახელმწიფოს მხრიდან ასევე ხელშეწყობილია კომუნიკაციის, კონსულტირებისა და ადვოკატირების ინსტიტუციური მექანიზმები. თუმცა ასეთი პოზიტიური ფონის მიუხედავად მთავარ გამოწვევად რჩება ეთნიკურ უმცირესობათა ორგანიზაციებისა და სათემო გაერთიანებების არამდგრადობა და არასაკმარისი მომზადება დამოუკიდებლად აწარმოონ სამოქალაქო აქტივიზმი, კერძოდ ადვოკატირება, მონიტორინგი თუ ლობირება. ეთნიკურ უმცირესობათა სამოქალაქო მონაწილეობა დიდწილად დამოკიდებულია გარეშე ფინანსურ უზრუნველყოფაზე, რომლის არარსებობის შემთხვევაში აღნიშნული ორგანიზაციები ვერ ახერხებენ თვითმობილიზებას.

ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ ბოლო წლების განმავლობაში სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის ფარგლებში დაინერგა რიგი ინიციატივები, რამაც ხელი შეუწყო ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკურ და სამოქალაქო პროცესებში ჩართულობის გაუმჯობესებას. კერძოდ, ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის თვალსაზრისით მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს 2017 წლიდან ამოქმედებული საზოგადოებრივ-საკონსულტაციო საბჭოები სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციების ბაზაზე, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის, ასევე შესაბამის სამხარეო ადმინისტრაციის ფარგლებში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, თემის ლიდერები.

საკონსულტაციო მექანიზმს წარმოადგენს ასევე ქ. თბილისის საკრებულოსთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭო და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებული ეთნიკურ უმცირესობათა სამოქალაქო ჩართულობაზე ორიენტირებული სტრუქტურა - „მეგობრობის სახლი“, რომელიც ბათუმის მერიის მიერ იქნა დაარსებული და ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება. როგორც ქ. თბილისში, ასევე რეგიონებში არსებული ეთნიკურ უმცირესობათა საკონსულტაციო და ჩართულობაზე ორიენტირებული სტრუქტურების ფუნქციონირება მნიშვნელოვანია.

შუალედური მიზანი 1.5 ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებისათვის მასმედიასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

ამოცანა 1.5.1 უმცირესობების ენებზე სამაუწყებლო პროგრამებისა და ელექტრონული/ბეჭდვითი მედიის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა

ამოცანა 1.5.2 სამაუწყებლო პროგრამებში ეთნიკური უმცირესობების ენებზე მათი თემატიკის გაშუქებისა და მონაწილეობის უზრუნველყოფა

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის დოკუმენტში მნიშვნელოვანი პრიორიტეტი ენიჭება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების მედიასა და ინფორმაციაზე წვდომის უზრუნველყოფას. ამ კუთხით, მნიშვნელოვანია

მათთვის გასაგებ ენებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, რაც ხელს უწყობს მათ ქვეყნის ერთიან საინფორმაციო სივრცეში ჩართვას.

საერთო ეროვნული და დემოკრატიული ფასეულობების გავრცელებისა და განმტკიცებისათვის დღის წესრიგში დგას სახელმწიფოში მიმდინარე სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების შესახებ ინფორმირების, მედია-საკომუნიკაციო საშუალებებით ეთნიკურ უმცირესობათა თემატიკის გაშუქების და სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლის საქმიანობის პოპულარიზაციის, შესაბამისი მედიაპროდუქტების მომზადებითა და ეთერში განთავსებით ტოლერანტობისა და კულტურული პლურალიზმის მხარდაჭერის საჭიროება.

ზემოაღნიშნული ამოცანების მისაღწევად მთავარ აქტორად განსაზღვრული იყო საზოგადოებრივი მაუწყებელი, რომლის ეფექტური მუშაობის გარეშე სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკა ვერ იქნება წარმატებული. ამ მხრივ მნიშვნელოვანი იყო მედიასაშუალებების მიერ ისეთი მედიაპროდუქტების მომზადება, რაც ეთნიკური უმცირესობებისთვის მშობლიურ ან გასაგებ ენაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობას გააუმჯობესებდა და მათ ობიექტურ ინფორმაციაზე მუდმივი წვდომის შესაძლებლობას მისცემდა. დასახული ამოცანების შესრულებისთვის მთავარ გამოწვევას სახელმწიფო ენის არცოდნის გამო ინფორმაციაზე წვდომის პრობლემა და უცხო ქვეყნის მედიასაშუალებების მზარდი ნეგატიური ზეგავლენა წარმოადგენდა. საანგარიშო პერიოდში აღნიშნული გამოწვევების დასაძლევად გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები, თუმცა მომავალში საკითხისადმი კომპლექსური მიდგომის გარეშე, მხოლოდ მედიასაშუალებების რესურსით, დასახული მიზნების მიღწევა არაეფექტური და არარეალისტური იქნება.

საზოგადოებრივი მაუწყებელი³⁵

შუალედური მიზნის მიღწევის მიმართულებით წამყვანი განმახორციელებელი აქტორი იყო საზოგადოებრივი მაუწყებელი. საზოგადოებრივი მაუწყებელი წლების განმავლობაში მედიასივრცეში ერთადერთ საერთო ეროვნულ მედიასაშუალებად რჩება, რომლის ერთ-ერთი პრიორიტეტი ეთნიკური უმცირესობების ენებზე მაუწყებლობის უზრუნველყოფა და ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებაა. რაც შეეხება კერძო მედიასაშუალებებს, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული მუნიციპალიტეტები მათი ინტერესის საგანს ძირითადად მაშინ წარმოადგენს, როდესაც ამ რეგიონებში გახმაურებული კრიმინალური შემთხვევა ან საარჩევნო პროცესთან დაკავშირებული „ხმაურიანი“ ფაქტი ფიქსირდება. ამ ეტაპზე არ არსებობს რაიმე ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც კერძო სატელევიზიო კომპანიებს ეთნიკური უმცირესობების ენებზე მაუწყებლობის ინტერესს გაუჩინს.

კერძო სატელევიზიო კომპანიებისგან განსხვავებით, მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლი („თ“ პუნქტი) საზოგადოებრივ მაუწყებელს ავალდებულებს „პროგრამებში ასახოს საზოგადოებაში არსებული ეთნიკური, კულტურული, ენობრივი,

³⁵საზოგადოებრივი მაუწყებელი აერთიანებს ორ ტელეარხს - საქართველოს პირველი არხი და მეორე არხი (ამჟამად პირველი არხი | ტელესკოლა), ასევე რადიოარხებს - საქართველოს რადიო FM 102.3, საქართველოს რადიო მუსიკა FM 100.9

რელიგიური, ასაკობრივი და გენდერული მრავალფეროვნება“.³⁶ შესაბამისად, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ხელი უნდა შეუწყოს ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ ეთნიკური უმცირესობების ინფორმირებულობას და ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებულ საკითხებზე საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდას და ამისთვის აღნიშნული მიმართულებით უნდა მოამზადოს და ეთერში განათავსოს მედიაპროდუქცია.

თანამშრომლობის მემორანდუმი და მედიასტრატეგია

წლების განმავლობაში დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად,³⁷ საზოგადოებრივი მაუწყებელი აქტიურად თანამშრომლობდა სხვადასხვა უწყებასთან სამოქალაქო ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში, მონაწილეობას იღებდა სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში. თუმცა, 2017 წელს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა დატოვა უწყებათაშორისი კომისიის შემადგენლობა, რაც ნეგატიურ ნაბიჯად შეიძლება შევაფასოთ, რადგან მსგავსი გადაწყვეტილება სამოქალაქო ინტეგრაციის სფეროში მედიის მიმართულებით საქმიანობის დაგეგმვისა თუ განხორციელების დროს კოორდინაციის პრობლემას შექმნის.

უწყებათაშორისი კომისიის დატოვების მიუხედავად, საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამულ დოკუმენტებსა და სტრატეგიებში ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხები პრიორიტეტულ მიმართულებას ინარჩუნებს. ამ მხრივ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა. უპირველეს ყოვლისა ეს ეხება ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მცხოვრები მოქალაქეების ინფორმირების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სამოქმედო გეგმის და სპეციალური პროგრამების შემუშავებას.

2017 წელს, ეთნიკური უმცირესობების მედიაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის ხელშესაწყობად საზოგადოებრივმა მაუწყებელმა შეიმუშავა და დაამტკიცა სპეციალური მედიასტრატეგია, და სამოქმედო გეგმა, რომლის მიზანია, ერთი მხრივ, სრულყოფილი ინფორმაცია მიაწოდოს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს მათთვის გასაგებ ენაზე, მეორე მხრივ კი, ქართულენოვან მოსახლეობაში მოახდინოს ეთნიკური უმცირესობების კულტურის, ტრადიციებისა და ღირებულებების პოპულარიზაცია, ასევე წარმოაჩინოს ქვეყნის ცხოვრებაში მათი მონაწილეობის როლი და მნიშვნელობა.

საზოგადოებრივი მაუწყებლის 2018-2021 წლების პროგრამულ პრიორიტეტებში საზოგადოებრივი ჯგუფების, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების ინფორმირება ერთ-ერთ სტრატეგიულ მიზნად არის განსაზღვრული. ამ მიმართულებით მედიაპროდუქცია და ხარჯები უნდა განაწილდეს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის მომსახურებისთვის, მათ შორის ეთნიკური ჯგუფების მომსახურებისთვის.³⁸

საზოგადოებრივი მაუწყებლის 2019 წლის ანგარიშში მაუწყებლის შინაარსობრივ პრიორიტეტებში მითითებულია, რომ პროდუქციაში უნდა აისახოს ეთნიკური

³⁶ საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ: <https://bit.ly/3hFEOv4>

³⁷ შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და 2009-2014 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასების დოკუმენტი, ივნისი 2014.

³⁸ საქართველოს პირველი არხი, *ანგარიში -2018*, <https://bit.ly/2RCCvOE>

უმცირესობებით დასახლებული რეგიონებისთვის აქტუალური საკითხები. დოკუმენტის მიხედვით, მედიასტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესაბამისად უნდა მომზადდეს საქართველოში არსებული რელიგიური და ეთნიკური ჯგუფების კულტურის, ტრადიციების, ფასეულობების, ყოფის, საჭიროებების, პრობლემების, წარმატებების, მნიშვნელოვანი თარიღებისა და სხვა მნიშვნელოვანი და საინტერესო საკითხების ამსახველი მედიაპროდუქტი. უზრუნველყოფილი უნდა იყოს ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების წარმომადგენელთა ჩართულობა პროდუქციის მომზადების პროცესში და საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ მომზადებულ გადაცემებში მათი სტუმრის რანგში მოწვევა.³⁹

„მრავალფეროვანი საქართველო“⁴⁰

2017 წელს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველმა არხმა შეიმუშავა პროექტი „მრავალფეროვანი საქართველო“ და დაიწყო მისი განხორციელება. პროექტის მიზანია საქართველოს მოქალაქე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ინფორმირებულობის გაზრდა, მოქალაქეობრივი ცნობიერების ამაღლება, მრავალფეროვან კულტურათა დიალოგისა და ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა. საანგარიშო პერიოდში პროექტის ფარგლებში სხვადასხვა ენაზე მომზადდა დოკუმენტური მასალები საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების შესახებ. საზოგადოებრივი მაუწყებლის მედიაპროდუქცია ითარგმნა ეთნიკური უმცირესობების ენებზე. საინფორმაციო გამოშვება „მოამბე“ მზადდება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე. „მრავალფეროვანი საქართველოს“ პროექტის ფარგლებში, აზერბაიჯანული და სომხურენოვანი ონლაინრადიო და ტელევიზია ვებპორტალზე - www.1tv.ge 12-საათიანი უწყვეტი პირდაპირი ეთერით მაუწყებლობს.

მიუხედავად იმისა, რომ პროექტის არსებობა პოზიტიური ნაბიჯია, პროექტის ფარგლებში მომზადებული პროგრამების პოპულარიზაციისა და ყურებადობის საკითხი საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის გამოწვევად რჩება. „მრავალფეროვანი საქართველოს“ ფარგლებში მომზადებული პროგრამების, ისევე როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის სხვა პროგრამების შესახებ, ნაკლებად არის ცნობილი რეგიონებში ადგილობრივი მოსახლეობისათვის, მათ შორის მედიის წარმომადგენელთათვის. ასევე, მათზე დაყრდნობით, პირველი არხის წარმომადგენლები იშვიათად ამოწმებენ, ზომავენ და იღებენ უკუკავშირის პროგრამებთან დაკავშირებით ადგილობრივ დონეზე.⁴¹

საინფორმაციო პროგრამა „მოამბე“ და მაუწყებლობის ახალი ფორმატი

საქართველოს პირველი არხის მთავარი მედიაპროდუქტი არის საინფორმაციო პროგრამა „მოამბე“. პროგრამა წლების განმავლობაში ქართულ მედიასივრცეში ერთადერთ გადაცემად რჩებოდა, რომელიც ეთნიკური უმცირესობების ენებზე მზადდებოდა და სამიზნე ჯგუფებს საქართველოსა და მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებზე აწვდიდა ინფორმაციას. საანგარიშო პერიოდში საზოგადოებრივმა მაუწყებელმა უზრუნველყო საინფორმაციო პროგრამა

³⁹ საქართველოს პირველი არხი, *ანგარიში -2019*, <https://bit.ly/33FxoTo>

⁴⁰ პროექტის შესახებ იხ.: <https://bit.ly/3kBpbqw>

⁴¹ სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი, ეროვნულ უმცირესობათა საბჭო, *სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგები, 2017-2018*, <http://ombudsman.ge/res/docs/2020092518514921894.pdf>

„მოამბის“ ეთნიკური უმცირესობების ხუთ ენაზე გადაცემა, როგორც საკუთარი ეთერით, ასევე დამატებით რეგიონული მედიასაშუალებებით (მათ შორის იყო ბოლნისის ტელეარხი „ბოლნელი“, „მარნეული ტვ“, ნინოწმინდის ტელევიზია „ფარვანა“, ახალქალაქის ტელევიზია „ATV12“ და ზუგდიდის ტელევიზია „ოდიში“).

2016 წლიდან საინფორმაციო გამოშვება „მოამბე“ ყოველდღე გადაიცემოდა ქართული, სომხური და აზერბაიჯანული ენის მატარებელი ხმოვანი ბილიკების თანხლებით, რაც წინ გადადგმული ნაბიჯი იყო ეთნიკური უმცირესობებისთვის ინფორმაციის მიწოდების გაუმჯობესების თვალსაზრისით. აღნიშნული ინიციატივა ხორციელდებოდა აშშ-ის საელჩოს მიერ მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში.⁴² საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხის⁴³ ეთერში მაყურებელს ასევე სთავაზობდა ყოველდღიურ გამოშვებებს (26-წუთიანი ქრონომეტრაჟით) აფხაზურ, ოსურ და რუსულ ენებზე, რაც 2017 წლის ივლისში შეწყდა.

2019 წელს შეიცვალა უმცირესობის ენებზე ახალი ამბების მაუწყებლობის ფორმატი. პროექტის „მრავალფეროვანი საქართველოს“ ფარგლებში მაუწყებლობა დაიწყო აზერბაიჯანულმა და სომხურენოვანმა ინტერნეტტელევიზიებმა Birinci Kanal (პირველი არხი) და *Առաջին Ալիք* (პირველი არხი). ორივე არხზე კოლაჟური საინფორმაციო გამოშვება გადაიცემოდა საათში ერთხელ, ხოლო შემაჯამებელი მოამბე 19 საათზე გადიოდა ყოველდღე, კვირის გარდა. 2020 წლის მეორე კვარტალიდან ფორმატი კიდევ შეიცვალა. ამჟამად 15 წუთიანი მოამბე გადის 12, 15, 18 და 20 საათზე. ხოლო, 21 საათზე გადის მოამბის 21-საათიანი გამოშვება სინქრონული თარგმანით სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

2019 წლიდან აზერბაიჯანულმა და სომხურენოვანმა ინტერნეტტელევიზიებმა დაიწყეს პროექტი „კვირის რეპორტაჟი“. პროგრამის ფარგლებში წარმატებულ ადამიანებსა და მიმდინარე აქტუალურ მოვლენებზე სიუჟეტებს ამზადებენ „მრავალფეროვანი საქართველოს“ ჟურნალისტები. კვირის რეპორტაჟი ინტერნეტარხებზე გადის ყოველ კვირას 20 საათზე. პროგრამის ქრონომეტრაჟია 10 წუთი. კვირის რეპორტაჟი პირდაპირ ეთერში გადის ვებგვერდზე 1TV.GE და ფეისბუქგვერდზე.

სომხურენოვანმა ინტერნეტ-ტელევიზიამ *Առաջին Ալიք* (პირველი არხი) დაიწყო ყოველკვირეული პროგრამა „შაბათ ერეკო“ (შაბათის საღამო). კულტურულ საგანმანათლებლო პროგრამის ქრონომეტრაჟია 15 წუთი. პროგრამა ყოველ შაბათს 20 საათზე გადის ვებგვერდზე 1TV.GE და ფეისბუქის მეშვეობით.

Birinci Kanal - მა დაიწყო პროექტი „*ƏNƏNƏÇƏLƏNG*“ (ტრადიციის ბუკეტი), რომელიც ეთერში გადის ყოველ სამშაბათს 20 საათზე. პროგრამა საქართველოში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელების ტრადიციებსა და მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე მოგვითხრობს. აზერბაიჯანულენოვანმა რედაქციამ დაიწყო საბავშვო პროგრამა „ფერადი სამყარო“ (*Rəngli Dünya*). გადაცემა გადის ყოველ ხუთშაბათს 20 საათზე. პროგრამის ქრონომეტრაჟია 20 წუთი. გადაცემაში მონაწილეობენ საქართველოში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელები.

⁴² საქართველოს პირველი არხი, *ანგარიში -2019*, <https://bit.ly/33FxoTo>

⁴³ 2020 წლიდან მეორე არხი რეორგანიზაციის შედეგად გადაკეთდა, როგორც პირველი არხის ტელესკოლა

ორივე ზემოაღნიშნულმა არხმა დაიწყო პროექტი „პოზიცია“ (MOVQE და ჩიქრიქიქი). ორივე პროგრამა გადის ყოველ პარასკევს 20 საათზე. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება კვირის განმავლობაში საქართველოში მომხდარი რომელიმე მნიშვნელოვანი ამბის შესახებ აზერბაიჯანულ და სომხურენოვანი მოსახლეობის გამოკითხვა.

2019 წლის აპრილიდან პროგრამის „ახალი კვირა“ სიუჟეტების აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე თარგმანი თავსდება შესაბამის ვებგვერდზე. „მრავალფეროვანი საქართველოს“ ჯგუფმა ასევე „ვოთსაფის“ საშუალებით დაიწყო აზერბაიჯანულ ენაზე ახალი ამბების გავრცელება, რაც ყოველდღიურად და ოპერატიულად ინფორმაციის გასაგებ ენებზე მიღების შესაძლებლობას ქმნის.⁴⁴

2019 წლის ანგარიშის მიხედვით საქართველოს პირველი არხის აუდიტორია გაიზარდა, თუმცა არ არის მონაცემები ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ მუნიციპალიტეტებში აუდიტორიის რაოდენობის შესახებ.⁴⁵ გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ სატელევიზიო რეიტინგების მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი რეგიონულ თუ ეთნიკურ ჭრილში, შეუძლებელია ზუსტად შევაფასოთ თუ რამდენად მიუწვდება ხელი ეთნიკურ უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ მოსახლეობას მათთვის განკუთვნილ გადაცემებზე და ზოგადად, როგორია მსგავსი გადაცემების რეიტინგი.

ვებპორტალი და სოციალური მედია

2017 წლის სექტემბრიდან საზოგადოებრივი მაუწყებლის ქოლგის ქვეშ ამოქმედდა შვიდენოვანი (ქართული, აფხაზური, ოსური, სომხური, აზერბაიჯანული, ინგლისური და რუსული) ვებპორტალი - www.itv.ge. ვებპორტალზე შვიდივე ენაზე მიმდინარეობს ქვეყანაში და უცხოეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის განახლება. პორტალი ინფორმაციის ოპერატიულად მიღების კარგი შესაძლებლობაა.⁴⁶ სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშებში შესრულების ინდიკატორებში მითითებული ინფორმაცია ვებგვერდების მნახველთა რაოდენობის შესახებ არ არის ხელმისაწვდომი. თუმცა, საქართველოს პირველი არხის კვარტალურ ანგარიშებში ხელმისაწვდომია ინფორმაცია ონლაინ (საიტი და YouTube არხი) მომხმარებელთა ერთიანი რაოდენობის შესახებ, მაგრამ არ არის ინფორმაცია არაქართულენოვანი ონლაინგვერდების მნახველთა სტატისტიკის შესახებ.⁴⁷

მრავალენოვანი ვებპორტალის გარდა, სოციალურ ქსელში ფუნქციონირებს გვერდი ექვს ენაზე. თუმცა, სოციალურ მედიაში უმცირესობების ენებზე პირველი არხის გვერდების მოწონების მაჩვენებელი დაბალია. 2020 წლის 24 სექტემბრის მონაცემებით, ბეისბუკში აზერბაიჯანულ გვერდს აქვს 1 331 მოწონება და 1 395 მიმდევარი ჰყავს, სომხურს - 5 311/5 430, აფხაზურს - 452/493, ოსურს - 307/326, რუსულს 2 071/2 226. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფეისბუკში პირველი არხის ქართულენოვან გვერდს აქვს 343 218 მოწონება და 423 576 მიმდევარი ჰყავს. მონაცემებში მსგავსი განსხვავება ქართულენოვან და უმცირესობების

⁴⁴ საქართველოს პირველი არხი, *ანგარიში -2019*, <https://bit.ly/33FxoTo>

⁴⁵ საქართველოს პირველი არხი, *ანგარიში -2019*, <https://bit.ly/33FxoTo>

⁴⁶ საზოგადოებრივი მაუწყებელი, *2017 წლის ანგარიში*, <https://bit.ly/3kkU5Dc>

⁴⁷ საქართველოს პირველი არხი, *მეორე კვარტლის ანგარიში - 2020*, <https://bit.ly/3hGCPGW>

ენებზე შექმნილ გვერდებს შორის არაქართულენოვანი გვერდების ნაკლები პოპულარიზაციითა და ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მოსახლეობის მხრიდან ნაკლები ინტერესით შეიძლება აიხსნას. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია განხორციელდეს მიზნობრივ ჯგუფებში სოციალურ მედიაში უმცირესობების ენებზე საზოგადოებრივი მაუწყებლის პოპულარიზაცია, რაც ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის ოპერატიული მიღების შესაძლებლობას ხელს შეუწყობს.

„ჩვენი ქართული ენა“

„ჩვენი ქართული ენა“ საქართველოს პირველი არხის პროექტია, რომელიც 2020 წელს მრავალფეროვანი საქართველოს ჯგუფმა განახორციელა და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ მუნიციპალიტეტებში ქართული ენის პოპულარიზაციას ისახავდა მიზნად. პროექტის სამიზნე ჯგუფი არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეები იყვნენ. პროექტის ფარგლებში, სომხური და აზერბაიჯანული სკოლების მეშვიდე კლასის მოსწავლეებისთვის ჩატარდა ოლიმპიადი ქართულ ენაში. ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის ფარგლებში ოლიმპიადი ონლაინრეჟიმში გაიმართა. გასაუბრების შედეგად ფინალურ ეტაპზე მეშვიდე კლასის 44 მოსწავლე გადავიდა.⁴⁸

„ტელესკოლა“ უმცირესობების ენებზე

ახალი კორონავირუსის პანდემიის პირობებში ცალსახად პოზიტიურ ნაბიჯად უნდა შეფასდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ მომზადებული პროექტი „ტელესკოლა“.⁴⁹ პანდემიის გამო შექმნილი კრიზისიდან გამომდინარე, 2020 წლის მარტში საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, სწავლების დისტანციურ რეჟიმზე გადავიდნენ. გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ სკოლების ნაწილმა სწავლის ონლაინრეჟიმში გაგრძელება ვერ მოახერხა, დისტანციურ სწავლებაზე ხელმისაწვდომობის მაქსიმალურად უზრუნველსაყოფად, განათლების სამინისტროსა და პირველი არხის მიერ მომზადდა პროექტი „ტელესკოლა“. სამინისტროსთან ერთად შეიქმნა გაკვეთილების ცხრილი, რომელმაც კლასების მიხედვით მოიცვა ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით დამტკიცებული საგნები. 30 მარტიდან „მეორე არხი“ გადაკეთდა საგანმანათლებლო პლატფორმად „პირველი არხი - ტელესკოლა“ და დაიწყო მოსწავლეებისთვის სატელევიზიო გაკვეთილების შეთავაზება. აღსანიშნავია ისიც, რომ ყველა გაკვეთილი ითარგმნება სურდო თარგმანით. პროექტის პირველ ეტაპზე, ეთნიკური უმცირესობისთვის ტარდება ქართულის, როგორც მეორე ენის⁵⁰, აზერბაიჯანული და სომხური ენების ტელეგაკვეთილები და აზერბაიჯანულ⁵¹ და სომხურ⁵² ენებზე დამატებით სხვა საგნების გაკვეთილები.⁵³ გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ პროექტი ახალშექმნილია, კვლევები პროექტის ეფექტურობისა და ეთნიკური უმცირესობებისთვის მათი ხელმისაწვდომობის/გამოყენების შესახებ არ არის ხელმისაწვდომი.

⁴⁸ საქართველოს პირველი არხი, *მეორე კვარტლის ანგარიში - 2020*, <https://bit.ly/3hGCPGW>

⁴⁹ ტელესკოლის ვებმისამართი: <https://bit.ly/33AgJ3K>

⁵⁰ ვიდეო გაკვეთილები ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3hBcPwp>

⁵¹ ვიდეო გაკვეთილები ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2HefXSI>

⁵² ვიდეო გაკვეთილები ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/32GIUQg>

⁵³ საქართველოს პირველი არხი, *მეორე კვარტლის ანგარიში - 2020*, <https://bit.ly/3hGCPGW>

რეგიონული მედია

ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მოსახლეობის ინფორმირების კუთხით მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია ადგილობრივ მედიასაშუალებებს. თუმცა, ამ მხრივ მნიშვნელოვანი გამოწვევა რეგიონული მედიასაშუალებების მცირე დაფინანსებაა. მათი დაფინანსების ძირითადი წყარო საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები და ადგილობრივ მწირი სარეკლამო ბაზარია, რაც არ არის საკმარისი მდგრადი განვითარებისათვის. შესაბამისად, რეგიონებში არ არსებობს ტექნიკურად და ფინანსურად ძლიერი და დამოუკიდებელი ისეთი მედიასაშუალება, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდების მნიშვნელოვანი და სანდო წყარო შეიძლება გახდეს.⁵⁴

საქართველოს რადიო

2019 წლის დასასრულს, რადიომაუწყებლობამ მოიცვა მთელი საქართველო. კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან და ტელერადიოცენტრთან ერთად განხორციელდა რადიოს დაფარვის ზრდის პროექტი, რის შედეგადაც საქართველოს ზოგიერთ რეგიონში, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ მუნიციპალიტეტებში საქართველოს რადიოს სიხშირე პირველად გაჟღერდა.⁵⁵ თუმცა, იქედან გამომდინარე, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებში ჯერ ისევ გამოწვევას წარმოადგენს სახელმწიფო ენის ჯეროვანი ფლობა საქართველოს რადიო ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ინფორმაციის მიღების წყაროდ ვერ ჩაითვლება.

საანგარიშო პერიოდში, 2016-2018 წლებში, რადიოეთერში გადიოდა ყოველკვირეული რადიოგადაცემა „ჩვენი საქართველო“, რომელიც ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებულ საკითხებს აშუქებდა. პირველი რადიოს ეთერში სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე სინქრონულად ნათარგმნი „მომხმის“ გამოშვებები გადაიცემოდა, რადიო 2-ის ეთერით კი - ქურთულენოვანი ყოველკვირეული საინფორმაციო-შემეცნებითი-გასართობი გადაცემა. ამ ეტაპზე, საქართველოს რადიოში ეთნიკური უმცირესობების ენებზე გადაცემები ან ეთნიკური უმცირესობების თემატიკაზე გადაცემები არ მზადდება. ეთნიკური უმცირესობების თემატიკას საქართველოს რადიოს მიერ მომზადებული სხვადასხვა საავტორო გადაცემა ფარავს. მსგავსი ცვლილება რადიოეთერში მომზადებული გადაცემების დაბალი რეიტინგით და საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე „მრავალფეროვანი საქართველოს“ პროექტის განხორციელების დაწყებთან შეიძლება აიხსნას.

ბეჭდვითი მედია

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ტრადიციულად ფინანსურად მხარს უჭერდა სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი გაზეთების გამოცემას. 2015 – 2020 წლებში გამოიცა სომხურენოვანი გაზეთი „ვრასტანი“ (2016 წ. - ყოველწლიურად 52 ნომერი, ტირაჟი

⁵⁴სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი, ეროვნულ უმცირესობათა საბჭო, *სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგები, 2017-2018*, <http://ombudsman.ge/res/docs/2020092518514921894.pdf>

⁵⁵ საქართველოს პირველი არხი, *ანგარიში -2019*, <https://bit.ly/33FxoTo>

4000 ეგზემპლარი; 2017-2019 წლებში, ყოველწლიურად 102 ნომერი, ტირაჟი - 3500 ეგზემპლარი; 2020 წელს-102 ნომერი, ტირაჟი-3800-4000 ეგზემპლარი) და აზერბაიჯანულენოვანი „გურჯისტანი“ (2016 წ. - ყოველწლიურად 53 ნომერი, ტირაჟი 4000 ეგზემპლარი; 2017-2018 წლებში, ყოველწლიურად 93 ნომერი, ტირაჟი 2000 ეგზემპლარი; 2019 წელს ყოველწლიურად 98 ნომერი; ტირაჟი 2000 ეგზემპლარი; 2020 წელს -56 ნომერი; ტირაჟი - 2000 ეგზემპლარი).

წლიური სტატისტიკის თანახმად, გაზეთების ნომრების რაოდენობის ზრდა ფიქსირდება. სახელმწიფოს მხრიდან ასევე უზრუნველყოფილი იყო სტაბილური ფინანსური მხარდაჭერა (ყოველწლიურად 60,000 ლარი თითოეულს).

სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშებში მითითებულია, რომ გაზეთები გავრცელდა ქ. თბილისსა და ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, თუმცა კონკრეტულად სად და რა რაოდენობის, არ არის მითითებული. გაზეთები გავრცელდა პენიტენციურ დაწესებულებებშიც.

ინტერნეტის ეპოქაში, ზოგადად, ნაკლები პოპულარობით სარგებლობს ბეჭდვითი მედიასაშუალებები და იგი ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ მუნიციპალიტეტებში ნაკლებად არის ინფორმაციის მიღების წყარო,⁵⁶ თუმცა რაიონული ცენტრებიდან დამორეზულ დასახლებულ ადგილებში კვლავ აქტუალურია ბეჭდვითი მედიის საშუალებით ინფორმაციის მიღება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია არაქართულენოვანი გაზეთების შემდგომი განვითარება და გავრცელების უზრუნველყოფა.

აქვე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2018 წელს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტომ“ „ინტერნეტი განვითარებისთვის“ პროგრამის ფარგლებში, დაიწყო ინტერნეტვაუჩერების გაცემა. ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში (ქვემო ქართლი, კახეთი, სამცხე-ჯავახეთი) ჯამში გაიცა 126 ცალი 150-ლარიანი ვაუჩერი.

სხვა აქტორების საქმიანობა

საზოგადოებრივი მაუწყებლის გარდა, აღნიშნული სტრატეგიული მიზნის მიღწევაში ჩართული იყვნენ ადგილობრივი მუნიციპალიტეტები, სხვადასხვა საჯარო უწყება როგორც პირდაპირ, ისე დამხმარე უწყებების სახით. მაგ. იუსტიციის სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო და სხვა.

2016 წლიდან პენიტენციურ დაწესებულებებში დაიწყო სატელევიზიო არხების მაუწყებლობა ოთხ ენაზე (ქართულად, რუსულად, თურქულად, აზერბაიჯანულად), ხოლო 2017 წლიდან დაემატა მაუწყებლობა სომხურ, არაბულ და ინგლისურ ენებზე. 2017 წლიდან პენიტენციურ დაწესებულებებში უზრუნველყოფილი იყო რუსულ (12 არხი), ინგლისურ (2), თურქულ (2), აზერბაიჯანულ (2), სომხურ (1) და არაბულ (1) ენებზე მაუწყებლობა. 2019 წლისთვის

⁵⁶„ღია საზოგადოების ფონდი“, *ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის კვლევა*, 2019, <https://bit.ly/2ZQk1yT>

პენიტენციური დაწესებულებები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ბრალდებულ/მსჯავრდებულთათვის უზრუნველყოფდნენ ეთნიკური უმცირესობების ენებზე მაუწყებლობას 20 სატელევიზიო არხით.

ანგარიშებში ასევე მოცემულია ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რაც არ იყო სამოქმედო გეგმების ფარგლებში გათვალისწინებული, თუმცა განხორციელდა:

- ✓ სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით განხორციელდა პროექტი, რომლის ფარგლებშიც სასწავლო პროგრამის გავლის შედეგად აზერბაიჯანულენოვან (AGFM) და სომხურენოვან (VRASTAN FM) რადიომაუწყებლებში დასაქმდა 5-5 ეთნიკურად სომეხი და აზერბაიჯანელი ახალგაზრდა;
- ✓ სახელმწიფო მინისტრის აპარატმა რეგიონულ მაუწყებელთან ერთად მიაწოდა სამცხე-ჯავახეთის ადგილობრივ ორგანიზაციებს ინფორმაცია ადგილობრივი არხების („ATV12“ და „ფარვანა“) ციფრული მაუწყებლობის შესახებ. ასევე, სოციალურად დაუცველი ოჯახების ნაწილს უსასყიდლოდ გადასცა ციფრული მაუწყებლობის სპეციალური ხელსაწყოები.

უცხო ქვეყნების მედიასაშუალებების გავლენა

საქართველოში ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციისთვის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ მუნიციპალიტეტებში უცხო ქვეყნების მედიასაშუალებების გავლენაა. აღნიშნული განპირობებულია მრავალი ფაქტორით, თუმცა მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო ენის ცოდნასთან დაკავშირებული პრობლემაა.

ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო ენის არასათანადო ცოდნის გამო ეთნიკური უმცირესობები ვერ იღებენ ინფორმაციას ქართულ ენაზე. 2019 წელს გამოქვეყნებული კვლევის მიხედვით, საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციის მიღების მთავარ ენად ქართული დასახელდა ქისტებში, ოსებსა და ქალაქის ტიპის დასახლებაში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებში. ქართულ ენაზე ინფორმაციის მიღების პრაქტიკა შედარებით მცირეა სომხურენოვან და აზერბაიჯანულენოვან მოსახლეობაში.⁵⁷

სახელმწიფო ენის არასათანადო ფლობის გამო, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები ინფორმაციის მიღების წყაროდ უცხო ქვეყნების მედიასაშუალებებს ასახელებენ. საანგარიშო პერიოდში უცხო ქვეყნის მედიასაშუალებების პოპულარობა განპირობებული იყო იმ ფაქტორითაც, რომ ადგილობრივი მოსახლეობა უკმაყოფილო იყო საზოგადოებრივ მაუწყებელზე სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე თარგმნილი გადაცემების ხარისხითა და თარგმნის სიზუსტით. ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში უმცირესობების ენებზე გადაცემებს ადგილობრივი მედიასაშუალებებიც ამზადებდნენ, მაგრამ მათი მწირი

⁵⁷ „ღია საზოგადოების ფონდი“, *ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის კვლევა*, 2019, <https://bit.ly/2ZQk1yT>

ფინანსური და მატერიალური შესაძლებლობები ვერანაირ კონკურენციას ვერ უწევდა საერთაშორისო მედიასაშუალებებს.⁵⁸

ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების მოსახლეობა ინფორმაციას ძირითადად უცხოური საინფორმაციო საშუალებებიდან იღებს. შედეგად, ისინი უფრო ინფორმირებულნი არიან სხვა ქვეყნებში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური პროცესების შესახებ, ვიდრე საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

საქართველოს ცენტრალური და რეგიონული მედიასაშუალებების არსებობის მიუხედავად, ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე მნიშვნელოვან და, რიგ შემთხვევებში, გადამწყვეტ გავლენას ახდენს მეზობელი ქვეყნების (აზერბაიჯანი, სომხეთი, რუსეთი, თურქეთი, ირანი) საინფორმაციო არხები. ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში ძლიერია ანტიდასავლური პროპაგანდა, რაც დასავლურ ინტეგრაციას სკეპტიკურად და უარყოფით კონტექსტში წარმოაჩენს. ანტიდასავლური პროპაგანდა, ძირითადად, რუსეთის საინფორმაციო არხების გავლენით ყალიბდება.⁵⁹ და ეს მაშინ, როდესაც 2017 წლის კვლევის შედეგებით, ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ მუნიციპალიტეტებში რუსეთის პირველ არხს და „Россия 24-ს“ ნდობის გარკვეული ხარისხი აქვს.⁶⁰ ნდობის გარკვეული ხარისხია „Россия 1-სა“ და კრემლის პროპაგანდისტული ტელევიზიის „RT-ის“ მიმართაც. დასავლეთისა და დასავლური ინტეგრაციის მიმართ ანტიდასავლური, სკეპტიკური დამოკიდებულების ჩამომყალიბებელი პროპაგანდის პარალელურად, ვრცელდება ეთნოსთაშორისი ურთიერთობების დაძაბვის ხელშემწყობი ინფორმაცია (ძირითადად, მითები და ყალბი ანტისომხური, ანტიაზერბაიჯანული, ანტიმუსლიმური და სხვა ამბები), რაც შემდგომ სოციალურ ქსელებში განხილვას, გაზიარებასა და სიძულვილის ენის ტირაჟირებას ედება საფუძვლად.⁶¹

სახელმწიფოს მხრიდან სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშესაწყობად, დღემდე განხორციელებული მედიაპოლიტიკა გაძლიერებას საჭიროებს, მათ შორის ანტიდასავლური პროპაგანდისა და დეზინფორმაციის ზეგავლენის შესასუსტებლად.

ამოცანა 1.5.3 მედიაში ტოლერანტობისა და კულტურული პლურალიზმის დამკვიდრების ხელშეწყობა

აღნიშნული ამოცანის შესრულების ფარგლებში ზოგიერთი დაგეგმილი ღონისძიების შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი. ეს ღონისძიებებია: საზოგადოებრივი მაუწყებლის

⁵⁸საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2017 წელი, <https://bit.ly/2FDx1B7>

⁵⁹მედიის განვითარების ფონდი, *ანტიდასავლური პროპაგანდა უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში*, 2019, <https://bit.ly/3mGj2uN>

⁶⁰NDI: საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2017 წლის დეკემბერი, <https://caucasusbarometer.org/ge/nd2017ge/TRURU24-by-ETHNOCODE/>; <https://caucasusbarometer.org/ge/nd2017ge/TRURCH1-by-ETHNOCODE/>

⁶¹საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2019 წელი, <http://ombudsman.ge/res/docs/2020040215365449134.pdf>

ქვეყნის კოდექსის პოპულარიზაცია, ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ადგილობრივი მედიის წარმომადგენლებისათვის ტრენინგების ჩატარება, ქ. თბილისში მედიაშეხვედრების ჩატარება ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების თემატიკაზე მომუშავე ექსპერტებისა და მედიის წარმომადგენლებისთვის.

შეჯამების სახით უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო პერიოდში გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები, განხორციელდა სხვადასხვა პროექტი და აქტივობა, რაც მიზნად ისახავდა ეთნიკური უმცირესობების ინფორმაციასა და მედიაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას, თუმცა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის კვლავ მიუწვდომელი რჩება ქართული მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაცია. ადგილობრივი მოსახლეობა ინფორმაციას ძირითადად იღებს მეზობელი ქვეყნების საინფორმაციო საშუალებებით. ამის მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ ისეთი ფაქტორები, როგორცაა სახელმწიფო ენის არასათანადო ცოდნა, გადაცემების სიმწირე და დაბალი ხარისხი, შესაბამისად, ეთნიკური უმცირესობები ინფორმაციის მისაღებად უცხო ქვეყნის ალტერნატიულ საინფორმაციო არხებს ირჩევენ. სტრატეგიის დოკუმენტსა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი ღონისძიებები თავისი შინაარსითა და მასშტაბებით საკმარისად ვერ უზრუნველყოფდა განსაზღვრული შუალედური მიზნის მიღწევას.

შუალედური მიზანი 1.6 ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის უზრუნველყოფა

ამოცანა 1.6.1 ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციისა და რეგიონული ან უმცირესობათა ენების შესახებ საზოგადოების ინფორმირება

ადამიანის უფლებების, სამოქალაქო თანასწორობის, ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვის, ანტიდისკრიმინაციული საკანონმდებლო რეგულაციების, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების დაცვის საერთაშორისო მექანიზმების შესახებ რეგულარულად ტარდებოდა საინფორმაციო შეხვედრები. კერძოდ, 2015-2020 წწ. სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებითა და ჩართულობით საინფორმაციო შეხვედრები გაიმართა სამცხე-ჯავახეთის (ნინოწმინდა, ახალქალაქი, ახალციხე), ქვემო ქართლის (მარნეული, ბოლნისი, დმანისი, წალკა, გარდაბანი), კახეთის რეგიონებსა (ლაგოდეხი, საგარეჯო, თელავი, პანკისის ხეობა) და ქ. თბილისში. შეხვედრებზე ინტერაქტიულ რეჟიმში ასევე განიხილებოდა სამოქალაქო ინტეგრაციის მიმართულებით მიღწეული პროგრესი და ჯერ კიდევ არსებული გამოწვევები. ჯამში საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში გაიმართა 50-მდე შეხვედრა, რომელშიც მიიღო მონაწილეობა 1500-მდე ბენეფიციარმა.

ამოცანა 1.6.2 საჯარო მოსამსახურეთა და ეთნიკურ უმცირესობათა სამიზნე ჯგუფების ცნობიერების ამაღლება ეთნიკურ უმცირესობათა უფლებებისა და ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის სფეროში

2015-2020 წლებში აღნიშნული შუალედური მიზნის მისაღწევად და სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქტივობების შესაბამისად ყოველწლიურად ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები როგორც დედაქალაქში, ისე ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში.

ცალკეული შეხვედრები ჩატარდა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით (ქვემო ქართლი, კახეთი, სამცხე-ჯავახეთი), ასევე მუნიციპალური ერთეულების მიერ. შეხვედრების მიზანი იყო ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლების (არასამთავრობო ორგანიზაციები, თემის ლიდერები, ახალგაზრდები, პედაგოგები) ინფორმირება როგორც მათი უფლებების, ასევე იმ ვალდებულებების შესახებ, რაც სახელმწიფოს აქვს უმცირესობათა უფლებების დაცვის კუთხით. საინფორმაციო შეხვედრები ასევე ითვალისწინებდა უმცირესობათა ცნობიერების ამაღლებას საქართველოს მიერ აღებული საერთაშორისო, განსაკუთრებით ევროსაბჭოს წინაშე, ვალდებულებების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ გამოძიებლებისათვის შემუშავებული იქნა რეკომენდაცია, რომლის მიზანია დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულთა გამოძიების ხარისხის ზრდა და პრაქტიკის სისტემატიზაციის მიზნით სახელმძღვანელო პრინციპების დანერგვა. აღნიშნული რეკომენდაცია აერთიანებს ისეთ საკითხებს, როგორცაა: დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულისა და დისკრიმინაციის ნიშნების განმარტება, ინფორმაცია აღნიშნული დანაშაულის სავარაუდო სამიზნეებისა და გამოძიების მეთოდოლოგიის შესახებ, გამოძიებლის დაზარალებულთან ურთიერთობის სტანდარტები, შეუწყნარებლობის მოტივის გამოსაკვეთად გასათვალისწინებელი გარემოებები და კითხვები, რომელთა დასმაც სავალდებულოა დაზარალებულის, მოწმისა და ბრალდებულის გამოკითხვის პროცესში.

ეუთოს ODIHR-ისა და ევროპის საბჭოს მიერ შემუშავებული სასწავლო მასალების კომბინირების საფუძველზე, 2020 წელს დაიწყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა კასკადური გადამზადების პროცესი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ეფექტიანი იდენტიფიცირებისა და გამოძიების თემაზე. სასწავლო პროცესში ჩართულნი არიან ფსიქოლოგები და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. კასკადური ტრენინგების სერიის ფარგლებში, 2020 წელს, ჩატარდა 9 სასწავლო აქტივობა. ტრენინგების საფუძველზე საერთო ჯამში გადამზადდა სამინისტროს სხვადასხვა ტერიტორიული ორგანოს 150-ზე მეტი თანამშრომელი.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ევროპის საბჭოს/ეუთოს თანამშრომლობის ფარგლებში დისკრიმინაციის აკრძალვის, სიძულვილის ენისა და კონკრეტული დისკრიმინაციული ნიშნების საფუძველზე ჩადენილ დანაშაულთა გამოძიების თემაზე, 2018-2019 წლებში, ტრენინგის გზით გადამზადდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულების 126 თანამშრომელი, 30-მდე გამომძიებელი, ასევე სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების თემაზე ევროპის საბჭოს HELP-ის დისტანციური სწავლების კურსი გაიარა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 15-მა თანამშრომელმა.

სტრატეგიული მიზანი 2. თანაბარი სოციალური და ეკონომიკური პირობებისა და შესაძლებლობების შექმნა

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის დოკუმენტში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის თანაბარი სოციალური და ეკონომიკური პირობებისა და შესაძლებლობების შექმნა ერთ-ერთ სტრატეგიულ მიზნად არის განსაზღვრული.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობით დაცულია ყველა მოქალაქის სოციალურ-ეკონომიკური თანასწორობა, სხვადასხვა მიზეზის გამო (ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო ენის არცოდნა/ცოდნის დაბალი ხარისხი, გეოგრაფიული ფაქტორი, სოციალური და პოლიტიკური მონაწილეობის დაბალი დონე) შესაძლოა არსებობდეს რისკები, რომ ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლები ეკონომიკური უფლებების რეალიზებისა და სოციალური პოლიტიკით სარგებლობის თვალსაზრისით უთანასწორო პირობებში აღმოჩნდნენ.

ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში არსებული გამოწვევები აფერხებს ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესს, ამიტომაც სტრატეგიის განხორციელების ფარგლებში სახელმწიფო მნიშვნელოვნად მიიჩნევს ისეთი სოციალურ-ეკონომიკური პროექტების განხორციელებას, რომლებიც აამაღლებდნენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების სოციალური და რეგიონული ინტეგრაციის ხარისხს. საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო სტრუქტურებისთვის პრიორიტეტული იყო სახელმწიფო პროგრამების განხორციელების დროს ეთნიკური უმცირესობების საჭიროებების გათვალისწინება.

მნიშვნელოვანია, რომ სტრატეგიის აღნიშნული კომპონენტი ეყრდნობა საქართველოსა და ევროკავშირის შორის 2014 წლის ხელმოწერილ ასოცირების შესახებ ხელშეკრულებას, რომლის ერთ-ერთი თავი - „დასაქმება, სოციალური პოლიტიკა და თანაბარი შესაძლებლობები“ სხვა მოწყვლად ჯგუფებთან ერთად, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვისაც ითვალისწინებს ინკლუზიური სამუშაო ბაზრის, სოციალური უსაფრთხოების სისტემის, სოციალური დაცვის, სოციალური ჩართულობისა და ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკის გატარებას.

სტრატეგიული მიზნის მიღწევა დაგეგმილი იყო შემდეგი შუალედური მიზნებისა და ამოცანების შესრულების გზით:

შუალედური მიზანი 2.1 სოციალური და რეგიონული მობილობის ხელშეწყობა

შუალედური მიზნის შესრულების ფარგლებში გათვალისწინებული იყო ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ მუნიციპალიტეტებში ინფრასტრუქტურის

განვითარება და დასაქმების ხელშეწყობა, მეწარმეობისა და ბიზნესის მხარდაჭერა, ასევე სახელმწიფოს ეკონომიკური და სოციალური პროგრამებისა და სერვისების შესახებ ინფორმაციის პროაქტიული მიწოდება, რომლის შესრულებამაც ხელი უნდა შეუწყოს ეთნიკური უმცირესობების ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ეკონომიკური და სოციალური მიმართულებით არაერთი საქმიანობა განხორციელდა, რომელმაც გრძელვადიან პერსპექტივაში ხელი უნდა შეუწყოს ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ მუნიციპალიტეტებში ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ამოცანა 2.1.1. ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა

ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ეკონომიკური საქმიანობის ხელშეწყობის გარეშე შეუძლებელია ადგილობრივი მოსახლეობის ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში ინტეგრაცია, განსაკუთრებით იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ მუნიციპალიტეტებში (ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, კახეთი) სოფლის მეურნეობა წამყვანი ეკონომიკური საქმიანობაა. შესაბამისად, ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ მუნიციპალიტეტებში ადგილობრივი მოსახლეობისათვის მნიშვნელოვანია ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება და სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობა, რაც მათ ეკონომიკურ საქმიანობას წახალისებს და სოფლის მეურნეობის პროდუქტების საკუთარი მუნიციპალიტეტების გარეთ გატანის შესაძლებლობას გაუმარტივებს. ამ მხრივ, სამოქმედო გეგმის შესრულების პერიოდში ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ მუნიციპალიტეტებში არაერთი პროექტი და პროგრამა განხორციელდა.

ეკონომიკური მიმართულებით წამყვანი საჯარო უწყება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო იყო. სხვა სახელმწიფო უწყებებთან ერთად ამოცანების შესრულებაში ასევე ჩართული იყო საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო (2017 წლის ნოემბრიდან შეუერთდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს), ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები.

2015-2020 წლების სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშებში წარმოდგენილია რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი, მუნიციპალური განვითარების ფონდისა და მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის ფარგლებში ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ მუნიციპალიტეტებში განხორციელებული პროექტები, მათი რაოდენობა და მთლიანი ღირებულება.

ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში განხორციელდა საავტომობილო გზების რეაბილიტაცია, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სოფლის გზების, ხიდების, სასმელი

წყლისა და სარწყავი სისტემების მოწესრიგებას. ანგარიშებში მოყვანილია სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორის ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული პროექტებიც.⁶²

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის (რგფ) ფარგლებში დაფინანსდა:

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში

წელი	პროექტების რაოდენობა	საერთო ღირებულება (ლარი)
2015	35	13816079
2016	40	15450642
2017	64	23899681
2018	47	21533038
2019	38	24413866
2020	77	37816555
ჯამი	301	136929861

ქვემო ქართლის რეგიონში

წელი	პროექტების რაოდენობა	საერთო ღირებულება (ლარი)
2015	59	19062700
2016	57	23198027
2017	64	26215008
2018	63	33732709
2019	67	44715268
2020	75	44848614
ჯამი	385	191 772 326

კახეთის რეგიონში

წელი	პროექტების რაოდენობა	საერთო ღირებულება (ლარი)
2015	24	4547321
2016	19	5488702
2017	27	6435414
2018	34	7819665
2019	28	10135576
2020	35	12374808
ჯამი	167	46801486

⁶²მუნიციპალიტეტების მიხედვით განხორციელებული პროექტების შესახებ დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია შესაბამისი საჯარო უწყებების მიერ წარმოდგენილ ყოველწლიურ ანგარიშებში

წლების მიხედვით პროექტების დაფინანსების მაჩვენებელი ხშირ შემთხვევაში ზრდის ტენდენციით გამოირჩეოდა. ასევე, იყო შემთხვევები, როდესაც განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების რაოდენობა სამოქმედო გეგმებში დაგეგმილ რაოდენობაზე მეტი იყო.

სოფლებში პროექტების დაფინანსება ასევე ხორციელდებოდა მუნიციპალური განვითარების ფონდიდან, სახელმწიფო ბიუჯეტიდან, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამიდან, ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

სამინისტროს გარდა ადგილობრივი მნიშვნელობის პროექტების განხორციელებაში ჩართული იყო ადგილობრივი მუნიციპალიტეტებიც. ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებით შესრულდა სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული სამუშაო (მათ შორის: ჭაბურღილის მოწყობა, წყალსადენი მაგისტრალის მოწყობა, სანიაღვრე კოლექტორებისა და საყრდენი კედლების რეაბილიტაცია, საავტომობილო და შიდა გზების რეაბილიტაცია, გარე განათებების მოწყობა, სპორტული სტადიონებისა და სკვერების განათება, გაზიფიცირება და სხვა).

ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული მუნიციპალიტეტების მაღალმთიან სოფლებში ცალკეული პროექტები მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის ფარგლებში დაფინანსდა:

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში

წელი	პროექტების რაოდენობა	საერთო ღირებულება (ლარი)
2016	10	2091179
2017	6	1789635
2018	4	2516262
2019	1	687718
2020	6	3965420
ჯამი	27	11050214

ქვემო ქართლის რეგიონში

წელი	პროექტების რაოდენობა	საერთო ღირებულება (ლარი)
2016	2	920291
2017	4	1049153
2018	2	194644
2019		
2020	2	977513
ჯამი	10	3141601

კახეთის რეგიონში (ლაგოდეხის და ახმეტის მუნიციპალიტეტები)

წელი	პროექტების რაოდენობა	საერთო ღირებულება (ლარი)
2016	1	736316
2017	4	1118024
2018		
2019		
2020	-	-
ჯამი	5	1854340

2015-2016 წლებში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მხარდაჭერით ხორციელდებოდა *სოფლის მხარდაჭერის პროგრამა*, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა რეგიონებში, ადგილობრივ მოსახლეობაში. პროგრამა ითვალისწინებდა ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებიდან გამომდინარე კონკრეტული პროექტების განხორციელებას. 2017 წლიდან პროგრამის განხორციელება შეჩერდა, ხოლო 2019 წლიდან კვლავ განახლდა.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში

წელი	პროექტების რაოდენობა	საერთო ღირებულება (ლარი)
2015	387	3512424
2016	406	3665668
2017	-	-
2018	-	-
2019	311	4453603
2020	299	4652057
ჯამი	1403	16283752

ქვემო ქართლის რეგიონში

წელი	პროექტების რაოდენობა	საერთო ღირებულება (ლარი)
2015	456	6719669
2016	436	6879074
2017	-	-
2018	-	-
2019	396	5810273
2020	353	6041776

ჯამი	1641	25450792
<i>კახეთის რეგიონში</i>		
წელი	პროექტების რაოდენობა	საერთო ღირებულება (ლარი)
2015	192	1850598
2016	206	1849276
2017	-	-
2018	-	-
2019	378	4836170
2020	334	4983593
ჯამი	1110	13519637

ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ მუნიციპალიტეტებში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ცალსახად პოზიტიური დინამიკით ხასიათდებოდა, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში უდავოდ ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის რეგიონულ მობილობასა და ეკონომიკურ აქტივობას. ამავე დროს, მოკლევადიან პერსპექტივაში, ასევე მნიშვნელოვანია მიმდინარე პროექტებში ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების უზრუნველყოფაც. ეთნიკური უმცირესობების დასაქმების კუთხით ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია მწირია, რაც არ იძლევა ობიექტური შეფასების გაკეთების შესაძლებლობას. თუმცა, სხვადასხვა პერიოდში ადგილობრივი მოსახლეობიდან და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებიდან მიღებული ინფორმაციით, მსგავს პროექტებში ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებასთან დაკავშირებული პრობლემები, მეტწილად, გამოწვეული იყო პროექტის განხორციელებისთვის საჭირო კვალიფიკაციის არარსებობით და/ან პროექტში დასაქმების შესაძლებლობაზე ინფორმაციის ნაკლებობით.

აქვე აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას ემსახურება მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამა, რომელსაც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „აწარმოე საქართველოში“ 2015 წლიდან ახორციელებს ქვეყნის მასშტაბით, ქ. თბილისის გარდა. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მიკრო და მცირე მეწარმეობის საგრანტო თანხა მიღებული აქვთ ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთის და კახეთის რეგიონებში მცხოვრებ მეწარმეებს. 2015-2018 წლების განმავლობაში, ჯამში დაფინანსებულია 3,923 ბენეფიციარი.

საინფორმაციო კამპანიები

ეკონომიკური საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამის შესახებ საინფორმაციო კამპანიების განხორციელებას. ენის ბარიერის არსებობის პირობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან უშუალო შეხვედრებს და მათთვის გასაგებ ენაზე ინფორმაციის მიწოდებას.

ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ მუნიციპალიტეტებში ტარდებოდა საინფორმაციო კამპანიები და შეხვედრები ეკონომიკური საქმიანობის წარმოებისათვის მნიშვნელოვანი სხვადასხვა სახის სახელმწიფო სერვისების შესახებ. პერიოდულად ტარდებოდა საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრები ფერმერებთან. შეხვედრების მიზანი იყო ფერმერებისთვის ცნობიერების ამაღლება და საჭირო ინფორმაციის მიწოდება სოფლის მეურნეობის პროგრამების, მობილური ექსტენციის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდამჭერი პროგრამების, პროგრამის „აწარმოე საქართველოს“ შესახებ.

ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ მუნიციპალიტეტებში სოფლის მეურნეობის დარგების განვითარების გამო, ადგილობრივი მოსახლეობისათვის მნიშვნელოვანი იყო ისეთი ტიპის ინფორმაციის მიღება, რომელიც ცხოველთა დაავადებებსა და მცენარეთა მავნებელ დაავადებებს ეხებოდა. ამ მხრივ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უზრუნველყო ცხოველთა დაავადებებისა და მცენარეთა მავნებელ დაავადებათა შესახებ სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე საინფორმაციო ბროშურების გავრცელება: მათი ინფექციური დაავადებების; ცხოველთა რეგისტრაცია/იდენტიფიკაციის; რძისა და მასთან დაკავშირებული დაავადებების შესახებ. საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში გამოცემული ბროშურები, ფლაერები და პოსტერები მოიცავდა ინფორმაციას სხვადასხვა ინფექციურ დაავადებებზე: ცოფი, ბრუცელოზი, ნოდულარული დერმატიტი, წვრილფეხა პირუტყვის ჭირი, ჯილეხი.

ინფორმაციის გავრცელების კუთხით, სახელმწიფო უწყებები იყენებდნენ ადგილობრივ მედიასაშუალებებსაც. მაგალითად, 2019 წელს რეგიონულ სატელევიზიო გადაცემებში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის თემატიკის შესახებ მონაწილეობდნენ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლები. ასევე სამინისტროს მიერ მომზადდა და რეგიონულ მაუწყებლებში გავრცელდა საინფორმაციო ვიდეორგოლი აგროდაზღვევის პროგრამის შესახებ. თუმცა, არ არის ხელმისაწვდომი ინფორმაცია თუ ეთნიკური უმცირესობების რამდენიმე წარმომადგენელმა ისარგებლა აგროდაზღვევით.

საანგარიშო პერიოდში, ეკონომიკური მიმართულებით განხორციელებული პროექტები და სახელმწიფო პროგრამების შესახებ საინფორმაციო კამპანიები რაოდენობრივი თვალსაზრისით მზარდ ტენდენციას ინარჩუნებდა, რაც პოზიტიურად შეიძლება შეფასდეს. თუმცა, სფეროს სპეციფიკურობიდან გამომდინარე, შეუძლებელია მოკლევადიან ეფექტზე საუბარი, რადგან ეკონომიკური მიმართულებით განხორციელებული პროექტებისა და ცნობიერების ამაღლების კამპანიების ეფექტურობის შეფასება, მხოლოდ განხორციელებული საქმიანობის დასრულებიდან წლების შემდეგ, შედარებით გრძელვადიან პერსპექტივაში არის შესაძლებელი.

აქვე უნდა აღინიშნოს, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო სტრუქტურები პროაქტიულად ცდილობდნენ სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში მიმდინარე სახელმწიფო პროგრამებისა და სერვისების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებას, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ

მუნიციპალიტეტებში გამოიკვეთა ინფორმაციის ნაკლებობა არსებული პროგრამებისა და სერვისების შესახებ.⁶³

2015-2020 წლებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივითა და ორგანიზებით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროებთან თანამშრომლობითა და მათი წარმომადგენლების აქტიური მონაწილეობით წარიმართა ინტენსიური ფართომასშტაბიანი საინფორმაციო, ცნობიერების ამაღლების კამპანიები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის რეგიონებში (სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, კახეთი), რომლის ფარგლებშიც არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებს, ადგილობრივ ფერმერებსა და მეწარმეებს, თემით დაინტერესებულ პირებს მიეწოდათ ინფორმაცია სახელმწიფო პროგრამებსა და სერვისებზე. კერძოდ, მათ მიეწოდათ ინფორმაცია სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის, ეკონომიკური და ფინანსური მხარდაჭერის პროგრამებისა და სიახლეების შესახებ. ჯამში, საინფორმაციო კამპანიების ფარგლებში 80-მდე შეხვედრა ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 2000-მდე ბენეფიციარმა. აღსანიშნავია, რომ შეხვედრები გაიმართა, როგორც მუნიციპალიტეტის ცენტრებში, ისე მოშორებულ დასახლებებში.

ამოცანა 2.1.2 ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა

სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება დაკავშირებულია სოციალურ სფეროში არსებული იმ სერვისების სრულყოფილ მიღებასთან, რომელსაც სახელმწიფო უზრუნველყოფს. ამ მხრივ, სახელმწიფო ენის ცოდნის მხრივ არსებული პრობლემების გათვალისწინებით, კრიტიკული მნიშვნელობისაა სახელმწიფო პროგრამებისა და სერვისების შესახებ ეთნიკური უმცირესობების დროული და მათთვის გასაგებ ენაზე ინფორმირება.

სოციალური მიმართულებით წამყვანი საჯარო უწყება იყო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.⁶⁴ აღნიშნული პერიოდის განმავლობაში სამინისტრომ ეთნიკური უმცირესობებისთვის დაგეგმა და განახორციელა საინფორმაციო კამპანიები ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების შესახებ. კერძოდ,

- სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა უზრუნველყო „ჯანმრთელობის ხელშეწყობის“ სახელმწიფო პროგრამის შესახებ საინფორმაციო

⁶³სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი, ეროვნულ უმცირესობათა საბჭო, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციისა სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგები, 2017-2018, <http://ombudsman.ge/res/docs/2020092518514921894.pdf>

⁶⁴ 2019 წლიდან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

მასალის გავრცელება ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში;

- „ჯანმრთელობის ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე მომზადდა საგანმანათლებლო მასალები პროგრამებზე: „თამბაქოს კონტროლის გაძლიერების ხელშეწყობის კომპონენტის“, „თამბაქოს კონტროლის ახალი რეგულაციების“, „C ჰეპატიტის პრევენცია და მოსახლეობის განათლების ხელშეწყობის“, „მიზნობრივი ფულადი სოციალური დახმარების საარსებო შემწეობის“, „ქალების რეპროდუქციული ჯანმრთელობის თვითგასინჯვისა და მიზნობრივი ფულადი სოციალური დახმარების საარსებო შემწეობის შესახებ“;
- ჯანდაცვის სამინისტრომ პროექტის „ცვლილებები თანასწორობისათვის“ ფარგლებში ჩატარდა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ მუნიციპალიტეტებში ლექცია-სემინარები შუშმ პირთა საკითხზე;
- დასაქმების სერვისების, შრომის უსაფრთხოებისა და შრომის უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და ინფორმირების მიზნით, შეხვედრები გაიმართა ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ მუნიციპალიტეტში, გავრცელდა საინფორმაციო ბროშურები.

ინტენსიური საქმიანობა მიმდინარეობდა მუნიციპალიტეტების დონეზე, რომლის ფარგლებშიც წლიური სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშებში ასახულია ინფორმაცია სოციალური დახმარების შესახებ, კერძოდ, გადაუდებელი ოპერაციების, ომის ვეტერანების, მრავალშვილიანი ოჯახების, სოციალურად დაუცველი ოჯახებისა და სხვა სახის პროგრამებით მოსარგებლე ბენეფიციარების რაოდენობრივი და დაგეგმილი პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფის მაჩვენებლები. თუმცა, არ არის წარმოდგენილი ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ბენეფიციარების რაოდენობა.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მხარდაჭერა COVID-19-ის პანდემიის პერიოდში

საქართველოს მთავრობამ COVID-19-ის პანდემიის გამოცხადების პირველივე დღეებიდან იმოქმედა გამოწვევების საპასუხოდ, რაც ერთი მხრივ, მოქალაქეთა ჯანმრთელობაზე ზრუნვას, მეორე მხრივ კი, პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური სირთულეების დაძლევის ისახავს მიზნად. სპეციალურად შექმნილი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში, რომლის საქმიანობაშიც აქტიურად იყო ჩართული სახელმწიფო მინისტრის აპარატის ხელმძღვანელობა, უწყვეტ რეჟიმში განიხილებოდა ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური სიტუაცია და მასთან დაკავშირებული გამოწვევების დაძლევის გზები. განსაკუთრებული განხილვის საგანი იყო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების სპეციფიკური საჭიროებები, სადაც ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად განისაზღვრა ინფორმაციაზე დროული და ეფექტიანი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

საქართველოს მთავრობამ უზრუნველყო ყველა შესაძლო პრევენციული მექანიზმის ამოქმედება. კერძოდ:

- ❖ ამოქმედდა სამთავრობო საინფორმაციო ვებგვერდი StopCov.ge ექვს ენაზე (ქართული, აფხაზური, ოსური, სომხური აზერბაიჯანული, ინგლისური), სადაც მუდმივად

განახლებად რეჟიმში მიმდინარეობდა ინფორმაციის განთავსება კორონავირუსთან დაკავშირებული ყველა სიახლის შესახებ;

- ❖ ამოქმედდა სამთავრობო საინფორმაციო სპეციალური ცხელი ხაზი 144, რომლის დახმარებითაც მოქალაქეებს, მათ შორის სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე აქვთ შესაძლებლობა მიიღონ სათანადო კონსულტაცია;
- ❖ სახელმწიფო მინისტრის აპარატმა კორონავირუსის გავრცელების პირველივე დღეებიდან ოპერატიულად დაიწყო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოსახლეობის ინფორმირება. 3 მარტიდან წარიმართა უპრეცედენტოდ აქტიური და ინტენსიური საინფორმაციო/ცნობიერების ამაღლების კამპანია COVID-19-ის გავრცელების პრევენციის ზომების, დაწესებული რეგულაციებისა და შეზღუდვების, შეღავათებისა და კომპენსაციების შესახებ;
- ❖ მომზადდა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მშობლიურ ენებზე ითარგმნა საინფორმაციო მასალები კორონავირუსის პრევენციასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე. მათ შორის: ჰიგიენის დაცვის წესები, კარანტინის წესები, ანტიკორიზისული გეგმა, ხშირად დასმული კითხვები და სხვა აქტუალური საკითხები. ნახევარ მილიონზე მეტი საინფორმაციო მასალა (საინფორმაციო ბროშურები და პოსტერები) ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენელთა აქტიური მონაწილეობით, რამდენიმე ეტაპად და კარდაკარ პრინციპით გავრცელდა ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის რეგიონებში.
- ❖ საზოგადოების ინფორმირებისა და პრევენციის ღონისძიებების თემატიკაზე მომზადდა არაქართულენოვანი გაზეთების - აზერბაიჯანულენოვანი „გურჯისტანისა“ და სომხურენოვანი „ვრასტანის“ გამოშვებები (ტირაჟი 4500) და სპეციალური დამატებითი რედაქცია (ტირაჟი 6000), სადაც განთავსდა სრული ინფორმაცია კორონავირუსთან დაკავშირებულ ყველა აქტუალურ საკითხზე.
- ❖ სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე უზრუნველყოფილი იყო საინფორმაციო ვიდეორგოლების თარგმნა და რეგიონული ტელევიზიების ეთერებში განთავსება;
- ❖ ეტაპობრივად, აქტუალურ საკითხთან დაკავშირებით მომზადდა ორენოვანი (ქართულ-აზერბაიჯანული და ქართულ-სომხური) მოკლე ტექსტური შეტყობინებები, რომლებიც ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში განთავსებული ანძების მეშვეობით გაეგზავნა მობილური ნომრების აბონენტებს.

ინფორმირების კამპანიასთან ერთად ყურადღება დაეთმო მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით მათთვის საკვები პროდუქტებისა და ჰიგიენური საშუალებების გადაცემას. პანდემიის პირველი ტალღის დაწყებისთანავე, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით საქართველოს მასშტაბით მცხოვრებ ბოშათა ოჯახებსა და ამავედროულად, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან ოჯახებს გადაეცათ საკვები პროდუქტებისა და ჰიგიენური საშუალებების კალათები (605 კალათა);

პანდემიის მეორე ტალღის საპასუხოდ, სახელმწიფო მინისტრის აპარატმა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების მოსახლეობის მხარდაჭერის მიზნით განაგრძო საინფორმაციო და სოციალური დახმარების კამპანიების აქტიურ რეჟიმში განხორციელება. საინფორმაციო კამპანია განხორციელდა სამი მიმართულებით:

- ❖ მომზადდა და სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ითარგმნა ანტიკრიზისული გეგმა და კორონავირუსის პრევენციასთან დაკავშირებით 100 000-მდე ბროშურა, რომელიც კარდაკარ პრინციპით გავრცელდა ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის რეგიონებში;
- ❖ გადამზადდნენ ორენოვანი ახალგაზრდები, რომლებიც ოპერატორებად დასაქმდნენ სამთავრობო ცხელ ხაზზე 144-1. აღნიშნული ცხელი ხაზის მეშვეობით მოქალაქეებს ეძლევათ შესაძლებლობა, მათ შორის სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე გაიარონ კონსულტაცია დაწესებული გადაადგილების დროებითი შეზღუდვის პირობებში საშვის გაცემის თაობაზე და აუცილებლობის შემთხვევაში მიიღონ მომსახურება.
- ❖ გადამზადდა ორენოვანი ახალგაზრდების მოხალისეთა ჯგუფი, რომლებიც უზრუნველყოფენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით დასახლებულ რეგიონებში თანატოლებთან დისტანციური შეხვედრების ჩატარებას კორონავირუსის პრევენციასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მათ შორის ანტიკრიზისულ გეგმასთან დაკავშირებით. 5 მუნიციპალიტეტის, 36 სოფელში, ჩატარდა 7 შეხვედრა/ტრენინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 267 ბენეფიციარმა.

სოციალური დახმარების კამპანია ითვალისწინებდა სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონებში მცხოვრები დედ-მამით ობოლი ბავშვებისათვის საკვები პროდუქტებისა და ჰიგიენური საშუალებების პაკეტების (729) გადაცემას.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის ძალისხმევა ამ მიმართულებით გაგრძელდება და კონკრეტული ღონისძიებები განისაზღვრება ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გათვალისწინებით გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად.

ამოცანა 2.1.3 პროფესიული და ზრდასრულთა განათლების უზრუნველყოფა

დასაქმების უზრუნველყოფა, თავის მხრივ, ეფუძნება შრომის ბაზრის შესწავლას. ამ მიმართულებით სოციალური დაცვის სააგენტომ სამხარეო ფილიალების მეშვეობით განახორციელა შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის. თუმცა, აღნიშნული ზოგადი ხასიათის ინფორმაცია და არ კონკრეტდება თუ რამდენ პირს მიეწოდა ინფორმაცია, ასევე არაა ცნობილი შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში დარეგისტრირებული წარმომადგენლების რაოდენობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დასაქმების პერსპექტივები პირდაპირ უკავშირდება პროფესიულ მომზადებასა და კვალიფიკაციას. პროფესიული და ზრდასრულთა განათლების უზრუნველყოფა კი, შესაძლებელია კომპლექსური ღონისძიებების განხორციელების მეშვეობით, მათ შორის პროფესიულ სასწავლებლებში ეთნიკურ უმცირესობათა მონაწილეობის გაზრდით, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელის გაფართოებითა და ხარისხიანი პროფესიული განათლების მიწოდების უზრუნველყოფით.

გარკვეული ღონისძიებები გატარდა რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების განვითარებისა და მათი დასაქმების/თვითდასაქმების შესაძლებლობების შექმნის ხელშეწყობი ღონისძიებების მხარდასაჭერად. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ

სამოქმედო გეგმის მიღმა დამატებით განხორციელდა „ახალგაზრდების სამეწარმეო კომპეტენციის განვითარების პროგრამის“ ფარგლებში „მეწარმეობის რეგიონული სკოლა“ პანკისის ხეობაში.

დასკვნის სახით, აღსანიშნავია, რომ განხორციელდა არაერთი პროექტი, რამაც ხელი შეუწყო ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობებისა და შესაძლებლობების გაუმჯობესებას. უფრო მეტიც, განხორციელებული პროექტების რაოდენობამ დაგეგმილს გადააჭარბა. განხორციელდა ფართომასშტაბიანი საინფორმაციო/ცნობიერების ამაღლების კამპანია სოციალურ-ეკონომიკურ პროგრამებსა და სერვისებზე ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ მუნიციპალიტეტებში. თუმცა, გაწეული ინტენსიური საქმიანობის მიუხედავად, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის დოკუმენტსა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი ღონისძიებები თავისი შინაარსითა და მასშტაბებით სრულად ვერ უზრუნველყოფს აღნიშნული შუალედური მიზნის მიღწევას. ამასთანავე, ინფრასტრუქტურული პროექტის დაგეგმვის პროცესში მნიშვნელოვანია სისტემური და კომპლექსური მიდგომა, რაც უზრუნველყოფს განხორციელებული პროექტების ეფექტიანობის გაზრდას.

სტრატეგიული მიზანი 3. ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესება

ბოლო წლების განმავლობაში უმწვავეს პრობლემას წარმოადგენს ხარისხიანი განათლების შეთავაზება ეთნიკური უმცირესობებისათვის, რაც უშუალოდ არის დაკავშირებული პოლიტიკური და სამოქალაქო მონაწილეობის ეფექტურობასთან. ამ თვალსაზრისით, მთავარ გამოწვევას წარმოადგენს ქართული ენის გავრცელება ეთნიკურ უმცირესობათა შორის ისე, რომ სრულფასოვნად შენარჩუნებულ იქნეს ეთნიკურ უმცირესობათა ლინგვისტური თავისებურებები და ამ კონტექსტში ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა როგორც სკოლამდელი განათლების, ისე ზოგადი, პროფესიული, უმაღლესი და ზრდასრულთა განათლების მიმართულებით. აღნიშნულ სფეროში პოლიტიკის წარმმართველი და შესაბამის სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელია განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, აგრეთვე ადგილობრივი მუნიციპალიტეტები და მათი შესაბამისი სამსახურები. საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე აღნიშნული სტრატეგიული მიზანი სამოქმედო გეგმაში დაყოფილია რამდენიმე შუალედურ მიზნად, კერძოდ, სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს ღონისძიებებს სკოლამდელი, ზოგადი და უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის, ასევე პროფესიული და ზრდასრულთა განათლების უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე აღნიშნული სტრატეგიული მიზანი სამოქმედო გეგმაში დაყოფილია რამდენიმე შუალედურ მიზნად და ამოცანად:

შუალედური მიზანი 3.1: სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის

ამოცანა 3.1.1: სკოლამდელი განათლების პროგრამის შემუშავება, სასწავლო რესურსების მოძიების შექმნა, აღმზრდელ-მასწავლებელთა და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარების პროგრამების მომზადება

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული იყო შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- სასკოლო მზაობის რელევანტური პროგრამებისა და სასწავლო რესურსების შემუშავება;
- მასწავლებელთა/აღმზრდელთა მომზადება;
- შესაბამისი ინფრასტრუქტურის შეთავაზება სკოლამდელი დაწესებულებებისათვის.

სკოლამდელი განათლების საკითხები დარეგულირებულია საქართველოს კანონმდებლობით. სკოლამდელი დაწესებულებები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ დაქვემდებარებულია და მათი ფუნქციონირება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კომპეტენციაა.

საქართველოს მთავრობის 2015-2020 წლების სტრატეგიის პრიორიტეტული ამოცანა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის ხარისხიანი სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაა. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ინიციატივა სკოლამდელი განათლების მიმართულებით. კერძოდ: 1. საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ, რომელიც ახლებურად არეგულირებს სფეროს; 2. დამტკიცდა სკოლამდელი აღზრდისა და განვითარების სტანდარტი; 3. სამინისტრომ შეიმუშავა და განახორციელა სასკოლო მზაობის პროგრამა; 4. შემუშავდა სკოლამდელი აღზრდის მასწავლებლის პროფესიული განვითარების სისტემა; 5. დამტკიცდა სკოლამდელი განათლების მასწავლებლის/აღმზრდელის პროფესიული მახასიათებელი, რომლის საფუძველზეც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები მოამზადებენ სკოლამდელი განათლების სპეციალისტებს.

აღნიშნულ დოკუმენტებში გათვალისწინებულია ეთნიკური, კულტურული, ლინგვისტური მრავალფეროვნების ასახვა, აღმზრდელ-პედაგოგების მიერ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით დასახლებულ რეგიონებში ქართული ენის სწავლების ხელშეწყობა, თითოეულ აღსაზრდელში განსხვავებულის მიმართ პატივისცემის გრძნობის ჩამოყალიბება და სხვა. აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიულ სტანდარტში ცალკე მუხლია გამოყოფილი „ქართულის, როგორც მეორე ენის“ აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული მახასიათებლების შესახებ⁶⁵; ამავე კონტექსტში აღმზრდელ-პედაგოგის დარგობრივი მახასიათებლების დოკუმენტში აღინიშნა: აღმზრდელ პედაგოგის მიერ მეორე ენის სწავლების,

⁶⁵აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიულ სტანდარტი, მუხლი 8, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3837404?publication=0>

მულტილინგვური განათლების, მრავალფეროვანი გარემოს მართვის, ინკლუზიური გარემოს შექმნის ცოდნა და უნარების ფლობის აუცილებლობა.

აქვე აღსანიშნავია, რომ სასკოლო მზაობის პროგრამაში ჩაერთნენ არაქართულენოვანი სკოლები და სკოლამდელი დაწესებულებებიც და ამ პროგრამაზე ხელმისაწვდომობა გაიზარდა ეთნიკური უმცირესობათა წარმომადგენლებისთვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 97/ნ ბრძანებით დამტკიცებული „აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგმოდულით“ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული მუნიციპალიტეტებიდან (კერძოდ, ახალქალაქი, ახალციხე, ნინოწმინდა, ახმეტა, ლაგოდეხი, საგარეჯო, ბოლნისი, გარდაბანი, მარნეული, წალკა, დმანისი). სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გადამზადდა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების 27 კოორდინატორი/მეთოდისტი.

აღნიშნული მოდულის მიზანია: აღმზრდელ-პედაგოგთა გადამზადება და პროფესიული განვითარება, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების და აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტის გაცნობა.

მიუხედავად ზემოთ მითითებული პოზიტიური ნაბიჯებისა, სკოლამდელი და ადრეული ასაკის განათლების მიმართულებით კვლავ იკვეთება სერიოზული პრობლემები, როგორც ხელმისაწვდომობის, ისე განათლების ხარისხის, სკოლამდელი და დაწყებითი საფეხურის ინტეგრაციისა და ტრანზიციის ეფექტიანი მექანიზმების შექმნის თვალსაზრისით.

საქართველოში ადრეული ასაკის ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებში ჩართულობის მაჩვენებელი (69,5%), ევროპულ სამიზნე ნიშნულზე (95%) დაბალია. ჩარიცხვის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად დაბალია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ, სოციალურად დაუცველ და სოფლად მცხოვრებ ბავშვებში.⁶⁶ გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ამ აღნიშნული ტენდენციის ზუსტი დადასტურებისთვის, სტატისტიკური მონაცემები დამუშავდა და გაანალიზდა ეთნიკური უმცირესობების კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობა:

ცხრილი 1. სკოლამდელ დაწესებულებებში ჩართულობის პროცენტი მუნიციპალიტეტების მიხედვით (2019 წლის მონაცემები)

მუნიციპალიტეტი	2-6 წლის ასაკის ბავშვების რაოდენობა	სკოლამდელი დაწესებულებებში მყოფი ბავშვების რაოდენობა	ჩართულობის პროცენტი
ახალქალაქი	3666	922	25,1 %
ნინოწმინდა	1991	741	37,1%
წალკა	1621	230	14,2%

⁶⁶ საქართველოში სკოლამდელი განათლების ხარისხის კვლევა, 2018
<https://www.unicef.org/georgia/media/1236/file/Preschool%20Quality%20Study.pdf>

დმანისი	1479	328	26%
---------	------	-----	-----

ჩართულობისა და სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით პრობლემური ვითარებაა მცირე ეთნიკური ჯგუფების შემთხვევაში. მაგალითად, კახეთის რეგიონში, ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩათლისყურში სკოლამდელი დაწესებულების ალტერნატიული მოდელიც კი არ ფუნქციონირებდა და მხოლოდ 2018 წლიდან ამოქმედდა. ასევე, სოფელ ჭოეთში (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი), სადაც დღემდე სკოლამდელი განათლება არ არის ხელმისაწვდომი სკოლამდელი დაწესებულების არარსებობის გამო⁶⁷.

როგორც სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს, ხელმისაწვდომობა საკმაოდ დაბალია ეთნიკური უმცირესობების კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეული პროგრესი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში არის დაფიქსირებული, როგორც სკოლამდელი დაწესებულებების ზრდის, აგრეთვე ამ დაწესებულებებში აღსაზრდელთა ჩართულობის თვალსაზრისით.

სკოლამდელი დაწესებულებების თვალსაზრისით, 2016 წელთან შედარებით გაზრდილია სკოლამდელი დაწესებულებებისა თუ დღის ცენტრების რაოდენობა ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ 7 მუნიციპალიტეტში, რაც უდავოდ პოზიტიური ტენდენციაა.

ცხრილი 2. სკოლამდელი დაწესებულებების რაოდენობის ზრდის დინამიკა (2016-2020 წწ.)

მუნიციპალიტეტი	საბავშვო ბაღების რაოდენობა	
	2016 წელი	2020 წელი
ახალქალაქი	11	12
ნინოწმინდა	8	11
ახალციხე	20	25
დმანისი	8	9
გარდაბანი	25	29
ბოლნისი	16	17
მარნეული	12	14
სულ:	100	117

აღნიშნულ შვიდ მუნიციპალიტეტში 19%-ით გაზრდილია სკოლამდელ დაწესებულებებში აღსაზრდელთა რაოდენობაც. თუ 2016 წლისთვის აღსაზრდელთა რაოდენობა შეადგენდა 7914, უკვე 2020 წლისთვის რაოდენობა გაზრდილია 9418-მდე. განსაკუთრებით მაღალი ზრდა აღინიშნება ახალქალაქის, ნინოწმინდის, ახალციხის და მარნეულის მუნიციპალიტეტებში.

⁶⁷<https://reginfo.ge/people/item/270-bavshvebi-skolamdeli-ganatlebis-gareshe>

ცხრილი 3. სკოლამდელი დაწესებულებებში აღსაზრდელების რაოდენობის ზრდის დინამიკა (2016-2020 წწ.)

მუნიციპალიტეტი	აღსაზრდელთა რაოდენობა		
	2016	2020	ზრდა %
ახალქალაქი	737	993	34%
ნინოწმინდა	648	805	24%
ახალციხე	320	425	32%
დმანისი	320	337	5%
გარდაბანი	2730	3215	17.80%
ბოლნისი	1359	1347	-0.90%
მარნეული	1800	2296	27.56%
სულ:	7914	9418	19%

ამ პოზიტიური ცვლილებების კვალდაკვალ, მნიშვნელოვანია გაანალიზდეს სკოლამდელი განათლების პოლიტიკა განათლების ხელმისაწვდომობისა და ინტეგრაციის კონტექსტში არსებული ხარვეზების თვალსაზრისითაც. ამ მხრივ, სამი მნიშვნელოვანი ხარვეზი გამოვლინდა:

- ეთნიკურად შერეულ რაიონებში სკოლამდელი განათლება ძირითადად ხელმისაწვდომია ქართულენოვანი დასახლებებისთვის (ბოლნისი, დმანისი, თეთრიწყარო);
- სკოლამდელი განათლების დაწესებულებები ქვემო ქართლის რეგიონის მუნიციპალიტეტებში (გარდა მარნეულისა) ძირითადად ფუნქციონირებს მხოლოდ სახელმწიფო ენაზე, ხოლო ბილინგვიზმი და მისი პოზიტიური სოციალურ-კოგნიტიური ეფექტები უგულებელყოფილია;
- სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის, ინფრასტრუქტურისა თუ სწავლების განვითარება არ არის სისტემური და არ ეფუძნება სკოლამდელი და ზოგადი ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის პრინციპებს.

ქვემოთ მოცემულია თითოეული გამოვლენილი ხარვეზის მოკლე მიმოხილვა:

სკოლამდელი განათლება ძირითადად ხელმისაწვდომია ქართულენოვან დასახლებებისთვის. აღნიშნული ტენდენცია თვალსაჩინოა თუ გავანალიზებთ სკოლამდელი დაწესებულებების განლაგებას და განლაგების შესაბამის მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობას. მაგალითისთვის, დმანისის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის 65% ეთნიკურად აზერბაიჯანელები წარმოადგენენ, ხოლო სკოლამდელ დაწესებულებებში აღსაზრდელთა 337-დან მხოლოდ 63 (დაახლოებით 20%) წარმოადგენს ეთნიკურ უმცირესობას. საბავშვო ბაღების განლაგების ანალიზის შემთხვევაშიც საინტერესო სურათი იკვეთება. დმანისის მუნიციპალიტეტში 9 სკოლამდელი დაწესებულებაა, რომლებიც შემდეგნაირი გეოგრაფიული განლაგებითაა წარმოდგენილი: ქ. დმანისი (2 საბავშვო ბაღი), მაშავერა, ბოსლები, განთიადი,

გომარეთი, სარკინეთი, ვარდისუბანი, ჯავახი (დმანისის მუნიციპალიტეტი, 2020). ყველა ამ გეოგრაფიულ დასახლებაში ეთნიკურად ქართველები ცხოვრობენ ან უმრავლესობით არიან წარმოდგენილი. ხოლო ეთნიკური აზერბაიჯანელებით დასახლებულ 30-ზე მეტ დასახლებაში არცერთი სკოლამდელი დაწესებულება არ ფუნქციონირებს და არც 2015-2020 წლებში განხორციელებულა რაიმე ქმედება, რაც ხელმისაწვდომობას გაზრდიდა. ანალოგიური ვითარებაა ბოლნისის მუნიციპალიტეტში, სადაც 12 სკოლამდელი დაწესებულება და 5 დღის ცენტრი ფუნქციონირებს. 12 სკოლამდელი დაწესებულება ქართულენოვანი მოსახლეობით დასახლებულ სოფლებშია განლაგებული, ხოლო 5 დღის ცენტრი - ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში.

ეთერიწყაროს მუნიციპალიტეტშიც ანალოგიური ვითარებაა. ერთადერთი სრულად ეთნიკურად აზერბაიჯანელებით დასახლებული სოფელი არის ქოსალარი, რომელშიც არ ფუნქციონირებს სკოლამდელი დაწესებულება, იმ დროს, როდესაც ქართულენოვანი მოსახლეობით, რაოდენობრივად უფრო მცირე სასოფლო დასახლებებს როგორცაა, ჭივჭავი, ხაიში, ფარცხნისი, გოლთეთი, აქვთ სკოლამდელი დაწესებულებები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სოფელ წინწყაროში, სადაც აგრეთვე სახლობენ ეთნიკურად აზერბაიჯანელები გახსნილია სკოლამდელი დაწესებულება, თუმცა სოფელ წინწყაროში უმრავლესობას ეთნიკურად ქართველები წარმოადგენენ და სკოლამდელ დაწესებულებაშიც მხოლოდ ქართულ ენაზე მიმდინარეობს აღმზრდელიობითი პროცესი.

ერთენოვნება და ბილინგვიზმის უგულებელყოფა ქვემო ქართლის სკოლამდელ დაწესებულებებში

ქვემო ქართლის რეგიონის ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული მუნიციპალიტეტების სკოლამდელ დაწესებულებებში აღზრდისა და განვითარების ენა მხოლოდ სახელმწიფო ენაა. ამ თვალსაზრისით გამონაკლისია მარნეულის მუნიციპალიტეტი. რაც შეეხება ბოლნისის, დმანისის, თეთრიწყაროსა და გარდაბნის მუნიციპალიტეტებს, ყველგან სკოლამდელი დაწესებულებები ფუნქციონირებს მხოლოდ სახელმწიფო ენაზე, მიუხედავად იმისა, რომ ამ მუნიციპალიტეტების მოსახლეობის უმრავლესობას ეთნიკურად აზერბაიჯანელები წარმოადგენენ (დმანისი-65.46 %; ბოლნისი-63.38%; გარდაბანი-43.53%).

რაც შეეხება მარნეულის მუნიციპალიტეტს, მოსახლეობის 83.77% ეთნიკურად აზერბაიჯანელი და 6.99% ეთნიკურად სომეხი მოსახლეობაა; შესაბამისად, მოსახლეობის 90% ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელია. სწორედ ამ კონტექსტში საინტერესოა სკოლამდელი განათლებისადმი არსებული ენობრივი მიდგომები. მარნეულის მუნიციპალიტეტში გხვდება ქართულენოვანი, აზერბაიჯანულენოვანი, რუსულენოვანი, სომხურენოვანი და სექტორული ჯგუფები, რაც კარგი ანალიზის საშუალებას იძლევა. სწავლების ენის მიხედვით ჯგუფების გადანაწილება და რაოდენობა, ისევე როგორც ჯგუფებში აღსაზრდელთა გადანაწილება თვალნათელს ხდის სკოლამდელ დაწესებულებებში არსებულ ენობრივ პოლიტიკას, კერძოდ:

- სკოლამდელი დაწესებულებების აბსოლუტური უმრავლესობა ერთენოვანია; 2020 წლის მონაცემებით, 27 ქართულენოვანი ჯგუფი, 17 აზერბაიჯანულენოვანი, 6 რუსულენოვანი, 1 სომხურენოვანი და 4 შერეული ჯგუფია;

- ჯგუფებისა და აღსაზრდელთა რაოდენობა ჭარბობს ქართულენოვან სკოლამდელ დაწესებულებებში. 2020 წლის მონაცემებით, მარნეულის მუნიციპალიტეტში სკოლამდელ აღსაზრდელთა 58% ქართულენოვან სკოლამდელ დაწესებულებაში დადის და მხოლოდ 27.5% - აზერბაიჯანულენოვანში;
- ქართულენოვან ჯგუფებში აღსაზრდელთა რაოდენობა არის ძალიან მაღალი და ამ რაოდენობის პირობებში როგორც აღმზრდელობითი, ისე უსაფრთხოების თვალსაზრისით პოზიტიური სიტუაციის შენარჩუნება რთულია;
- ბილინგვიზმის განვითარება და შესაბამისი მიდგომების ამოქმედება არ იკვეთება სკოლამდელი დაწესებულებების ენის შერჩევის პოლიტიკიდან გამომდინარე.

დეტალური ინფორმაცია მოცემულია მე-4 და მე-5 ცხრილებში:

ცხრილი 4. მარნეულის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი დაწესებულებების ჯგუფები სწავლების ენის მიხედვით

მარნეულის მუნიციპალიტეტი		
ჯგუფებში სწავლების ენა	წელი	
	2016	2020
აზერბაიჯანული	6	17
სომხური	1	1
ქართული	21	27
რუსული	2	6
შერეული	7	4
სულ:	37	55

ცხრილი 5. მარნეულის რაიონში სკოლამდელი დაწესებულებების აღსაზრდელთა რაოდენობა სწავლების ენის მიხედვით

მარნეულის მუნიციპალიტეტი		
აღსაზრდელთა რაოდენობა ჯგუფებში სწავლების ენის მიხედვით	წელი	
	2016	2020
აზერბაიჯანული	259	631
სომხური	31	32
ქართული	1153	1331
რუსული	74	188
შერეული	283	114
სულ:	1800	2296

აღნიშნული ტენდენცია მძიმე სურათს იძლევა და არ ეფუძნება საგანმანათლებლო კონცეფციებსა და პარადიგმებს. მხოლოდ მეორე ენაზე განათლების პირობებში, როცა აღსაზრდელთა ენობრივი კომპეტენცია ნულოვანია, ხოლო აღმზრდელები მხოლოდ სახელმწიფო ენას ფლობენ, მთელი აქცენტი კეთდება დაბალი სააზროვნო უნარების განვითარებასა და შესაბამისი ენობრივი დონის განვითარებაზე. შესაბამისად, სკოლამდელი დაწესებულებების აღსაზრდელები სკოლაში შედიან დაბალი სააზროვნო და მისი შესაბამისი

ენობრივი უნარებით როგორც მშობლიურ, ისე სახელმწიფო ენაში და ეს მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა მათი სასკოლო განათლების პროცესში. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინტერვენცია.

უსისტემო და უკონცეფციო განვითარება

თუ სკოლამდელ დაწესებულებებში ენობრივ პოლიტიკას გავაანალიზებთ, თვალნათელია, რომ ის ეფუძნება მხოლოდ ადგილობრივ ინიციატივებს და ადგილობრივი ხელისუფლების ხედვებს, რომლებსაც საგანმანათლებლო კონცეფცია არ ახლავს თან. ადგილობრივი ხელისუფლება ცდილობს გაზარდოს ხელმისაწვდომობა ადგილობრივ დონეზე, თუმცა ხარისხისა და ენობრივი პოლიტიკის თვალსაზრისით მათი კომპეტენცია დაბალია. ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან კი ამ თვალსაზრისით სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2015 – 2020 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების პერიოდში არანაირი ინიციატივა არ განხორციელებულა. მიუხედავად იმისა, რომ სამოქმედო გეგმაში განსახორციელებელი ღონისძიებების მნიშვნელოვანი ჩამონათვალი იყო, მხოლოდ 2020 წელს დაიწყო განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ საპილოტე პროექტი „სახელმწიფო სტანდარტების დანერგვა ეროვნული უმცირესობების სკოლამდელ და სასკოლო საფეხურებზე“⁶⁸. აღნიშნული პროგრამის განხორციელება დაიწყო სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით. ეს ინიციატივა მნიშვნელოვანია, თუმცა დიდი დროა დაკარგული და ამასთანავე მხოლოდ ერთი პროგრამის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები ვერ შეცვლის საერთო სურათს, თუკი არ იქნება სკოლამდელ დაწესებულებებში მიზანმიმართული, სისტემური საგანმანათლებლო და ენობრივი პოლიტიკა შესაბამისი ფინანსური და პროგრამული უზრუნველყოფით. ორენოვანი განათლების სკოლამდელ საფეხურზე დანერგვა ძალიან მნიშვნელოვანი ამოცანაა, რომლის ხელშეწყობა უნდა განხორციელდეს, როგორც ცენტრალური ხელისუფლების, ისე მუნიციპალიტეტების მხრიდან.

შეჯამების სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლამდელი განათლების საფეხურზე ხელმისაწვდომობის პრობლემა დგას ეთნიკური უმცირესობების ბავშვებისთვის, ამასთანავე პრობლემაა მშობლიურ ენაზე სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით მცირე ეთნიკური ჯგუფების ბავშვებისთვის და ამავე კონტექსტში სერიოზულად დგას ეფექტიანი ენობრივი განათლების პოლიტიკის საკითხი.

სკოლამდელი განათლების ხარისხთან დაკავშირებული პრობლემები

კვლევამ და საკითხის მონიტორინგმა კვლავ გამოკვეთა რამდენიმე სერიოზული პრობლემა, კერძოდ: *ჯგუფში აღსაზრდელთა რაოდენობა; სასწავლო რესურსების ნაკლებობა და მათი გამოყენების შეზღუდულობა პერსონალის მიერ; აღმზრდელთა და ძიძათა კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის დანერგვის გადადება, ახალი კადრების მომზადების პრობლემატიკა.*

⁶⁸პროგრამის განხორციელებაში ჩართულია სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი; მიმდინარეობს მჭირდო თანამშრომლობა მუნიციპალიტეტებთან, საბავშვო ბაღების გაერთიანებებთან, ასევე, სხვადასხვა დონორ ორგანიზაციებთან

შუალედური მიზანი 3.2 ხარისხიანი ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა როგორც სახელმწიფო, ასევე მშობლიურ ენებზე

ამოცანა 3.2.1. ეროვნული სასწავლო გეგმისა და საგანმანათლებლო რესურსების გაუმჯობესება-განვითარება ხარისხიანი ორენოვანი განათლების დანერგვის ხელშესაწყობად

საქართველოს კანონის „ზოგადი განათლების შესახებ“⁶⁹ მეოთხე მუხლით განსაზღვრულია: „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების ენაა ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში — ქართული ან აფხაზური“. იმავე მუხლის მესამე პუნქტის მიხედვით, „საქართველოს მოქალაქეებს, რომელთათვისაც ქართული ენა მშობლიური არ არის, უფლება აქვთ მიიღონ სრული ზოგადი განათლება მათ მშობლიურ ენაზე, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, კანონმდებლობით დადგენილი წესით“. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სავალდებულოა სახელმწიფო ენის სწავლება, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში — ორივე სახელმწიფო ენისა. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით გათვალისწინებულ შემთხვევებში შესაძლებელია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლება განხორციელდეს უცხოურ ენაზე.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტაციას გასცემს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შექმნილი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (მუხლი 32); ყველა აკრედიტებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, როგორც საჯარო, ისე კერძო, ფინანსდება სახელმწიფოს მიერ ყოველ მოსწავლეზე გამოყოფილი ვაუჩერით. აღნიშნული მუხლებისა და ვაუჩერული დაფინანსების შესაბამისად, საქართველოში ფუნქციონირებს არაქართულენოვანი სკოლები და სექტორები, რომლებიც სახელმწიფოსგან გაზრდილ ვაუჩერულ დაფინანსებას იღებენ. შესაბამისად, სახელმწიფო უზრუნველყოფს ზოგადი განათლების საფეხურზე მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შესაძლებლობას სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე. საქართველოს 2085 საჯარო სკოლიდან 208 საჯარო სკოლა ანუ ზუსტად სკოლების რაოდენობის 10% არაქართულენოვანი სკოლაა. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სკოლების რაოდენობა სწავლების ენის მიხედვით:

ცხრილი 6. არაქართულენოვანი საჯარო სკოლების რაოდენობა სწავლების ენის მიხედვით

სკოლები	რაოდენობა
1. აზერბაიჯანულენოვანი	79
2. რუსულენოვანი	11
3. სომხურენოვანი	117
სულ	207

207 არაქართულენოვანი საჯარო სკოლის გარდა ფუნქციონირებს არაქართულენოვანი სექტორები რუსული, სომხური და აზერბაიჯანული სწავლების ენით. მათი საერთო

⁶⁹<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=78>

რაოდენობა 95 სექტორს შეადგენს. ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოგიდგენს სექტორთა გადანაწილებას სწავლების ენის მიხედვით:

ცხრილი 7. არაქართულენოვანი სექტორების რაოდენობა სწავლების ენის მიხედვით

სექტორები	რაოდენობა
აზერბაიჯანულენოვანი/რუსულენოვანი	2
აზერბაიჯანულენოვანი/სომხურენოვანი	2
ქართულენოვანი/აზერბაიჯანულენოვანი	36
რუსულენოვანი/სომხურენოვანი	1
ქართულენოვანი/აზერბაიჯანულენოვანი/რუსულენოვანი	1
ქართულენოვანი/რუსულენოვანი	42
ქართულენოვანი/სომხურენოვანი	10
ქართულენოვანი/სომხურენოვანი/რუსულენოვანი	1
სულ	95

საინტერესოა არაქართულენოვანი სკოლების გადანაწილება დასახლების ტიპის მიხედვით, რამეთუ საქართველოში ჩატარებული შიდა შეფასების კვლევები, ისევე როგორც საერთაშორისო კვლევები მკვეთრ განსხვავებებს აჩვენებს მოსწავლეთა შედეგებში დასახლების ტიპის მიხედვით. კვლევების თანახმად ქალაქის სკოლების მოსწავლეთა შედეგები და აკადემიური მიღწევები გაცილებით მაღალია სოფლისა და მაღალმთიანი რაიონების სკოლების მოსწავლეთა შედეგებთან შედარებით, რასაც განაპირობებს სხვადასხვა ფაქტორი. არაქართულენოვანი სკოლების სწავლების ხარისხის შესაფასებლად და შესაბამისი პოლიტიკის დასაგეგმად მნიშვნელოვანია ამ სკოლების განლაგება დასახლების ტიპის მიხედვით. ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი ასახავს სწავლების ენის მიხედვით სკოლების განლაგებას სხვადასხვა დასახლების ტიპში:

ცხრილი 8. არაქართულენოვანი სკოლები და სექტორები დასახლების ტიპის მიხედვით

სწავლების ენა	დასახლების ტიპი			
	სულ	სოფელი	ქალაქი	მათ შორის მაღალმთიანი დასახლება
სომხური სკოლები და სექტორები	131	117	14	112
აზერბაიჯანული სკოლები და სექტორები	120	108	12	18
რუსულენოვანი სკოლები და სექტორები	58	12	46	9
სულ	309	237	72	139

ცხრილიდან თვალნათელია, რომ არაქართულენოვანი სკოლებისა და სექტორების უმრავლესობა განლაგებულია სოფლის დასახლებებში (76.7%) და მხოლოდ 23.3% ქალაქის დასახლებებში. სურათი კიდევ მეტად განსხვავებულია კონკრეტულად სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი სკოლების განლაგებასთან დაკავშირებით. აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი სკოლებისა და სექტორების 90% სოფლის ტიპის დასახლებებში (მათ შორის მაღალმთიან დასახლებებშია სომხურენოვანი სკოლების უმრავლესობა). დასახლების ტიპს ამ შემთხვევაში უდიდესი როლი ენიჭება და გასათვალისწინებელი ფაქტორია პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელებისთვის. როგორც უკვე აღნიშნა, სწავლისა და განათლების ხარისხის თვალსაზრისით, სხვადასხვა კვლევაში სხვადასხვა შედეგია დაფიქსირებული დასახლების ტიპის მიხედვით. საერთაშორისო კვლევები, ისევე როგორც ეროვნული შეფასება მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო საგნებში, რომელიც 2015 და 2016 წლებში ჩატარდა (გამოცდებისა და შეფასების ცენტრი, 2017) ადასტურებს, რომ ქალაქის მოსწავლეებს ბევრად უკეთესი შედეგები აქვთ შინაარსობრივ და კოგნიტურ სფეროებში სოფლის მოსწავლეებთან შედარებით. ამავე კონტექსტში საინტერესოა არა სკოლების, არამედ უშუალოდ მოსწავლეთა რაოდენობის გადანაწილება დასახლების ტიპის მიხედვით არაქართულენოვან სკოლებში. 2019 წლის მონაცემების მიხედვით, სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი სკოლების მოსწავლეთა დაახლოებით 90% მთისა და სოფლის სკოლებში სწავლობს, აბსოლუტურად განსხვავებული ვითარებაა რუსულენოვან სკოლებთან დაკავშირებით, რომლის საერთო რაოდენობის მოსწავლეთა 83.8% სწორედ ქალაქის სკოლის მოსწავლეებს წარმოადგენენ (2015-2018 წლების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შეფასების ანგარიში, 2019). თუკი აღნიშნულს ქართულენოვანი სკოლების ანალოგიურ მაჩვენებელს შევადარებთ, აქაც ქალაქის სკოლის მოსწავლეთა პროპორცია მოსწავლეთა საერთო რაოდენობაში 58%-ს შეადგენს, ხოლო სოფლისა და მთის დასახლების სკოლების მოსწავლეთა რაოდენობა 42%-ს.⁷⁰ შესაბამისად, განათლების ხარისხის ინდიკატორების შეფასებისას მნიშვნელოვანია აღნიშნული ფაქტორი იქნეს გათვალისწინებული და სტატისტიკურად გაკონტროლდეს. სწავლების ენის მიხედვით მოსწავლეთა პროცენტული გადანაწილება ქვემოთ მოყვანილ ცხრილშია წარმოდგენილი:

ცხრილი 9. მოსწავლეთა გადანაწილება სწავლების ენისა და დასახლების ტიპის შესაბამისად

სწავლების ენა	დასახლების ტიპი		
	მაღალმთიანი რეგიონი	სოფელი	ქალაქი
აზერბაიჯანულენოვანი	7.70%	80.80%	11.50%
რუსულენოვანი	9.50%	6.70%	83.80%
სომხურენოვანი	84.70%	6.90%	8.40%
სულ	28.10%	43.20%	28.70%

წყარო: (2015-2018 წლების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შეფასების ანგარიში, 2019).

საქართველოში საჯარო სკოლის მოსწავლეთა საერთო რაოდენობა 2019 წლის მონაცემებით 523 958 მოსწავლეა. არაქართულენოვან სკოლებსა და სექტორებში მოსწავლეთა რაოდენობა ამავე წლის მონაცემებით 51 250 შეადგენს, რაც მოსწავლეთა საერთო რაოდენობის დაახლოებით 10%-ია. იგივე პროცენტული მაჩვენებელი აქვს სკოლების მთლიან რაოდენობაში არაქართულენოვანი სკოლების წილს. სწავლების ენის მიხედვით მოსწავლეთა

⁷⁰ვაუჩერული დაფინანსების კვლევა, CCIIR 2014

რაოდენობრივი და პროცენტული გადანაწილება ქვემოთ მოყვანილ ცხრილშია წარმოდგენილი:

ცხრილი 10. მოსწავლეთა რაოდენობა საჯარო სკოლებში სწავლების ენის მიხედვით 2019 წლის მიხედვით

სწავლების ენა	მოსწავლეთა რაოდენობა	პროცენტული რაოდენობა
ქართულენოვანი	472 221	90,1 %
სომხურენოვანი	13374	2,55 %
აზერბაიჯანულენოვანი	25443	4,85%
რუსულენოვანი	12920	2,5 %
სულ	523 958	100 %

სწავლების ენის მიხედვით მოსწავლეთა გადანაწილება მეტ-ნაკლებად თანხვედრაშია მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობასთან, თუმცა გარკვეული განსხვავებები მაინც იკვეთება, განსაკუთრებით რუსულენოვანი მოსახლეობისა და რუსულენოვან სკოლებსა და სექტორებში მოსწავლეთა რაოდენობის პროპორციას შორის. შესაბამისად, ეს პროპორცია ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ რუსულენოვანი სკოლების მოსწავლეთათვის რუსული ხშირ შემთხვევაში არ წარმოადგენს მშობლიურ ენას, ანუ რუსულენოვანი სკოლები და სექტორები ნაკლებად არსებობენ უმცირესობათა მშობლიურ ენაზე გარანტირებულად განათლების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად, არამედ „მიგრანტთა“ სამჭედლოს წარმოადგენს და შესაბამისად სხვა ტიპის მიდგომა და რეფორმა განსახორციელებელი ამ სკოლებთან მიმართებით. 2020 წლის მონაცემებით არაქართულენოვან სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობა ოდნავ შეცვლილია. გაზრდილია მოსწავლეთა რაოდენობა 2019 წელთან შედარებით და ის 52146 მოსწავლეს შეადგენს. აქედან მოსწავლეთა 47.9 % აზერბაიჯანულენოვანი სკოლისა და სექტორის მოსწავლეები არიან 25.2 %-სომხურენოვანი და 26.9% რუსულენოვანი. 2019 და 2020 წლების მონაცემების შედარებითაც თვალსაჩინოა, რომ რუსულენოვან სკოლებსა და სექტორებში მოსწავლეთა რაოდენობა და არაქართულენოვან სკოლებში რუსულენოვანი სკოლის მოსწავლეთა ხვედრითი წილი იზრდება.

ცხრილი 11. მოსწავლეთა რაოდენობის ცვლილება 2019 და 2020 წლებში სწავლების ენის მიხედვით

	2019	2020	ზრდა/კლება
სომხურენოვანი	13374	13132	-242
აზერბაიჯანულენოვანი	25443	24954	-489
რუსულენოვანი	12920	14060	1140
სულ:	51737	52146	409

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც არაქართულენოვან სკოლებში მოსწავლეთა სტატისტიკიდან იკვეთება, გახლავთ საფეხურებსა და კლასებს შორის მოსწავლეთა

რაოდენობრივი და პროცენტული გადანაწილება. საშუალო საფეხურზე (X-XII კლასები) არაქართულენოვან სკოლებში სწავლობს მოსწავლეთა საერთო რაოდენობის მხოლოდ 20.7%, დაწყებით საფეხურზე 52.9 % და 26.4% საბაზო საფეხურზე, რაც თანხვედრაშია საქართველოში არსებულ ზოგად მაჩვენებელთან, რომელიც წარმოადგენს საშუალო საფეხურზე მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 20.60%, დაწყებითის 54.0 %-ია და საბაზო 25.4%. შესაბამისად, ამ მონაცემებით სკოლის მიტოვების მაღალი მაჩვენებელი და ზედა საფეხურზე არაქართულენოვან სკოლების მოსწავლეთა დაბალი რაოდენობა არ დასტურდება. დეტალური ინფორმაცია მოცემულია მე-12 ცხრილში:

ცხრილი 12. მოსწავლეთა რაოდენობა კლასებისა და სწავლების ენის მიხედვით

კლასი	საჯარო სკოლა			სულ
	აზერბაიჯანული	რუსული	სომხური	
I კლასი	2130	1390	1106	4626
II კლასი	2250	1463	1165	4878
III კლასი	2242	1410	1158	4810
IV კლასი	2441	1467	1235	5143
V კლასი	1857	1209	942	4008
VI კლასი	1909	1197	1022	4128
VII კლასი	2259	1293	1199	4751
VIII კლასი	2355	741	1059	4155
IX კლასი	2486	1122	1243	4851
X კლასი	2090	1111	1187	4388
XI კლასი	1527	828	938	3293
XII კლასი	1408	829	878	3115
სულ:	24954	14060	13132	52146

სკოლის მიტოვების კონტექსტში საინტერესოა არაქართულენოვან სკოლებში გენდერული ბალანსი და არსებული პროპორცია კლასების მიხედვით და რამდენად იცვლება ეს პროპორცია საშუალო სკოლის საფეხურზე. კლასების მიხედვით, გოგონათა პროპორციის შემცირება შესამჩნევია აზერბაიჯანულენოვანი სკოლების X, XI და XII კლასებში, ხოლო სომხურენოვან სკოლებში გოგონათა პროპორცია ბიჭებთან შედარებით მცირეა XI კლასში. რუსულენოვან სკოლებში პროპორციის კლება გოგონათა საწინააღმდეგოდ მაღალ კლასებში არ შეიმჩნევა.

ცხრილი 13. გენდერული გადანაწილება კლასებისა და სწავლების ენის მიხედვით

	აზერბაიჯანული		რუსული		სომხური	
	ბიჭი	გოგო	ბიჭი	გოგო	ბიჭი	გოგო
I კლასი	1108	1022	715	675	597	509
II კლასი	1184	1066	784	679	638	527
III კლასი	1210	1032	766	644	623	535
IV კლასი	1303	1138	741	726	667	568
V კლასი	1019	838	629	580	520	422
VI კლასი	1060	849	679	518	564	458

VII კლასი	1179	1080	680	613	646	553
VIII კლასი	1257	1098	396	345	575	484
IX კლასი	1314	1172	589	533	660	583
X კლასი	1182	908	571	540	636	551
XI კლასი	891	636	409	419	548	390
XII კლასი	837	571	426	403	463	415
სულ:	13544	11410	7385	6675	7137	5995

საფეხურების მიხედვით პროპორციების ცვლილება შესამჩნევია მხოლოდ აზერბაიჯანულენოვან სკოლებში. თუკი საბაზო საფეხურზე აზერბაიჯანულენოვან სკოლებში გოგონები 47.2% შეადგენენ, უკვე საშუალო საფეხურზე მათი წილი 42.10% მცირდება. რა თქმა უნდა, ამ შემცირების მიზეზების შესწავლას დამატებითი კვლევა სჭირდება, თუმცა მშრალი სტატისტიკაც კი ადასტურებს, აზერბაიჯანულენოვან სკოლაში გოგონების წილის შემცირებას საშუალო საფეხურზე, განსხვავებით სომხურენოვანი და რუსულენოვანი სკოლებისგან.

ცხრილი 14. გენდერული გადანაწილება საფეხურებისა და სწავლების ენის მიხედვით

	აზერბაიჯანული		რუსული		სომხური	
	ბიჭი	გოგო	ბიჭი	გოგო	ბიჭი	გოგო
დაწყებითი	53.70%	46.30%	53%	47%	54.50%	45.50%
საბაზო	52.80%	47.20%	52.80%	47.20%	53.70%	46.30%
საშუალო	57.90%	42.10%	50.80%	49.20%	54.90%	45.10%
სულ:	54.30%	45.70%	52.50%	47.50%	54.30%	45.70%

სტრატეგიასა და 2015-2020 წლების სამოქმედო გეგმაში განათლების პოლიტიკის რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი იყო გათვალისწინებული, რომელიც ხელს შეუწყობდა მულტილინგვური განათლების პოლიტიკის გრძელვადიანი პერსპექტივით განხორციელებას. კერძოდ:

- დაფინანსების სისტემაში მულტილინგვური განათლების ასახვა და ამ პროგრამაში ჩართულ მოსწავლეზე დაფინანსების მიზმა;
- სასწავლო გეგმებში მულტილინგვური განათლების პროგრამის ზოგადი ან სპეციფიკური სახით ასახვა;
- სასკოლო სახელმძღვანელოების საკითხის გადაჭრა ორენოვანი სწავლების კონტექსტში;
- მასწავლებელთა სტანდარტსა და პროფესიული განვითარების სქემაში მულტილინგვური კომპონენტის ასახვა;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წახალისება მულტილინგვალი მასწავლებელთა განათლების მომზადების პროგრამის განსახორციელებლად;
- დაფინანსების უზრუნველყოფა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მასწავლებელთა განათლების პროგრამებზე სტუდენტთა მოსაზიდად მულტილინგვური სწავლების მიმართულებით.

აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით მხოლოდ უკანასკნელ პერიოდში დაიწყო გარკვეული აქტივობები. ზოგიერთ შემთხვევაში ვითარება გაუარესდა. მაგალითად, ვაუჩერული დაფინანსების ნაწილში. სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდა დაფინანსების სისტემაში მულტილინგვური განათლების ასახვას და ამ პროგრამაში ჩართულ მოსწავლეზე დაფინანსების მიზმას. აღნიშნული კომპონენტი მნიშვნელოვანი იყო არსებული ფინანსური რესურსის რეფორმებში გარდასაქმნელად. არაქართულენოვანი სკოლები და სექტორები იღებდნენ გაზრდილ ვაუჩერს ვაუჩერული დაფინანსების სისტემის ფარგლებში ენობრივი საჭიროებებიდან გამომდინარე. აღნიშნული გაზრდილი დაფინანსება არ იყო გარდასახული შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფასთან. შესაბამისად, სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდა დაფინანსებისა და პროგრამული უზრუნველყოფის ჰარმონიზაციას და გამოყოფილი თანხების შესაბამის პროგრამებზე ხარჯვას. მიუხედავად ამ ხედვისა, ნაცვლად პროგრამული უზრუნველყოფისა, 2018 წელს შეიცვალა ვაუჩერული დაფინანსების სისტემის კოეფიციენტები და არაქართულენოვან სკოლებსა და სექტორებს გაუუქმდათ დამატებითი კოეფიციენტი. ქვემოთ წარმოდგენილ ქვეთავებში განხილული იქნება სასწავლო გეგმებთან, სასკოლო სახელმძღვანელოებთან, მასწავლებელთა სტანდარტთან, განათლებასა და პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები.

სასკოლო სახელმძღვანელოების მიმართულებით სამოქმედო გეგმის ფარგლებში დაგეგმილი იყო რამდენიმე მნიშვნელოვანი აქტივობა თუ პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება, თუმცა გარდამტეხი ნაბიჯები არ გადადგმულა 2015-2020 წლებში და დღევანდელ ვითარებაში შემდეგი პრობლემები იკვეთება:

1) ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სკოლების ეროვნულ სასწავლო გეგმებს შორის არსებული აცდენები VII-XII კლასებში. 2013-2014 აკადემიური წლიდან განხორციელდა მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფო უზრუნველყოფს სასკოლო სახელმძღვანელოებით საჯარო სკოლების ყველა მოსწავლეს და კერძო სკოლების სოციალურად დაუცველ მოსწავლეებს. ამ რეფორმის განხორციელებამ გარკვეული პრობლემები შექმნა წიგნების თარგმანთან დაკავშირებით. 2011-2016 წლების სასწავლო გეგმის შესაბამისად შემუშავებული VII-XII კლასების სახელმძღვანელოების თარგმანი არაქართულენოვანი სკოლებისთვის ვერ განხორციელდა სახელმწიფოს მხრიდან, ხოლო გამომცემლობებმა უარი განაცხადეს ამ პროცესში ჩართვაზე. შესაბამისად, არაქართულენოვანი სკოლები დარჩნენ 2011-2016 წლების სასწავლო გეგმით შედგენილი სახელმძღვანელოების გარეშე. აღნიშნული სიტუაციიდან გამომდინარე, განათლების და მეცნიერების სამინისტრომ გამომცემლობებისგან არაქართულენოვანი სკოლებისთვის შეიძინა 2006-2011 წლების სასწავლო გეგმების შესაბამისად შედგენილი სახელმძღვანელოები, რომლის მიხედვითაც ხორციელდებოდა სწავლება VII-XII კლასებში. I-VI კლასებში მოქმედებდა 2011-2016 წლების სასწავლო გეგმა, ხოლო VII-XII-ში ძველი სასწავლო გეგმა. ეს ხარვეზი გათვალისწინებული იყო საატესტატო გამოცდების ტესტების შედგენისას, ისევე როგორც გამოცდების გრაფიკიც განსხვავებული იყო არაქართულენოვანი სკოლებისთვის. აღნიშნული პოლიტიკა პრობლემური გახლდათ რამდენიმე თვალსაზრისით: ა) განსხვავებული სასწავლო გეგმები სისტემის შიგნით, ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სკოლები განსხვავებული სასწავლო გეგმებით სწავლობდნენ, რაც განათლების თუ ინტეგრაციის პოლიტიკის თვალსაზრისით აბსოლუტურად გაუმართლებელია; ბ) არათანმიმდევრულობა დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის

სასწავლო გეგმებს შორის, რამეთუ I-VI კლასები ეფუძნებოდა 2011-2016 სასწავლო გეგმას, ხოლო VII-XII კლასები - 2006-2011 წლების სასწავლო გეგმას. არათანმიმდევრულობა შესაბამის ასახვას ჰპოვებს სწავლების შედეგებზე; გასაკმაოდ დიდი ფინანსური რესურსის დახარჯვა სახელმძღვანელოების შესყიდვაში თანხის არაეფექტური მართვის კლასიკური მაგალითია. უამრავი თანხა იხარჯებოდა სახელმწიფოს მხრიდან არაქართულენოვან სკოლებში ძველი და საერთო სისტემისგან განსხვავებული სასწავლო გეგმითა და სახელმძღვანელოების სწავლებაში. განსაკუთრებით 2015-2016 და 2017 წლების ბიუჯეტებში მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამაში არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეთა სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის კომპონენტი საკმაოდ მაღალ პროპორციას აღწევდა. 2019-2020 წლებში ახალი სასწავლო გეგმების მიხედვით შეიქმნა მხოლოდ I-VII კლასების სახელმძღვანელოები. შესაბამისად, VIII-IX კლასებსა და საშუალო საფეხურზე ახალი სახელმძღვანელოებით ჩანაცვლება ფიზიკურად ვერ განხორციელდებოდა. I-VI კლასების გრიფირებული სახელმძღვანელოები თარგმანთან დაკავშირებული პრობლემების გამო ერთი წლის დაგვიანებით გახდა ხელმისაწვდომი არაქართულენოვანი სკოლებისთვის, ხოლო VII კლასის სახელმძღვანელოები მიწოდებული იქნა დროულად.

2) მშობლიური ენის სახელმძღვანელოების არარსებობა კვლავ გადაუჭრელ პრობლემად რჩება. მშობლიური ენის სასწავლო გეგმა შექმნილია დაწყებითი და საბაზო საფეხურებისთვის. მათი დამტკიცების შემდგომ სხვა საგნებთან ერთად, მშობლიურ ენაშიც გამოცხადდა სახელმძღვანელოების გრიფირების კონკურსი, თუმცა, არცერთმა გამომცემლობამ საკონკურსოდ არ შემოიტანა მშობლიური ენის სახელმძღვანელოები. ამდენად, პრაქტიკული ნაბიჯები მხოლოდ სასწავლო გეგმის შემუშავების დონეზე გაჩერდა და შესაბამისი სახელმძღვანელოების შემუშავება აღარ განხორციელდა. შესაბამისად, სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობები არც ამ მიმართულებით განხორციელდებულა და არაქართულენოვანი სკოლები კვლავ გამოიყენებენ სხვა ქვეყნების სახელმძღვანელოებს საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში, რაც ხელს უშლის ხშირ შემთხვევაში მოქალაქეობრივი იდენტობის სწორი ფორმირების პროცესს საქართველოს არაქართულენოვან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეებში; ამ თვალსაზრისით გარკვეულ აქტივობებს ითვალისწინებს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული საბაზო განათლების პროექტი (BEP), რომელიც გულისხმობს პროგრამის ფარგლებში დაწყებითი კლასებისთვის მშობლიურ ენაზე სასწავლო რესურსების შექმნას და მასწავლებელთა გადამზადებას. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სასწავლო რესურსები ე.წ. მატრიცების სახით კეთდება სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზეც და ეფუძნება სამინისტროს მიერ ინიცირებული „ახალი სკოლის მოდელის“ დანერგულ მიდგომას, რომელიც გულისხმობს სასკოლო სასწავლო გეგმების შექმნასა და სკოლების გაძლიერებას ამ თვალსაზრისით. ეს მნიშვნელოვანი ინიციატივა და პროექტია, თუმცა სრულყოფილად ვერ ჭრის არაქართულენოვანი სკოლებისთვის მშობლიური ენის სახელმძღვანელოების შექმნის პრობლემატიკას.

3) პრობლემები ქართულის, როგორც მეორე ენის სახელმძღვანელოებთან მიმართებით - 2018-2019 წლებში ჩატარებული სახელმძღვანელოების გრიფირების შედეგად, შერჩეულია ერთი გამომცემლის სახელმძღვანელო I-IV კლასებისთვის. V-VII კლასებში - ქართულის, როგორც მეორე ენის სახელმძღვანელო საკონკურსოდ არ შემოსულა და მოსწავლეები მანამდე არსებული სახელმძღვანელოებით სწავლობენ. ეს ხარვეზი გარკვეულწილად გამოსწორდა

2019-2020 წელს და გრიფია მიენიჭა V-VI კლასების სახელმძღვანელოებსაც. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვანი პრეტენზიები იკვეთება პირადი კომუნიკაციისას მასწავლებლების მხრიდან I-IV კლასების სახელმძღვანელოს ხარისხთან დაკავშირებით. გრიფირების მიუხედავად, ეს სახელმძღვანელო პედაგოგთა მოსაზრებით ვერ პასუხობს ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების პრინციპებსა და ვერ ითვალისწინებს არსებულ კონტექსტსა და რეალობას.

4) I-VI კლასების სასკოლო სახელმძღვანელოების პრობლემატიკა- 2012 წლიდან I-VI კლასებში 70%-30% პრინციპით ნათარგმნი სასკოლო სახელმძღვანელოების პრობლემურობა აღიარებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან და 2015-2020 წლის სამოქმედო გეგმაში გაიწერა კონკრეტული აქტივობები ამ პრობლემური საკითხის მოგვარების თვალსაზრისით, თუმცა ნაბიჯები ამ მიმართულებით გადაიდგა დაგვიანებით. არაქართულენოვანი სკოლები განაგრძობდნენ 2015-2019 წლებში ამ პრობლემური სახელმძღვანელოებით სასწავლო პროცესის წარმართვას. ორენოვან სახელმძღვანელოებში, სადაც გაკვეთილები ნათარგმნია უმცირესობების ენებზე, გარკვეული ნაწილები (წყაროებიდან ამონარიდები) ქართულად არის მოცემული. მასწავლებელთა აზრით, მოსწავლეები და მასწავლებლები არაქართულენოვან სკოლებში არ არიან მზად ორენოვანი სახელმძღვანელოებით სწავლისა და სწავლებისთვის. უმეტესობა მასწავლებლებისა, რომლებიც ასწავლიან ისტორიას და გეოგრაფიას, ვერ ფლობენ სახელმწიფო ენას. სკოლებს არ ჰყავს ქართული ენის კვალიფიციური მასწავლებლები, რომელიც ამავდროულად აზერბაიჯანულ/სომხურ ენასაც ფლობენ იმ დონეზე, რომ სწავლების პროცესში დაეხმარონ საგნის მასწავლებელს, ამიტომ ამ სახელმძღვანელოებით სწავლების პროცესი შეფერხებებით მიმდინარეობს. იმ სკოლებში, სადაც არსებობენ „არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების“ პროგრამის ფარგლებში მივლინებული პედაგოგები ან ქართული ენის მასწავლებლები კარგად ფლობენ სახელმწიფო ენას, სირთულეები ნაკლებია, რადგან ქართულ ენაზე სახელმძღვანელოში არსებულ ნაწილებს უთარგმნიან საგნის მასწავლებლებს ან მოსწავლეებს. I-VI კლასების გრიფირებული სახელმძღვანელოები ქართულენოვან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში შევიდა 2018-2019 აკადემიურ წელს. აქვე აღსანიშნავია, რომ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ, რეიტინგით ყველაზე მაღალქულიანი დაწყებითი საფეხურის სახელმძღვანელოები თარგმნა აზერბაიჯანულ, სომხურ და რუსულ ენებზე. თუმცა, თარგმანის ავთენტურობის დადგენის პროცესში, აღმოჩნდა რიგი შეუსაბამობები, რის გამოც დაგვიანდა სახელმძღვანელოების ბეჭდვა და დისტრიბუცია არაქართულენოვან სკოლებში და ამ ფაქტმაც განაპირობა დიდი ხნით 30%-70% მოდელის სახელმძღვანელოების არაქართულენოვან სკოლებში დარიგება. ახალი გრიფირებული სახელმძღვანელოების შეტანა არაქართულენოვან სკოლებში მხოლოდ 2020-2021 აკადემიური წლისთვის გახდა შესაძლებელი.

5) ბილინგვური განათლების განხორციელება და მისი ასახვა შესაბამის დოკუმენტებში. ეროვნული სასწავლო გეგმის მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა ბილინგვური განათლების რეალიზების კონტექსტში. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 7 სექტემბრის №32/ნ ბრძანებით, ეროვნულ სასწავლო გეგმას დაემატა მუხლი 8¹. ენობრივი განათლება არაქართულენოვან

სკოლებში/სექტორებზე, რომელიც მიმართულია ეთნიკური უმცირესობების მშობლიური ენის სწავლების გაძლიერებისკენ:

„1. იმ სკოლებში, სადაც ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეები სწავლობენ, პრიორიტეტია სახელმწიფო ენაზე წიგნური მეტყველების განვითარება, რომლის ერთ-ერთი ინსტრუმენტია ორენოვანი (ბილინგვური) განათლება. ბილინგვური განათლება გულისხმობს სწავლა-სწავლების პროცესში ორი ენის გამოყენებას, რაც საფუძველს უქმნის ორენოვან წიგნიერებას.

2. სკოლამ ბილინგვური განათლების მოდელის დანერგვისას მოზარდს უნდა მისცეს შესაძლებლობა, მშობლიურ ენაზე დაეუფლოს წიგნურ მეტყველებას ასაკის შესაბამისად. ბილინგვური განათლების დანერგვის ყოველი მომდევნო ეტაპის საგანმანათლებლო შინაარსი უნდა ეფუძნებოდეს და ავითარებდეს წინა ეტაპზე შეძენილ ცოდნასა და უნარებს.

3. თუ ქართულენოვან სკოლაში/სექტორზე სწავლობენ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეები, სკოლა უფლებამოსილია მათ შესთავაზოს მშობლიური ენის საგნის სწავლება იმავე ან განსხვავებული საათობრივი დატვირთვით, ვიდრე მოცემულია არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების საათობრივ ბადაში საგნისთვის „ეროვნული უმცირესობების ენა“. ამ საგნისთვის მოსწავლეთა ჯგუფი შესაძლებელია დაკომპლექტდეს ერთი ან რამდენიმე კლასიდან და მათი რაოდენობა უნდა იყოს მინიმუმ 10. აღნიშნული საგნის შემოტანის შემთხვევაში, ეს ინფორმაცია უნდა აისახოს სასკოლო სასწავლო გეგმაში. საგანში შეფასება უნდა განხორციელდეს ამ გეგმის 31-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით დადგენილი წესის შესაბამისად.“ (მაცნე, 3285991-7)

მიუხედავად ამ ჩანაწერისა, რეალურად სასწავლო გეგმა არ იძლევა ბილინგვიზმის განვითარების გამამდიდრებელ კონტექსტში შესაძლებლობას და ამ ჩანაწერით დაგეგმილი ბილინგვური განათლების პროგრამები, განსაკუთრებით ქართულენოვან სკოლასა და სექტორებზე, ცალსახად არ უწყობს ხელს ბილინგვიზმს. საუბარი არ არის სასწავლო გეგმის ამ დებულებების პრაქტიკული რეალიზების თვალსაზრისით სამინისტროს მიერ გადადგმულ ნაბიჯებზე.

ამავე კონტექსტში საინტერესოა და პოლიტიკის არარსებობაზე მიუთითებს შეუსაბამობა განათლების კანონსა და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ქმედებებს შორის. „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის მეოთხე პუნქტის შესაბამისად საზოგადოებრივი მეცნიერებები არაქართულენოვან სკოლებში უნდა ისწავლებოდეს ქართულად. შესაბამისად III და IV კლასებში საგანი „მე და საზოგადოება“, ხოლო V-VI კლასებში „ჩვენი საქართველო“ უნდა ისწავლებოდეს მხოლოდ სახელმწიფო ენაზე. შესაბამისად, კანონი განსაზღვრავს ბილინგვური სწავლების გარკვეულ მოდელს, რომელიც გულისხმობს საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნების გამიჯნული მოდელით სწავლებას მხოლოდ სახელმწიფო ენაზე პლუს ქართულის, როგორც მეორე ენის საგნის სწავლებას. ხოლო რეალურად, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ უმცირესობათა ენებზე თარგმნა ამ საგნების სახელმძღვანელოები და ეს საგნები ისწავლება მათ მშობლიურ ენებზე. ამ კუთხით, მნიშვნელოვანია არათანმიმდევრულობა და პოლიტიკის არარსებობა ამ მიმართულებით, რაც 2015-2019 წლებში არ შეცვლილა.

სასკოლო საატესტატო გამოცდები, როგორც განათლების ხარისხის ინდიკატორი, და ღონისძიებები ხარისხის გასაუმჯობესებლად

აღნიშნული შეფასების დოკუმენტის ფარგლებში მნიშვნელოვანია განვიხილოთ რამდენად კარგად ზომავს საატესტატო გამოცდები განათლების ხარისხს. საატესტატო გამოცდები გახლავთ არსებული საგანმანათლებლო პოლიტიკის ნაწილი, რომლის საფუძველზეც მოსწავლეები იღებენ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ატესტატს, შესაბამისად, მიზანშეწონილია შეფასდეს ამ მიმართულებით არსებული ვითარება არაქართულენოვან სკოლებში.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2011 წლიდან სკოლის დამამთავრებელი სავალდებულო გამოცდები დააწესა. სასკოლო გამოსაშვები გამოცდები დაეფუძნა არსებულ სასწავლო გეგმებს. გამოცდები ტარდება შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა, ისტორია, გეოგრაფია, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, მათემატიკა და უცხო ენა.

საატესტატო გამოცდებთან მიმართებით, 2011-2014 წლებში რამდენიმე პრობლემა გამოიკვეთა:

- ჩაჭრილთა დიდი რაოდენობა, რაც იწვევდა ატესტატის გარეშე დარჩენილ კურსდამთავრებულთა დიდ რაოდენობას (40% აღწევდა);
- საგნების მიხედვით ჩაჭრის მაღალი პროცენტი განსაკუთრებით მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში და საგნების მიხედვით ჩაჭრილთა რიცხვი 9-დან 29 %-მდე მერყეობდა სხვადასხვა საგანში;
- საატესტატო გამოცდებზე ნაჩვენები დაბალი საშუალო ქულა, რომლის მიხედვითაც მოსწავლეებს არსებული სავალდებულო პირობების ფონზე კი ყველაზე მაღალი შედეგი ქართულის, როგორც მეორე ენის საგანში ჰქონდათ.

მნიშვნელოვანია, განვიხილოთ რამდენად შეიცვალა ხსენებული ვითარება 2015-2018 წლებში საატესტატო გამოცდების შედეგებიდან გამომდინარე

ატესტატის გარეშე დარჩენილი სკოლის კურსდამთავრებულები:

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მონაცემებით, 2015-2017 წლებში არაქართულენოვანი სკოლების 7271 კურსდამთავრებულმა მიიღო ატესტატი:

ცხრილი 15. სწავლების ენის მიხედვით გაცემული ატესტატი

წელი	აზერბაიჯანულენოვანი	რუსულენოვანი	სომხურენოვანი
2015	659	948	792
2016	650	926	703
2017	838	889	866
სულ	2147	2763	2361

მიუხედავად იმისა, რომ სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაცია რაოდენობრივი თვალსაზრისით შთამბეჭდავია, საინტერესოა, თუ რა პროცენტს შეადგენენ ატესტატალეული კურსდამთავრებულები საერთო რაოდენობასთან შედარებით. კონკრეტულად, შესაბამის წელს რამდენ კურსდამთავრებულს უნდა აელო ატესტატი და ეს რამდენმა პროცენტმა შეძლო. ამ თვალსაზრისით, ზუსტი სტატისტიკური ანალიზის გაკეთება 2015 და 2016 წლების მიხედვით ვერ მოხერხდა, რადგან საგნების მიხედვით განსხვავებულია გამოცდაზე გამსვლელთა რაოდენობა, თუმცა აღნიშნული სამინისტროს მონაცემით, 2017 წელს არსებული ვითარების ანალიზის გაკეთება შესაძლებელია. 2017 წელს საატესტატო გამოცდების შედეგად ატესტატი აიღო 2593-მა არაქართულენოვანი სკოლის კურსდამთავრებულმა, ხოლო გამოცდაზე გავიდა 4706 მოსწავლე, რაც ნიშნავს, რომ 2017 წელს ატესტატის გარეშე დარჩა არაქართულენოვანი სკოლების კურსდამთავრებულთა 44.9%. თუ სწავლების ენის მიხედვითაც დეტალურად გავანალიზებთ 2017 წლის მონაცემებს, აღმოჩნდება, რომ აზერბაიჯანულენოვან სკოლებში ატესტატის გარეშე დარჩა გამოცდაზე გასულ მოსწავლეთა თითქმის 60%, სომხურენოვანი სკოლების - 43% და რუსულენოვანი სკოლების გამოცდაზე გასულ მოსწავლეთა 22%.

ცხრილი 16. 2017 წელს ატესტატმიღებულ მოსწავლეთა პროცენტული მაჩვენებელი სწავლების ენის მიხედვით

სწავლების ენა	ატესტატი მიიღო	გამოცდაზე გავიდა	პროცენტული მაჩვენებელი
აზერბაიჯანული	838	2057	40.70%
სომხური	866	1512	57.30%
რუსული	889	1137	78.20%
სულ	2593	4706	55.10%

საგნების მიხედვით ჩაჭრის მაღალი პროცენტი:

2011-2014 წლების მსგავსად გამოსაშვებმა გამოცდებმა აჩვენა განსხვავებები საგნების მიხედვით ჩაჭრის მაჩვენებლებში. აღსანიშნავია, რომ ჩაჭრილთა პროცენტი საგნების მიხედვით გაზრდილია წინა წლებთან შედარებით, ხოლო ყველაზე რთულად დასაძლევია საგნების ნუსხა არ შეცვლილა და მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების დაძლევა კვლავ პრობლემად რჩება. ახალი მონაცემებით, აზერბაიჯანულენოვანთათვის პრობლემურ საგნად გამოიკვეთა უცხო ენის საგანიც და აგრეთვე ქართული, როგორც მეორე ენა. ჩაჭრილთა პროცენტული მაჩვენებელი 2011-2014 წლებთან შედარებით გაზრდილია.

ცხრილი 17. გამოცდებზე XII კლასში ჩაჭრილთა პროცენტული მაჩვენებელი (2015-18 წწ.)

საგანი	სწავლების ენა			
	აზერბაიჯანული	სომხური	რუსული	საერთო

ქიმია	10%	5.6 %	1.33%	14.00%
მათემატიკა	27.40%	25.0%	8.5%	12.00%
უცხო ენა	35.00%	5.0%	6.2%	12.50%
ქართული	19.70%	9.5%	2.7%	2.70%
ისტორია	6.40%	4.7%	1.4%	3.90%
ფიზიკა	44.00 %	40.3%	38.00%	47.20%
ბიოლოგია	23.80%	17.1%	14.6%	32.90%
გეოგრაფია	19.80%	13.2%	8.9%	16.50%
რუსული	47.44%	14.9%		

ზემოთ წარმოდგენილი ცხრილიდან თვალნათელია იმ საგნების ნუსხა, რომლებშიც განსაკუთრებით დიდი რაოდენობით არაქართულენოვანი სკოლის კურსდამთავრებული იჭრება. ყველა სკოლისთვის პრობლემურ საგანს წარმოადგენს ფიზიკა, რომელშიც ჩაჭრილთა რიცხვი მაღალია, როგორც რუსულენოვან, ისე სომხურენოვან და აზერბაიჯანულენოვან სკოლებში. სომხურ და აზერბაიჯანულენოვანი სკოლებისთვის დამატებით მათემატიკა გახლავთ კიდევ ერთი საგანი, რომელშიც სკოლის XII კლასის მოსწავლეები ხშირად იჭრებიან. აზერბაიჯანულენოვანთათვის კიდევ ერთი დაუძლეველი საგანია უცხო ენა, როგორც გერმანულისა და ინგლისურის, ისე რუსულის სახით. უცხო ენის საგანთა ჯგუფში საკმაოდ დიდი რაოდენობა სტუდენტებისა იჭრება აზერბაიჯანულენოვანი სკოლებიდან. ანალოგიური ვითარება არ არის სომხურენოვან სკოლებში, თუმცა აქ იკვეთება ერთი მნიშვნელოვანი დეტალი. სომხურენოვანი სკოლების XII კლასელთა უმრავლესობა უცხო ენად აბარებს რუსულს (99.8%) და არა ინგლისურს, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით პირველი უცხო ენაა. რუსული ენის არჩევანი, სავარაუდოდ გამოწვეულია ამ ენის ძლიერ ენად მიჩნევით სომხურენოვანი სკოლების კურსდამთავრებულთა მიერ, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისური ენა პირველი კლასიდან, ხოლო რუსული მხოლოდ V კლასიდან ისწავლება. ეს მიგნება მნიშვნელოვანია ენობრივი საგანმანათლებლო პოლიტიკის წარმოების თვალსაზრისით.

XI კლასის საატესტატო გამოცდებში ჩაჭრილთა თვალსაზრისითაც საკმაოდ სავალალო ვითარება იკვეთება განსაკუთრებით ფიზიკის საგანთან დაკავშირებით, თუმცა ბიოლოგიისა და ქიმიის საგნებშიც არ ჩანს სახარბიელო შედეგები.

ცხრილი 18. გამოცდებზე- XI კლასში ჩაჭრილთა პროცენტული რაოდენობა (2015-2018 წწ.)

საგანი	სწავლების ენა			
	აზერბაიჯანული	სომხური	რუსული	საერთო საქართველო

გეოგრაფია	9.30%	4.50%	1.20%	1.80%
ფიზიკა	30.40%	25.20%	12.60%	10.50%
ბიოლოგია	12%	9.50%	2.55%	4.40%

თუ XI და XII კლასების საქართველოს საერთო მაჩვენებელს შევადარებთ, აშკარად დაბალი შედეგები იკვეთება ფიზიკის, მათემატიკისა და უცხო ენის მიმართულებით. განსხვავება სხვა საგნებშიც თვალსაჩინოა, თუმცა შედარებით დაბალია. შედეგების ანალიზი შესაძლებლობას იძლევა დაიგეგმოს შესაბამისი გადაწყვეტილებები კონკრეტული საგნობრივი მიმართულებების გასაუმჯობესებლად.

საგნების მიხედვით საატესტატო გამოცდების საშუალო შედეგები ძალიან დაბალია. ქართულ ენაში, არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეებს, სხვა საგნებთან შედარებით უფრო მაღალი შედეგები აქვთ და ეს იმ ფონზე, რომ არაქართულენოვან სკოლებში ერთ-ერთი მთავარი პრობლემა სწორედ სახელმწიფო ენის სწავლება და მისი ცოდნაა. ფიზიკა არის საგანი, რომელშიც ყველაზე დაბალი ქულა ფიქსირდება სომხურენოვანი, აზერბაიჯანულენოვანი და რუსულენოვანი სკოლების კურსდამთავრებულებში როგორც XI, ისე XII კლასის გამოცდებზე.

ცხრილი 19. XII კლასელთა საშუალო ქულა საგნების მიხედვით (2015-2017 წწ.)

საგანი	სწავლების ენა		
	აზერბაიჯანული	სომხური	რუსული
ქიმია	6.79000	7.09000	7.91000
მათემატიკა	6.26000	6.37000	7.31000
უცხო ენა	5.72000	6.74000	6.72000
ქართული	6.84000	7.42000	9.03000
ისტორია	6.72000	6.90000	7.57000
ფიზიკა	5.68000	5.79000	5.87000
ბიოლოგია	6.01000	6.23000	6.45000
გეოგრაფია	6.25000	6.71000	7.19000
რუსული	5.92	6.65	

ცხრილი 20. XI კლასელთა საშუალო ქულა საგნების მიხედვით (2015-2017 წწ.)

საგანი	სწავლების ენა		
	აზერბაიჯანული	სომხური	რუსული

გეოგრაფია	6.82	7.26	7.88
ფიზიკა	6.01	6.1	6.54
ბიოლოგია	6.78	6.66	7.28

XI და XII კლასელთა საატესტატო გამოცდების შედეგები აჩვენებს, რომ სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი სკოლების კურსდამთავრებულთა შედეგი საქართველოს საერთო მაჩვენებელთან და რუსულენოვანი სკოლების მაჩვენებლებთან შედარებით დაბალია.

საატესტატო გამოცდების შედეგები გვამღევეს არსებული პრობლემების წარმოჩინებისა და ანალიზის საფუძველს. 2018 წელს მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად საატესტატო გამოცდები გაუქმდა საქართველოში და შეფასება გადავიდა სასკოლო დონეზე. შესაბამისად, საანგარიშო პერიოდის ბოლო ორი წლის კონტექსტში ანალიზის შესაძლებლობა აღარ არის ამ თვალსაზრისით, თუმცა 2015-2018 წლებში არსებული მდგომარეობის ანალიზიც გვამღევეს საშუალებას დავასკვნათ, რომ არაქართულენოვან სკოლებში განათლების ხარისხის თვალსაზრისით სერიოზული პრობლემებია და ზოგადად ხარისხის გაუმჯობესების კონტექსტში არაქართულენოვანი სკოლების რეფორმირების თვალსაზრისით კონკრეტული ღონისძიებები არ გატარებულა განათლების, კულტურის, მეცნიერებისა და სპორტის სამინისტროს მხრიდან.

ზემოაღნიშნული ამოცანის შესრულებასთან დაკავშირებით დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ზოგადი სტატისტიკის ანალიზიდან იკვეთება, რომ საქართველოს მთავრობა განუხრელად ასრულებს მშობლიურ ენაზე განათლების მიცემის შესაძლებლობის უფლების უზრუნველყოფას სომხურენოვანი, აზერბაიჯანულენოვანი და რუსულენოვანი მოსწავლეებისთვის. მიუხედავად ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით არსებული დადებითი ტენდენციებისა, მნიშვნელოვანია განვიხილოთ ის მიმართულებები, რომლებიც უზრუნველყოფს არა მხოლოდ განათლებაზე, არამედ ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობას, რაც დაკავშირებულია შესაბამის სასწავლო გეგმებთან და სახელმძღვანელოებთან, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასთან და მასწავლებელთა მომზადების საკითხებთან, საატესტატო გამოცდებში მოსწავლეთა შედეგებთან, ენობრივ საგანმანათლებლო პოლიტიკასთან და სხვა საკითხებთან, რომელთა განხორციელების გარეშე ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესება, მათ შორის ზოგადი განათლების საფეხურზე შეუძლებელია. ამ თვალსაზრისით კი, მიუხედავად სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში გაწერილი მნიშვნელოვანი რეფორმებისა, ღირებული ცვლილებები ამ ამოცანის შესასრულებლად განათლების, კულტურის, მეცნიერებისა და სპორტის სამინისტროს მხრიდან არ გადადგმულა.

ამოცანა 3.2.2 არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა

საქართველოს სტატისტიკის სამსახურისა და განათლების მართვის საინფორმაციო ცენტრის მონაცემების მიხედვით, 2019-2020 აკადემიური წლისთვის 63780 მასწავლებელია, მათ შორის,

საქართველოში საჯარო სკოლებში პედაგოგთა საერთო რაოდენობა 55946 შეადგენდა, რომელთაგან 6715 (6599 საჯარო და 116 კერძო სკოლებში) საქართველოს სომხურენოვან, აზერბაიჯანულენოვან და რუსულენოვან სკოლებშია დასაქმებული. არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის სერიოზულ სეგმენტს წარმოადგენენ და მნიშვნელოვანია ამ სეგმენტთან დაკავშირებით მასწავლებელთა მომზადებისა და პროფესიული განვითარების პოლიტიკის გატარება.

საინტერესოა არაქართულენოვანი სკოლის მასწავლებელთა გადანაწილება სწავლების ენის მიხედვით. არაქართულენოვანი სკოლის მასწავლებელთა საერთო რაოდენობის 43.4%-ს აზერბაიჯანულენოვანი სკოლის მასწავლებლები შეადგენენ, 39.7%-ს -სომხურენოვანი და 16.9 %-ს - რუსულენოვანი სკოლის მასწავლებლები. თუ ამ მონაცემებს მოსწავლეთა პროპორციას შევადარებთ, ნათელი ხდება, რომ მოსწავლის რაოდენობასთან შედარებით რუსულენოვან სკოლებში მასწავლებელთა მცირე რაოდენობაა დასაქმებული, ხოლო სომხურენოვანი სკოლის მასწავლებელთა პროპორცია მაღალია მოსწავლეთა პროპორციასთან შედარებით. აქედან გამომდინარე, მოსწავლისა და მასწავლებლის თანაფარდობა განსხვავებულია სწავლების ენის მიხედვით, რაც სავარაუდოდ გამოწვეულია სკოლების განლაგებით. შესაბამისად, რუსული სკოლების უმრავლესობა საქალაქო დასახლებებშია, სადაც მოსწავლისა და მასწავლებლის შეფარდება მაღალია, ხოლო სომხურენოვანი სკოლები განლაგებულია ძირითადად სოფლებსა და მაღალმთიან რეგიონებში, სადაც მოსწავლე-მასწავლებლის შეფარდება დაბალია. სწორედ ეს იწვევს, სავარაუდოდ, ასეთ დისპროპორციას მოსწავლეთა და მასწავლებელთა შეფარდებებს შორის სწავლების ენის მიხედვით. ქვემოთ გთავაზობთ ცხრილს, რომელშიც დეტალურადაა წარმოდგენილი მასწავლებელთა რაოდენობა სწავლების ენის მიხედვით.

ცხრილი 16. მასწავლებელთა რაოდენობა სწავლების ენის მიხედვით

აზერბაიჯანულენოვანი		2914	43.40%
სომხურენოვანი		2668	39.70%
რუსულენოვანი		1133	16.90%
სულ:		6715	100.00%

რაც შეეხება მასწავლებელთა სქესობრივ გადანაწილებას, მე-17 ცხრილიდან ჩანს, რომ არაქართულენოვან სკოლებში მასწავლებელთა საერთო რაოდენობის მხოლოდ 19.10%-ს მამაკაცები შეადგენენ, ხოლო ქალების წილი 80.9%. მიუხედავად ერთი შეხედვით მამაკაცების ნაკლები წილისა, თუ საქართველოს მასშტაბით არსებულ საერთო რაოდენობას შევადარებთ ეს წილი საკმაოდ მაღალია, რამეთუ საქართველოს საჯარო სკოლებში, მამაკაცთა ხვედრითი წილი მხოლოდ 13.3%-ს შეადგენს.⁷¹ კიდევ უფრო საინტერესო სურათი წარმოჩინდება თუ არაქართულენოვანი სკოლის მასწავლებელთა სქესობრივ შემადგენლობას სწავლების ენის მიხედვით ჩავშლით. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით თვალსაჩინოა აზერბაიჯანულენოვან სკოლებში მამაკაცთა ხვედრითი წილი, რომელიც აზერბაიჯანულენოვან სკოლებში მასწავლებელთა საერთო რაოდენობის 27.5%-ს შეადგენს, სომხურენოვან სკოლებში - 14.3%-ს, ხოლო რუსულენოვან სკოლებში - მხოლოდ 8.8%-ს.

⁷¹ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020

მამაკაცთა ხვედრითი მაღალი წილი მნიშვნელოვანი რესურსი შეიძლება იყოს ამ სკოლებში განათლების რეფორმის განსახორციელებლად.

ცხრილი 17. მასწავლებელთა რაოდენობა და პროპორცია სქესის მიხედვით

სწავლების ენა	რაოდენობა	კაცი	ქალი
აზერბაიჯანული	2914	27.50%	72.50%
რუსული	1133	8.80%	91.20%
სომხური	2668	14.30%	85.70%
სულ:	6715	19.10%	80.90%

2020 წლის გაზაფხულის სემესტრის მონაცემებით საქართველოში არაქართულენოვანი სკოლების ძირითადი ნაწილი განთავსებულია ეთნიკური უმცირესობების კომპაქტური განსახლების რეგიონებში – ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთსა და კახეთში. ამ სამი რეგიონის არაქართულენოვან სკოლებში მთლიანობაში 5956 მასწავლებელია დასაქმებული. 759 მასწავლებელი კი თბილისში, სხვა ქალაქებსა და რაიონებშია დასაქმებული. რეგიონების მიხედვით მასწავლებელთა გადანაწილება შემდეგნაირად გამოიყურება:

ცხრილი 18. არაქართულენოვანი სკოლის მასწავლებლები რეგიონების მიხედვით

რეგიონი	რაოდენობა
ქვემო ქართლი	3308
სამცხე-ჯავახეთი	2317
კახეთი	331
სულ	5956

საინტერესოა არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა ასაკობრივი სტრუქტურაც. ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი დეტალურ ინფორმაციას იძლევა არაქართულენოვანი სკოლების ასაკობრივი სტრუქტურის შესახებ სწავლების ენის მიხედვით.

ცხრილი 19. არაქართულენოვანი სკოლის მასწავლებლები ასაკის მიხედვით

ასაკი	საერთო					სულ
	20-29	30-39	40-49	50-59	>=60	
რაოდენობა	577	1519	1462	1677	1480	6715
% პროპორცია	8.60%	22.60%	21.80%	25%	22%	100%
აზერბაიჯანული						
რაოდენობა	252	571	538	681	872	2914
% პროპორცია	8.60%	19.60%	18.50%	23.40%	30%	100%
სომხური						
რაოდენობა	292	792	630	631	323	2668
% პროპორცია	10.90%	29.70%	23.60%	23.70%	12.10%	100%
რუსული						
რაოდენობა	33	156	294	365	285	1133

% პროპორცია	3.00%	13.70%	26.00%	32.20%	25.10%	100%
-------------	-------	--------	--------	--------	--------	------

ცხრილის მიხედვით თვალსაჩინოა, რომ აზერბაიჯანულენოვან და რუსულენოვან სკოლებში საპენსიო ასაკს მიღწეულ მასწავლებელთა წილი მაღალია. აზერბაიჯანულენოვან სკოლებში ეს წილი მასწავლებელთა საერთო რაოდენობის 30%-ს შეადგენს, ხოლო რუსულენოვან სკოლებში- 15.10 %-ს (ეს იმ ფონზე, როცა „საპენსიო ბონუსის“ რეფორმის ფარგლებში საპენსიო ასაკის მასწავლებელთა დიდმა ნაწილმა დატოვეს სკოლები). თუ 50 წელს ზევით მასწავლებელთა რაოდენობასაც გავანალიზებთ, ამ თვალსაზრისით, არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა 47.0% სწორედ 50 წელს ზევითაა (აზერბაიჯანულენოვან სკოლებში 53.4%). რაოდენობრივად კი ეს მაჩვენებელი 3157 მასწავლებელს შეადგენს, რომელთა ჩანაცვლება უახლოესი წლების განმავლობაში უნდა განხორციელდეს. ეს სტატისტიკური მონაცემი ნათელი მინიშნებაა იმისა, თუ რა უნდა გაკეთდეს სახელმწიფოს მიერ არაქართულენოვანი სკოლებისთვის მასწავლებელთა პროფესიაში ახალგაზრდა კადრების მოსაზიდად, რათა მომდევნო წლებში ახალი კადრი შევიდეს პროფესიაში.

2015-2020 წლებში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ ორი მნიშვნელოვანი რეფორმა განახორციელა:

- მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის სქემა;
- საპენსიო ასაკის მასწავლებელთა საპენსიო ბონუსით უზრუნველყოფა და სისტემაში ახალგაზრდა კადრების შესვლის შესაძლებლობის გაჩენა.

ორივე ამ რეფორმის შედეგებს განვიხილავთ არაქართულენოვანი სკოლების კონტექსტში.

2015 წელს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა შეიმუშავა და დაამტკიცა „ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის მხარდაჭერის პროგრამა“, რომლის ძირითადი მიზანი იყო არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთათვის „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემისა“ და მასთან დაკავშირებული დოკუმენტების მშობლიურ ენაზე ხელმისაწვდომობა და პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება. გარდა ამისა, პროგრამა მიზნად ისახავს ადგილობრივი საგნობრივი ტრენერების მომზადებას, რომლებიც სამომავლოდ რეგიონებში მნიშვნელოვანი დასაყრდენები იქნებიან.

2015 წელს პროგრამის ბენეფიციარი იყო საქართველოს არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა 7500-მდე მოქმედი მასწავლებელი: აზერბაიჯანულენოვანი – 3301, სომხურენოვანი – 2933, რუსულენოვანი – 1208.

პროგრამის ფარგლებში:

- ითარგმნა და დაიბეჭდა „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა“ (დოკუმენტების კრებული) აზერბაიჯანულ, რუსულ და სომხურ ენებზე;
- ითარგმნა და დაიბეჭდა „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“ გზამკვლევის პირველი ნაწილი აზერბაიჯანულ, რუსულ და სომხურ ენებზე;

- ითარგმნა მასწავლებლის თვითშეფასების კითხვარი აზერბაიჯანულ, რუსულ და სომხურ ენებზე;
- ითარგმნა ქართული ენის ცოდნის თვითშეფასების ტაბულა.

ასევე, შემუშავდა, დამტკიცდა და ითარგმნა საგნობრივი ტრენინგ-მოდულები და საკითხავი მასალა:

- არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლებისათვის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავდა და დამტკიცდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნობრივი ტრენინგ-პროგრამები და სათანადო სატრენინგო მასალა, რომელიც სატენდერო პროცედურების გავლით ითარგმნება აზერბაიჯანულ, რუსულ და სომხურ ენებზე.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე www.tpdg.ge ხელმისაწვდომია:

- ✓ „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა- აზერბაიჯანული, რუსული და სომხური ვერსიები;
- ✓ „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“ გზამკვლევის I ნაწილი – აზერბაიჯანული, რუსული და სომხური ვერსიები;
- ✓ მასწავლებლის თვითშეფასების კითხვარი – აზერბაიჯანული, რუსული და სომხური ვერსიები.

2016 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ განახორციელა პროგრამები „მულტიკულტურული საზაფხულო სკოლა მასწავლებლებისთვის“ და „მულტიკულტურული საზაფხულო სკოლა მოსწავლეებისთვის“. პროგრამაში „მულტიკულტურული საზაფხულო სკოლა მასწავლებლებისთვის“ მონაწილეობა მიიღო საქართველოს რეგიონების (კახეთი, ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი) არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების 30-მა და მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლების 20-მა მასწავლებელმა. პედაგოგებისათვის განხორციელდა 12-დღიანი საზაფხულო სკოლა ბაკურიანში, რომელიც მოიცავდა, როგორც კულტურათაშორის დიალოგის ხელშემწყობ ტრენინგებს/ინტერაქტიულ პროგრამებს, ისე არააკადემიურ პროგრამებსაც.

2016 წელს პროგრამა „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ და „ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის მხარდაჭერის პროგრამა“ გაერთიანდა სახელწოდებით „არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების პროგრამა“. პროგრამის მიზანია არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების მასწავლებლების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა და სწავლა/სწავლების ხარისხის გაუმჯობესება სახელმწიფო ენის სწავლების გაძლიერების გზით. გარდა ამისა, პროგრამა ორიენტირებულია (2016-2019 წწ.) არაქართულენოვანი სკოლების ადგილობრივი მასწავლებლების, როგორც საგნობრივი გამოცდებისთვის მომზადებაზე, ისე მათთვის სახელმწიფო ენის შესწავლაზე. პროგრამის ფარგლებში შემდეგი აქტივობები განხორციელდა:

- „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“ შესახებ ინფორმაცია მიეწოდათ სკოლის ადმინისტრაციასა და ფასილიტატორებს;
- სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2016 წლის 23 სექტემბრის №217 ბრძანების შესაბამისად დამტკიცდა მასწავლებლის თვითშეფასების ახალი კითხვარი. კითხვარი ითარგმნა აზერბაიჯანულ, რუსულ და სომხურ ენებზე და განთავსდა სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე. კითხვარის ელექტრონული ხელმისაწვდომობის შესახებ ინფორმაცია გავრცელდა ბეჭდვითი და ელექტრონული მედიის მეშვეობით.
- სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული ტრენინგპროგრამები და მასთან დაკავშირებული სხვა სატრენინგო მასალა სრულად ითარგმნა აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე;
- გამოცხადდა აზერბაიჯანულენოვანი, რუსულენოვანი და სომხურენოვანი ტრენინგების კონკურსი. აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობა მიიღო 320 კონკურსანტმა, რომელთაგან საბოლოოდ შეირჩა 25 ტრენინგი;
- გადამზადდნენ არაქართულენოვანი სკოლების აზერბაიჯანულენოვანი მასწავლებლები შემდეგ საგნებში: ფიზიკა, ისტორია, მათემატიკა; სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის არაქართულენოვან 179 სკოლაში 2015-2016 სასწავლო წლის განმავლობაში გაიგზავნა 105 ქართულის, როგორც მეორე ენის კონსულტანტ-მასწავლებელი, ქართულის, ისტორიისა და გეოგრაფიის 135 დამხმარე მასწავლებელი და ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ნებისმიერი საგნის 14 ორენოვანი მასწავლებელი;
- პროგრამის ფარგლებში მივლენილი მასწავლებლები ადგილობრივ კოლეგებს დახმარებას უწევდნენ საგაკვეთილო პროცესის წარმართვაში (სამცხე-ჯავახეთის რეგიონში - 30 კონსულტანტ-მასწავლებელი, 42 ქართულენოვანი დამხმარე მასწავლებელი, 5 ორენოვანი დამხმარე მასწავლებელი; ქვემო ქართლის რეგიონში - 70 კონსულტანტ-მასწავლებელი, 82 ქართულენოვანი დამხმარე მასწავლებელი, 9 ორენოვანი დამხმარე მასწავლებელი).

2017-2018 წლებში აღნიშნული მიმართულებით საქმიანობა იმავე პროგრამებს მოიცავდა, ამ პროცესში დამატებით აქტიურად ჩაერთო ათასწლეულის გამოწვევის ფონდის - საქართველოს მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტი, რომლის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- გაიმართა ლიდერობის აკადემია 1 და 2, რომლის ფარგლებშიც აზერბაიჯანულ, რუსულ და სომხურ ენებზე ითარგმნა ლიდერობის აკადემია 1-ის 3 მოდული (ჯამში 40 საკონტაქტო საათი) და ლიდერობის აკადემია 2-ის ხუთი მოდული (ჯამში 64 საკონტაქტო საათი) თანმხლები სატრენინგო მასალით;
- საჯარო სკოლების არაქართულენოვანი დირექტორებისა და ფასილიტატორებისთვის ჩატარდა ტრენინგები ლიდერობის აკადემია 1-ის სამ მოდულში (100-სომხურენოვანი; 58 აზერბაიჯანულენოვანი და 9 რუსულენოვანი); ჩატარდა ტრენინგები აზერბაიჯანულენოვანი და რუსულენოვანი საჯარო სკოლის დირექტორებისა და ფასილიტატორებისათვის (მოწვეული 81 მონაწილე);

- აზერბაიჯანულ, რუსულ და სომხურ ენებზე ითარგმნა ზოგადპროფესიული უნარების სამი მოდული ყველა თანმხლები სატრენინგო მასალებით: კერძოდ: „მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს მახასიათებლები“; „მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო სწავლებისა და შეფასების სტრატეგიები“ და „სასწავლო პროცესის პოზიტიური მართვა და მზაობა პროფესიული განვითარებისთვის“;
- არაქართულენოვანი სკოლების ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის, მათემატიკის, გეოგრაფიის, ინგლისური ენის მასწავლებლებისთვის ჩატარდა ტრენინგები ზოგადპროფესიული უნარების კურსის პირველი მოდულის მიხედვით. ტრენინგებზე მოწვეული იყო სულ 2091 მასწავლებელი, რომელთაგან 1547 (74%) გამოცხადდა.

2019-2020 წლებშიც საქმიანობა იგივე მიმართულებებით გაგრძელდა.

საგნის გამოცდაზე საგნობრივი და პროფესიული უნარების დასადასტურებლად მშობლიურ ენაზე ჩაბარების შესაძლებლობა გაჩნდა 2017 წლის 14 მარტს მიღებული განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 46/ნ ბრძანების შესაბამისად „საგნის გამოცდის ჩატარების, საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დადასტურების წესის დამტკიცების შესახებ“, ასევე 2019 წლის 13 სექტემბრის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 193/ნ ბრძანებით, რომლის მესამე მუხლის მეორე პუნქტით განსაზღვრა: „ტესტირება მათემატიკაში, საზოგადოებრივ მეცნიერებებში, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, ესთეტიკური აღზრდის საგნებში, სპორტსა და ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში ასევე ტარდება რუსულ, სომხურ ან აზერბაიჯანულ ენებზე მხოლოდ იმ აპლიკანტებისთვის, რომლებიც ასწავლიან/რომლებსაც სურთ ასწავლონ შესაბამის არაქართულენოვან სკოლებში/სექტორებში“. ამ ნაბიჯებმა მკვეთრად გაზარდა არაქართულენოვანი სკოლების გამოცდებზე დარეგისტრირებულთა რაოდენობა 2017-2019 წლებში. ქვემოთ წარმოდგენილია ცხრილი, რომელიც ნათლად ასახავს აღნიშნულ ტენდენციას.

ცხრილი 20. საგნის გამოცდაზე დარეგისტრირებულთა რაოდენობა 2017-2019 წლებში გამოცდის ენის მიხედვით

წელი	აზერბაიჯანულენოვანი	სომხურენოვანი	რუსულენოვანი
2017	387	369	177
2018	494	561	147
2019 ზაფხული	880	984	262
2019 შემოდგომა	672	753	140

აღნიშნული შესაძლებლობა მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო, რადგან არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლებს მიეცათ შესაძლებლობა პროფესიული და კარიერული წინსვლისთვის, რითაც გარკვეულმა ნაწილმა ისარგებლა და დაწინაურდა პროფესიული განვითარების სქემაში.

2019 წელს სსიპ მასწავლებელთა პროფესიული გადამზადების ცენტრმა განახორციელა არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის პროგრამა, რომლის მიზანია, სახელმწიფო ენის გაძლიერების გზით, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და სწავლების პროცესის ხელშეწყობა და სკოლის ბაზაზე არაფორმალური სწავლების პრაქტიკის გაუმჯობესება. პროგრამის ფარგლებში 2019 წლის განმავლობაში, სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის 175 არაქართულენოვან საჯარო სკოლაში, საკადრო დეფიციტის შევსების მიზნით, 2018-2019 სასწავლო წელს მივლენილი იყო 285 მასწავლებელი (121 კონსულტანტ-მასწავლებელი, 85 დამხმარე მასწავლებელი და 77 ორენოვანი დამხმარე მასწავლებელი ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სხვადასხვა საგნობრივი მიმართულებით). 2019-2020 სასწავლო წელს პროგრამის მონაწილეების რაოდენობა შეიცვალა: 169 სკოლაში წარმოდგენილია 121 კონსულტანტ-მასწავლებელი, 75 დამხმარე მასწავლებელი და 69 ორენოვანი დამხმარე მასწავლებელი.

„არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში 2019 წლის მარტი-ივლისში სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონების არაქართულენოვანი სკოლების ადგილობრივი მასწავლებლების პირველ ნაკადს ჩაუტარდა სახელმწიფო ენის შემსწავლელი კურსი, რომელშიც ჩართული იყო 306 მსმენელი (A1 დონე-150; A2 დონე-89; A2+ დონე - 46; B1 დონე - 21). 2019 წლის ოქტომბრის თვეში სახელმწიფო ენის შემსწავლელი კურსი დაიწყო მასწავლებლების მეორე ნაკადისთვის. ამ ეტაპზე სახელმწიფო ენის შესწავლელ კურსში ჩაერთო 349 მსმენელი. პროგრამის ფარგლებში შემუშავდა ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების გრძელვადიანი კურსის სამი ტრენინგმოდული (კითხვის მიმართულება, მოსმენა-ლაპარაკის მიმართულება, წერის მიმართულება) აღნიშნული ტრენინგმოდულები ჩაუტარდა არაქართულენოვანი სკოლების ადგილობრივი ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლებს. პირველი მოდული - კითხვის მიმართულება გაიარა სამიზნე სკოლების 303 მასწავლებელმა. მეორე მოდული - მოსმენა-ლაპარაკის მიმართულება გაიარა 216 მსმენელმა, მესამე მოდული - წერის მიმართულება მოისმინა 270 პედაგოგმა. პროგრამის ფარგლებში შემუშავდა ქართულის, როგორც მეორე ენის საგნობრივი კომპეტენციის დადასტურებისთვის მოსამზადებელი ტრენინგმოდული, რომელიც 2019 წლის ოქტომბერში ჩაუტარდა სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის არაქართულენოვანი სკოლების ქართულის, როგორც მეორე ენის 206 ადგილობრივ მასწავლებელს.

როგორც წარმოდგენილი აქტივობებიდან ჩანს, ინტერვენციები ოთხი მიმართულებით განხორციელდა:

- მშობლიურ ენაზე საგნობრივი გამოცდების ჩაბარების შესაძლებლობა კარიერულ სქემაში დაწინაურებისთვის;
- პროფესიული ტრენინგპროგრამები, რომლებიც ფოკუსირებული იყო არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლებზე, რაც წინა წლებში არ ხორციელდებოდა;
- სახელმწიფო ენის შემსწავლელი კურსები არაქართულენოვანი სკოლის მასწავლებელთათვის;
- მასწავლებელთა მივლინება საკადრო დეფიციტის პრობლემების საპასუხოდ.

აღნიშნულ ინტერვენციებს ღონისძიებებს ჰქონდა გარკვეული პოზიტიური მყისიერი შედეგი ზოგიერთ შემთხვევაში, თუმცა გრძელვადიანი, რეფორმაზე ორიენტირებული ნაბიჯები არ

გადადგმულა და მასწავლებელთა კვალიფიკაციის, პროფესიული განვითარების თუ მასწავლებელთა განათლების მიმართულებით კვლავ სერიოზული პრობლემები რჩება, რაც ხელს უშლის საინტეგრაციო პოლიტიკის განხორციელებასა თუ არაქართულენოვანი სკოლების რეფორმირებას.

2020 წლის ივლისის მონაცემებით, არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა 62.7% პრაქტიკოსი მასწავლებლის კატეგორიაშია კვლავ, მიუხედავად იმისა, რომ ეს კატეგორია მიღევად რეჟიმშია და მომავალი წლიდან ამ კატეგორიის მასწავლებელთა სისტემაში ყოფნა აღარ იგეგმება. 24.5% უფროსი კატეგორიის მასწავლებლებია, 11.7% მამიებლის სტატუსის ან სტატუსი არ მქონე მასწავლებლებია და მხოლოდ 1% წამყვანი მასწავლებლის კატეგორიაშია. არაქართულენოვან სკოლებში მენტორის სტატუსი მხოლოდ 7 მასწავლებელს აქვს, რაც არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა საერთო რაოდენობის 0.1%-ს შეადგენს.

ამ სტატისტიკური მონაცემებით თვალსაჩინოა, რომ მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის თვალსაზრისით არაქართულენოვან სკოლებში სერიოზული პრობლემებია, თუმცა სამოქმედო გეგმის განხორციელების კონტექსტში საინტერესოა ამ მიმართულებით, როგორ შეიცვალა ვითარება 2015 წლიდან 2020 წლამდე პერიოდში. ცხრილში წარმოდგენილია 2015 წლიდან 2020 წლამდე განხორციელებული ცვლილებების შედეგი.

ცხრილი 21. მასწავლებელთა სტატუსის ცვლილება არაქართულენოვან სკოლებში

	პრაქტიკოსი	უფროსი	წამყვანი	მენტორი	მამიებელი და/ან სტატუსის გარეშე	სულ
2015	7559	437	6	0	52	8054
2020	4212	1645	68	7	783	6715
ცვლილება	-3347	1208	62	7	731	- 1339

ცხრილიდან თვალნათელია რამდენიმე ტენდენცია:

- არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა რაოდენობამ იკლო, ძირითადად პრაქტიკოსი მასწავლებლები გავიდნენ სისტემიდან საპენსიო ჯილდოს პროგრამის წყალობით და არაქართულენოვანი სკოლებში მასწავლებელთა რაოდენობა 1339 მასწავლებლით შემცირდა;
- სისტემაში იმატა სტატუსის არმქონე ან მამიებელი მასწავლებლების რაოდენობამ და ეს მაჩვენებელი 731-ით გაიზარდა, რაც გამოწვეული იყო არსებული საკადრო დეფიციტის აღმოფხვრის მცდელობით. ეს მაჩვენებელი ნათლად მეტყველებს, რომ სისტემაში შემავალი ახალი საკადრო რესურსის სერიოზული დეფიციტია არაქართულენოვანი სკოლებისთვის;
- მენტორი და წამყვანი კატეგორიის მასწავლებლები ძალიან მცირედ არიან წარმოდგენილი არაქართულენოვან სკოლებში;

- ზემოთ განხილულმა ღონისძიებებმა, რომლებმაც საქართველოს განათლების, კულტურის, მეცნიერებისა და სპორტის სამინისტროს სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა და სსიპ გამოცდებისა და შეფასების ეროვნულმა ცენტრმა განახორციელეს ხელი შეუწყო პრაქტიკოსი მასწავლებლების დაწინაურებას და უფროსი მასწავლებლის კატეგორიაში გადასვლას. 2015 წელთან შედარებით 2020 წელს უფროსი მასწავლებლის კატეგორიაში მყოფი მასწავლებლების რაოდენობა 1208-ით გაიზარდა.

თუკი იმავე მიმართულებით არსებულ ვითარებას ცალ-ცალკე სწავლების ენის მიხედვით განვიხილავთ ნათელია, რომ სტატუსის ცვლილება პრობლემურია როგორც აზერბაიჯანულენოვანი, ისე სომხურენოვანი და რუსულენოვანი სკოლებისთვის, თუმცა აზერბაიჯანულენოვან და სომხურენოვან სკოლებში, განსაკუთრებით კომპაქტური განსახლების მუნიციპალიტეტებში ეს საკითხი უფრო აქტუალურია.

ცხრილი 22. 2015-2020 წლებში მასწავლებელთა სტატუსის ცვლილება სწავლების ენის მიხედვით

აზერბაიჯანულენოვანი							
	პრაქტიკოსი	უფროსი	წამყვანი	მენტორი	სტატუსის გარეშე და/ან მაძიებელი	სულ	
2015	3333	117	3	0	13	3466	
2020	2005	484	20	3	402	2914	
სომხურენოვანი							
	პრაქტიკოსი	უფროსი	წამყვანი	მენტორი	სტატუსის გარეშე და/ან მაძიებელი	სულ	
2015	2903	65	0	0	22	2990	
2020	1812	546	22	1	287	2668	
რუსულენოვანი							
	პრაქტიკოსი	უფროსი	წამყვანი	მენტორი	სტატუსის გარეშე და/ან მაძიებელი	სულ	
2015	1323	255	3	0	17	1598	
2020	395	615	26	3	94	1133	

ამავე კონტექსტში საინტერესოა მუნიციპალიტეტების მიხედვით მასწავლებელთა კატეგორიებად გადანაწილება. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში დეტალურადაა წარმოდგენილი არაქართულენოვან სკოლებში მასწავლებელთა სტატუსების შესაბამისად გადანაწილება.

ცხრილის მიხედვით თვალნათელია, რომ სტატუსის არმქონე და პრაქტიკოსი მასწავლებლების რაოდენობა 80%-ზე მეტია თითქმის ყველა კომპაქტური განსახლების ადგილას. ამ თვალსაზრისით, შედარებით უკეთესი ვითარებაა ახალციხის მუნიციპალიტეტში.

ცხრილი 23. რაიონების მიხედვით მასწავლებელთა კატეგორიებად გადანაწილება კომპაქტურ განსახლებებში

	სულ	პრაქტიკოსი	უფროსი	წამყვანი	მენტორი	მამ/უსტატუსო
ახალქალაქი	1140	76.50%	13.80%	0.80%	0	8.90%
ახალციხე	295	49.10%	40%	1%	0	10%
ბოლნისი	488	66.40%	17.60%	1.20%	0	14.80%
დმანისი	302	60.30%	18.50%	0.30%	0	20.90%
მარნეული	1824	69.80%	15.60%	0.80%	0.30%	13.50%
ნინოწმინდა	822	69.60%	19.30%	0.30%	0	10.80%
წალკა	232	53%	25.90%	1.30%	0	19.80%

არაკომპაქტური განსახლების ადგილებში, როგორცაა ქალაქები თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ბათუმი, ზუგდიდი მასწავლებელთა სტატუსების შესაბამისად უკეთესი ვითარებაა უფროსი მასწავლებლების ხვედრითი წილის თვალსაზრისით. ქვემოთ, ცხრილში დეტალურადაა წარმოდგენილი ინფორმაცია თბილისის, რუსთავის, ბათუმის, ქუთაისის, ზუგდიდის ტერიტორიულ ერთეულებში არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა სტატუსების შესახებ:

ცხრილი 24. არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა სტატუსი საქალაქო დასახლებებში

ქალაქი	სულ	პრაქტიკოსი	უფროსი	წამყვანი	მენტორი	უსტატუსო/ მამიებელი
ბათუმი	132	33.30%	61.40%	0.80%	0	4.50%
გლდანი- ნამალადევი	78	21.80%	70.50%	0	0	7.70%
დიდუბე- ჩულურეთი	33	9.10%	81.80%	6.10%	0	3%
ვაკე- საბურთალო	33	51.50%	45.50%	0	0	3%
ისანი-სამგორი	246	37.40%	52.80%	3.70%	0.40%	5.70%
ძველი თბილისი	150	30%	60.70%	2%	0	7.30%
რუსთავი	70	32.90%	57.10%	1.40%	0	8.60%
ქუთაისი	18	5.60%	66.70%	16.70%	0	11%
ზუგდიდი	20	30%	60%	5%	0	5%

საინტერესოა მასწავლებელთა სტატუსების მიხედვით გადანაწილება არაქართულენოვან სკოლებში საგნების მიხედვით. ამ თვალსაზრისით ნათელია, რომ მენტორი, წამყვანი თუ

უფროსი მასწავლებლების სტატუსის მატარებელი მასწავლებლები ქართულის, როგორც მეორე ენის, უცხო ენის მასწავლებლებს წარმოადგენენ. სხვა საგნების მასწავლებელთა 70-დან 90 %-მდე პრაქტიკოსის სტატუსის, მაძიებლის ან სტატუსის არმქონე მასწავლებელი გახლავთ.

ცხრილი 25. საგნების მიხედვით არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების სტატუსობრივი გადანაწილება

	ბიოლოგია	ბუნებისმეტყველება	გეოგრაფია	ეთნიკური უმცირესობების ენა	ისტორია	მათემატიკა	პირველი უცხო ენა (ინგლისური)	ფიზიკა	ქართული, როგორც მეორე ენა	ქიმიკა
მაძიებელი	4.08 %	5.02 %	4.70 %	4.00%	6.18 %	4.17%	7.34%	3.06 %	3.23%	3.99%
მენტორი	0.26 %	0.07 %	0.00 %	0.00%	0.00 %	0.00%	0.00%	0.28 %	0.58%	0.31%
პრაქტიკოსი	60.4 6%	76.06 %	67.1 0%	79.77%	67.3 7%	72.02 %	47.46 %	68.8 0%	32.26%	59.82 %
სტატუსის გარეშე	6.38 %	5.73 %	4.18 %	5.84%	4.83 %	6.28%	5.79%	5.01 %	3.32%	8.59%
უფროსი	27.3 0%	13.05 %	23.2 4%	10.29%	21.4 3%	17.32 %	38.56 %	22.8 4%	56.30%	26.38 %
წამყვანი	1.53 %	0.07 %	0.78 %	0.10%	0.19 %	0.21%	0.85%	0.00 %	4.31%	0.92%
სულ	100 %	100 %	100 %	100%	100 %	100%	100%	100 %	100%	100%

საერთო მონაცემების მიღმა, კიდევ უფრო არასახარბიელო შედეგები იკვეთება, თუკი მონაცემებს სწავლების ენისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით გავაანალიზებთ. სწავლების ენის მიხედვით აზერბაიჯანულენოვან სკოლებში ენების მასწავლებლების გარდა სხვა საგნების მასწავლებელთა 88%-დან 98% პრაქტიკოსი, სტატუსის მაძიებელი ან სტატუსის გარეშე მასწავლებელია. სომხურენოვან სკოლებში ანალოგიური მონაცემი 74%-დან 95 %-მდე მერყეობს. რუსულენოვან სკოლებში შედარებით უკეთესი ვითარება იკვეთება ამ თვალსაზრისით. დეტალური ინფორმაცია იხილეთ 26-ე-28-ე ცხრილებში.

26. საგნების მიხედვით აზერბაიჯანულენოვანი სკოლების მასწავლებელთა სტატუსობრივი გადანაწილება

აზერბაიჯანული

	ბიოლოგია	ბუნებისმეტყველება	გეოგრაფია	ეთნიკური უმცირესობების ენა (აზერბაიჯანული)	ისტორია	მათემატიკა	პირველი უცხო ენა (ინგლისური)	ფიზიკა	ქართული, როგორც მეორე ენა	ქიმია
მაძიებელი	4.61%	5.64%	7.56%	3.71%	6.37%	4.61%	8.75%	3.27%	3.74%	3.79%
მენტორი	0.00%	0.00%	0.00%	0.00%	0.00%	0.00%	0.00%	0.00%	0.56%	0.00%
პრაქტიკოსი	75.66%	81.82%	76.16%	85.49%	79.90%	79.43%	56.57%	77.78%	31.96%	76.52%
სტატუსის გარეშე	7.24%	7.84%	5.81%	8.55%	4.90%	9.10%	7.07%	7.19%	3.36%	8.33%
უფროსი	12.50%	4.70%	10.47%	2.25%	8.82%	6.86%	27.61%	11.76%	56.64%	11.36%
წამყვანი	0.00%	0.00%	0.00%	0.00%	0.00%	0.00%	0.00%	0.00%	3.74%	0.00%
სულ	100%	100%	100%	100%	100%	100%	100%	100%	100%	100%

ცხრილი 27. საგნების მიხედვით რუსულენოვანი სკოლების მასწავლებელთა სტატუსობრივი გადანაწილება

რუსული										
	ბიოლოგია	ბუნებისმეტყველება	გეოგრაფია	ეთნიკური უმცირესობების ენა (რუსული)	ისტორია	მათემატიკა	პირველი უცხო ენა (ინგლისური)	ფიზიკა	ქართული, როგორც მეორე ენა	ქიმია
მაძიებელი	1.61%	6.94%	1.75%	5.85%	6.59%	6.45%	3.27%	11.11%	1.73%	3.70%
მენტორი	0.00%	0.00%	0.00%	0.00%	0.00%	0.00%	0.00%	1.85%	1.73%	0.00%
პრაქტიკოსი	22.58%	48.57%	35.09%	50.14%	36.26%	44.28%	19.61%	29.63%	9.96%	24.07%

სტატუსის გარეშე	1.61 %	2.04 %	0.00%	1.95%	2.20%	2.35%	0.00%	0.00%	0.87%	3.70%
უფროსი	64.52 %	42.04 %	57.89 %	41.50 %	53.85 %	46.33 %	73.86 %	57.41 %	81.39 %	62.96 %
წამყვანი	9.68 %	0.41 %	5.26%	0.56%	1.10%	0.59%	3.27%	0.00%	4.33%	5.56%
სულ	100.0 0%	100.0 0%	100.0 0%	100.0 0%	100.0 0%	100.0 0%	100.0 0%	100.0 0%	100.0 0%	100.0 0%

ცხრილი 28. საგნების მიხედვით სომხურენოვანი სკოლების მასწავლებელთა სტატუსობრივი გადანაწილება

სომხური										
	ბიოლოგია	ბუნებისმეტყველება	გეოგრაფია	ეთნიკური უმცირესობების ენა (სომხური)	ისტორია	მათემატიკა	პირველი უცხო ენა (ინგლისური)	ფიზიკა	ქართული, როგორც მეორე ენა	ქიმია
მაძიებელი	4.49%	3.32%	2.60%	3.45 %	5.83 %	2.55 %	8.14 %	0.00 %	3.41%	4.29 %
მენტორი	0.56%	0.20%	0.00%	0.00 %	0.00 %	0.00 %	0.00 %	0.00 %	0.00%	0.71 %
პრაქტიკოსი	60.67 %	82.03 %	68.83 %	87.14 %	68.61 %	76.52 %	53.49 %	73.68 %	44.32 %	57.86 %
სტატუსის გარეშე	7.30%	4.88%	3.90%	4.51 %	5.83 %	4.81 %	7.75 %	4.61 %	4.55%	10.71 %
უფროსი	26.97 %	9.57%	24.68 %	4.91 %	19.73 %	15.84 %	30.23 %	21.71 %	42.73 %	26.43 %
წამყვანი	0.00%	0.00%	0.00%	0.00 %	0.00 %	0.28 %	0.39 %	0.00 %	5.00%	0.00 %
სულ	100.0 0%	100.0 0%	100.0 0%	100.0 0%	100.0 0%	100.0 0%	100.0 0%	100.0 0%	100.00 %	100.0 0%

რაც შეეხება რაიონებისა და საგნების მიხედვით მასწავლებელთა კატეგორიებს შორის გადანაწილებას, აქაც თვალსაჩინოა, რომ კომპაქტური განსახლების ადგილებში, მასწავლებელთა აბსოლუტური უმრავლესობა სწორედ პრაქტიკოსი მასწავლებლის კატეგორიაშია ან მაძიებელი და სტატუსის გარეშე მასწავლებელია. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სომხურენოვანი და მარნეულის მუნიციპალიტეტის

აზერბაიჯანულენოვანი სკოლის მასწავლებელთა მონაცემი ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ამ თვალსაზრისით (ცხრილი 29-30). ახალქალაქის მუნიციპალიტეტში მშობლიური ენის, ბუნებისმეტყველების, მათემატიკის მასწავლებელთა 90% სტატუსის არმქონე, მაძიებელი ან პრაქტიკოსი მასწავლებელია.

ცხრილი 29. ახალქალაქის მუნიციპალიტეტში სომხურენოვანი სკოლების მასწავლებლების საგნებისა და კატეგორიების მიხედვით

ახალქალაქი										
სტატუსი	ბიოლოგია	ბუნებისმეტყველება	გეოგრაფია	ეთნიკური უმცირესობების ენა (სომხური)	ისტორია	მათემატიკა	პირველი უცხო ენა (ინგლისური)	ფიზიკა	ქართული, როგორც მეორე ენა	ქიმიკა
მაძიებელი	2.94 %	2.61 %	0.00 %	0.91%	6.02 %	0.66 %	5.10%	0.00 %	2.94%	3.51%
პრაქტიკოსი	64.71 %	88.26 %	77.78 %	94.21%	74.7 0%	86.7 5%	70.41%	77.7 8%	55.88%	64.91%
უფროსი	19.12 %	5.22 %	19.05 %	3.05%	13.2 5%	8.94 %	17.35%	14.2 9%	30.00%	15.79%
წამყვანი	0.00 %	0.00 %	0.00 %	0.00%	0.00 %	0.00 %	0.00%	0.00 %	5.29%	0.00%
სტატუსის გარეშე	13.24 %	3.91 %	3.17 %	1.83%	6.02 %	3.64 %	7.14%	7.94 %	5.88%	15.79%
სულ	100 %	100 %	100 %	100%	100 %	100 %	100%	100 %	100%	100%

ახალქალაქის მსგავსად მარნეულის მუნიციპალიტეტში აზერბაიჯანულენოვან სკოლებშიც ქართულის, როგორც მეორე ენისა და უცხო ენების მასწავლებელთა გარდა, ყველა სხვა საგნის 90%-ზე მეტი სტატუსის არმქონე, მაძიებელი ან პრაქტიკოსი მასწავლებელია.

ცხრილი 30. მარნეულის რაიონის აზერბაიჯანულენოვანი სკოლების მასწავლებლები საგნებისა და კატეგორიების მიხედვით

მარნეული										
სტატუსი	ბიოლოგია	ბუნებისმეტყველება	გეოგრაფია	ეთნიკური უმცირესობების ენა (აზერბაიჯანული)	ისტორია	მათემატიკა	პირველი უცხო ენა (ინგლისური)	ფიზიკა	ქართული, როგორც მეორე ენა	ქიმიკა

მაძიებელი	1.43 %	4.88%	4.00 %	2.14%	5.15%	3.23 %	8.45%	0.00 %	3.42%	3.51%
პრაქტიკოსი	87.14 %	84.67 %	84.00 %	87.38%	85.57 %	84.3 3%	66.20%	90.28 %	44.44%	87.72%
უფროსი	7.14 %	3.48%	9.33 %	1.19%	5.15%	2.99 %	19.72%	4.17 %	41.88%	3.51%
წამყვანი	0.00 %	0.00%	0.00 %	0.00%	0.00%	0.00 %	0.00%	0.00 %	3.85%	0.00%
მენტორი	0.00 %	0.00%	0.00 %	0.00%	0.00%	0.00 %	0.00%	0.00 %	0.85%	0.00%
სტატუსის გარეშე	4.29 %	6.97%	2.67 %	9.29%	4.12%	9.45 %	5.63%	5.56 %	5.56%	5.26%
სულ	100 %	100%	100 %	100%	100%	100 %	100%	100 %	100%	100%

უნდა აღინიშნოს, რომ არსებული ვითარება პრობლემატურია რამდენიმე გარემოების გამო და არ უკავშირდება მხოლოდ მასწავლებელთა სხვადასხვა კატეგორიაში მარტივ განლაგებას, კერძოდ:

- სტატუსის შეცვლა და მაღალ კატეგორიაში გადანაცვლება დაკავშირებულია სახელფასო დანამატთან. შესაბამისად არაქართულენოვანი სკოლის მასწავლებლები მოკლებულნი არიან როგორც კარიერულ ზრდის შესაძლებლობას, აგრეთვე სახელფასო ზრდის შესაძლებლობას, რადგან როგორც წესი, ბოლო წლებში იზრდება კატეგორიის დანამატი და არა საბაზისო ხელფასი;
- სტატუსის შეცვლის შესაძლებლობის არარსებობა მასწავლებლებს აკარგვინებს მოტივაციას მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა პროგრამებში, აიმაღლონ კვალიფიკაცია და რეალური ცვლილებები განახორციელონ სასკოლო დონეზე. არამოტივირებული მასწავლებელი კი არ არის ორიენტირებული სასწავლო პროცესის ტრანსფორმირებაზე. ეს ფაქტორი მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა სხვადასხვა ინიციატიური პროექტების განსახორციელებლად არაქართულენოვან სკოლებში.

მასწავლებელთა კარიერულ ზრდასთან დაკავშირებით არსებული სურათი რამდენიმე მიზეზით არის განპირობებული:

- სსიპ გამოცდებისა და შეფასების ცენტრმა პროფესიული უნარების გამოცდა კვლავ მხოლოდ სახელმწიფო ენაზე ჩაატარა, რამაც დაბრკოლება შეუქმნა მასწავლებლებს პრაქტიკოსი მასწავლებლიდან უფროსი მასწავლებლის კატეგორიაში გადასულიყვნენ;
- მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებისთვის კვლავ არ შექმნილა შესაბამისი საგნობრივი სტანდარტი და არც გამოცდა ტარდება ამ საგნის მასწავლებლებისთვის. შესაბამისად, ეს მასწავლებლები მოკლებულნი არიან კარიერული დაწინაურების შესაძლებლობას;
- არ შექმნილა ალტერნატიული მექანიზმები და გზები პროფესიული განვითარებისა, რაც რეალურად ხელს შეუწყობდა პროფესიულ განვითარებასაც და კარიერულ დაწინაურებასაც (მაგალითად, ბილინგვური განათლების საპილოტე პროგრამებში

მონაწილეობა, „ახალი სკოლის მოდელის“ საპილოტე სკოლებში ერთთვიანი სტაჟირება და გაცვლითი პროგრამით პროფესიული განვითარება და ა.შ.).

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ განახორციელა გახლდათ საპენსიო ასაკის მქონე პრაქტიკოსი მასწავლებლებისთვის საპენსიო ჯილდოს დაწესება ორი წლის ხელფასის სახით და ამ პოლიტიკის შედეგად სკოლებში ახალგაზრდა კადრების შესვლის შესაძლებლობების გაჩენა. საინტერესოა, აღნიშნული რეფორმის შედეგების გაანალიზება არაქართულენოვანი სკოლების კონტექსტში.

აღნიშნული რეფორმის შედეგად 1411 საპენსიო ასაკის მასწავლებელმა დატოვა არაქართულენოვანი სკოლა, მათგან 739-მა _ აზერბაიჯანულენოვანი, 188-მა _ რუსულენოვანი და 484-მა _ სომხურენოვანი. დეტალური ინფორმაცია მუნიციპალიტეტების მიხედვით საპენსიო ასაკის პედაგოგების მიერ სისტემის დატოვების შესახებ არაქართულენოვან სკოლებში წარმოდგენილია 31-ე ცხრილში .

ცხრილი 31. არაქართულენოვანი სკოლებიდან საპენსიო ჯილდოთი გასული პედაგოგები მუნიციპალიტეტების მიხედვით

რესურსცენტრი	აზერბაიჯანული	რუსული	სომხური	სულ
ასპინძა			2	2
ახალქალაქი		7	186	193
ახალციხე		2	62	64
ახმეტა		2		2
ბათუმი		18		18
ბოლნისი	159		13	172
ბორჯომი			10	10
გარდაბანი	89	12		101
გლდანი-ნამალადევი		16	2	18
დედოფლისწყარო		9	3	12
დიდუბე-ჩუღურეთი		7		7
დმანისი	71	5		76
ვაკე-საბურთალო	1	2		3
ზუგდიდი		8		8
თეთრიწყარო	3			3
ისანი-სამგორი	2	17	7	26
ლაგოდეხი	28			28
მარნეული	339	31	30	400
ნინოწმინდა		2	126	128
რუსთავი	7	10		17
საგარეჯო	37			37
სენაკი		2		2

ფოთი		2		2
ქობულეთი		9		9
ქუთაისი		8		8
ბველი თბილისი		18	1	19
წალკა	3	1	42	46
სულ	739	188	484	1411

1411 მასწავლებლის სისტემიდან გასვლა პოზიტიურ რეფორმად შეიძლება შეფასდეს, თუკი მომზადებულია ახალი საკადრო რესურსი სისტემაში შესასვლელად. არაქართულენოვანი სკოლებისთვის მსგავსი საკადრო რესურსი არ მომზადებულა და კვოტირების სისტემაც არაეფექტურად იყო გამოყენებული ამ თვალსაზრისით. მიუხედავად 2015-2020 წლების სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში ამ მიმართულებით გაწერილი კონკრეტული აქტივობებისა, არცერთი მათგანი არ შესრულდა და შესაბამისად, საპენსიო ჯილდოს პოზიტიური პოლიტიკის მიუხედავად, ეს რეფორმაც ნეგატიურად აისახა არაქართულენოვან სკოლებზე, რადგან ამ სკოლებში ახალი საკადრო რესურსი ვერ შევიდა. კერძოდ, თუ 2018 წლის მონაცემებით არაქართულენოვან სკოლებში 7885 მასწავლებელი იყო, უკვე 2020 წლის მონაცემით, ანუ საპენსიო ჯილდოს გაცემის შემდგომ მასწავლებელთა რაოდენობა 6715-მდე შემცირდა.

ცხრილი 32. არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა რაოდენობის შედარება 2018 და 2020 წლებში

სწავლების ენა	2018	2020	განსხვავება
აზერბაიჯანული	3389	2914	475
სომხური	2979	2668	311
რუსული	1517	1133	384
სულ:	7885	6715	1170

არსებული ვითარებიდან გამომდინარე ორი ტიპის გადაწყვეტილება იყო მიღებული:

1. გამოთავისუფლებული საათები გადანაწილდა სხვა მოქმედ მასწავლებლებზე და მათი საათობრივი დატვირთვა იმდენად გაიზარდა, რომ კიდევ უფრო მეტად დადგა განათლების ხარისხი კითხვის ნიშნის ქვეშ;
2. სისტემაში შევიდნენ სტატუსის არმქონე ან მაძიებელი მასწავლებლები, რომელთა ნაწილი გადამზადდა „მასწავლებელთა აკადემიის“ ფარგლებში და შემუშავდა მათთვის სპეციალური გზა პროფესიაში შესასვლელად.

არაქართულენოვან სკოლებში სწავლების ხარისხი კიდევ მეტად გაუარესდა, რადგან საპენსიო ასაკის მასწავლებელთა ჩანაცვლება კვალიფიციური კადრებით ვერ მოხერხდა. ამის მიზეზი კი სწორედ არასწორი პოლიტიკაა და არაქართულენოვანი სკოლების რეფორმისთვის გრძელვადიანი ხედვის არარსებობა, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი იქნებოდა რეფორმის საჭირო საკადრო რესურსის მომზადება (მათ შორის კვოტირების სისტემისა და ქართული ენის ერთწლიანი პროგრამის გამოყენებით), რაც სამწუხაროდ არ განხორციელდა

და მიუთითებს გრძელვადიანი და სტრატეგიული ხედვების ნაკლებობაზე. ეს მდგომარეობა გათვლილი იყო 2015-2020 წლების სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით და შესაბამისი აქტივობებიც იყო დაგეგმილი, მაგრამ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ მათი უმრავლესობა არ განხორციელდა.

შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ არსებული მონაცემების ანალიზი ნათელ წარმოდგენას იძლევა თუ რა ტიპის აქტივობების განხორციელება იყო მნიშვნელოვანი მასწავლებელთა მომზადებისა და გადამზადების კუთხით. სახელმწიფო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა საკმაოდ დეტალურად აღწერდა ამ მიმართულებით მისაღებ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებსა და პროგრამებს. სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშებში წარმოდგენილია თუ რა მიმართულებით განხორციელდა აქტივობები და რომელი მიმართულებით არ იქნა გადადგმული არანაირი მნიშვნელოვანი ნაბიჯი. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული ღონისძიებები გატარდა, ძირეული რეფორმები და მხარდაჭერის ინსტრუმენტების ამუშავება არ განხორციელებულა 2015-2020 წლებში. არსებული სტატისტიკა ნათლად მიუთითებს, რომ პროფესიული განვითარების საფეხურზე გადასვლა არაქართულენოვან სკოლებში ფაქტობრივად არ განხორციელებულა.

ამოცანა 3.2.3 არაქართულენოვან სკოლებში მიმდინარე განათლების რეფორმის ხელშეწყობა

მომავალ მასწავლებელთა მომზადება

აღნიშნული მიმართულებით 2015-2020 წლების სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდა არაერთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებასა და ღონისძიებას, მათ შორის უმაღლეს სასწავლებლებში მასწავლებელთა პროგრამებზე სტუდენტთა მოსაზიდად სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროგრამის გავრცელებას „1+4 პროგრამის“ სისტემით ჩარიცხულ სტუდენტებზე, ბილინგვური სწავლების, კვლევისა და მასწავლებელთა მომზადების წახალისებას, უმცირესობათა ენების კვლევებისა და ამ მიმართულებით მასწავლებელთა განათლების პროგრამების განხორციელების ხელშეწყობასა და წახალისებას.

მულტილინგვური სწავლების ხელშეწყობის პროგრამა

აღნიშნულ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში განათლების პოლიტიკის რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი იყო გათვალისწინებული, რომელიც ხელს შეუწყობდა მულტილინგვური განათლების პოლიტიკის გრძელვადიანი პერსპექტივით განხორციელებას. კერძოდ:

- დაფინანსების სისტემაში მულტილინგვური განათლების ასახვა და ამ პროგრამაში ჩართულ მოსწავლეზე დაფინანსების მიბმა;
- სასწავლო გეგმებში მულტილინგვური განათლების პროგრამის ზოგადი ან სპეციფიკური სახით ასახვა;
- სასკოლო სახელმძღვანელოების საკითხის გადაჭრა ორენოვანი სწავლების კონტექსტში;

- მასწავლებელთა სტანდარტსა და პროფესიული განვითარების სქემაში მულტილინგვური კომპონენტის ასახვა;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წახალისება მულტილინგვურ მასწავლებელთა განათლების მომზადების პროგრამის განსახორციელებლად;
- დაფინანსების უზრუნველყოფა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მასწავლებელთა განათლების პროგრამებზე სტუდენტთა მოსაზიდად მულტილინგვური სწავლების მიმართულებით.

2015-2020 წლებში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა განახორციელა მხოლოდ მულტილინგვური მასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამა. სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტს აღნიშნული პროგრამა აქვს მოდულის სახით შეტანილი დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების საბაკალავრო-სამაგისტრო ინტეგრირებულ პროგრამაში (26 ადგილი).

2015-2020 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამ პროგრამაზე ჩაირიცხა ან მობილობის წესით გადმოვიდა 100- მდე სტუდენტი (წელიწადში 25 სტუდენტი). ამ პროგრამას 2019 წელს ჰყავდა პირველი კურსდამთავრებულები, რომელთა დიდი ნაწილი შევიდა არაქართულენოვან სკოლებში, თუმცა იმ მონაცემებზე დაყრდნობით, რომელიც მასწავლებელთა ასაკობრივ სტრუქტურას ეხება, თვალსაჩინო ხდება, რომ ახალი კურსდამთავრებულების მხოლოდ ეს მცირედი ნაკადი ვერ ჩაანაცვლებს მასწავლებლებს არაქართულენოვან სკოლებში, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ეს კურსდამთავრებულები მხოლოდ დაწყებითი კლასის მასწავლებლები არიან, ხოლო მასწავლებელთა დეფიციტი საბაზო და საშუალო საფეხურებზე დღეს უკვე თვალნათელია. საბაზო და საშუალო საფეხურისთვის მასწავლებლები არაქართულენოვანი სკოლებისთვის დღევანდელი მდგომარეობით ფაქტობრივად არ მზადდება.

საანგარიშო პერიოდში დაიწყო საპილოტე პროექტის განხორციელება 20 სკოლაში, სადაც დაინერგა ბილინგვური განათლების გამიჯნული მოდელი, რომლის ფარგლებშიც ბუნებისმეტყველების საგანი ისწავლებოდა III-დან VI კლასის ჩათვლით სახელმწიფო ენაზე. პროექტს ახორციელებს „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების ცენტრი“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან თანამშრომლობით, ეროვნულ უმცირესობათა საკითხებში ეუთოს უმაღლესი კომისრის ოფისის ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის ფარგლებში შემუშავდა შესაბამისი სასწავლო რესურსი, რომელიც გამოიყენება საპილოტე კლასებში. გადამზადნენ საპილოტე სკოლის დირექტორები, ასევე დაწყებითი კლასებისა და ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლები. 2020 წელს აღნიშნულმა სამინისტრომ უშუალოდ დაიწყო ბილინგვური განათლების საპილოტე პროექტის განხორციელება, რომელიც ეფუძნება არსებულ რესურსებსა და გამოცდილებას. საპილოტე პროექტის განხორციელებისას ბევრი ბარიერი იქმნება, შესაბამისად, მნიშვნელოვანია ძირეული ცვლილებები, როგორც სასწავლო შინაარსის, ისე მისი ორგანიზებისა და მართვის თვალსაზრისით, რათა მსგავსი ექსპერიმენტული პროექტები, თუ ზოგადად მულტილინგვური განათლების რეფორმა, ეფექტიანად განხორციელდეს.

შეჯამების სახით უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ზემოაღნიშნული მიმართულებით გადადგმული არაერთი ნაბიჯისა, კვლავ რჩება გამოწვევები.

ამოცანა 3.2.4 სახელმწიფო ენის სწავლების გაუმჯობესების ხელშეწყობა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის

აღნიშნული მიმართულებით, ზოგადი განათლების საფეხურზე 2015-2020 წლებში გაგრძელდა პროგრამები, რომელსაც ძირითადად სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი ახორციელებდა. კერძოდ:

პროგრამა „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“

პროგრამა „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონების არაქართულენოვანი სკოლების პედაგოგთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობასა და ქართული ენისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად. სტრატეგიის განხორციელების პერიოდში სამოქმედო გეგმის შესაბამისად, პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- 2015 წლის იანვარში გაერთიანდა სსიპ „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის“ ორი პროგრამა – „ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა“ და „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ გაერთიანებული პროგრამის დასახელებად დარჩა „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“;
- მომზადდა პროგრამის მონაწილეთა საერთო სია და გადაიგზავნა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში მაგისტრანტის სტატუსისა და სახელმწიფო გრანტის შესახებ ინფორმაციის გადასამოწმებლად. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან მიღებული ინფორმაციის დამუშავების საფუძველზე, 2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის მაგისტრატურის საგანმანათლებლო საფეხურზე დაფინანსდა ამ პროგრამის 176 მონაწილე;
- პროგრამის მონაწილე კონსულტანტ-მასწავლებლებს ჩაუტარდათ გრძელვადიანი მეთოდური კურსის რამდენიმე მოდული;
- მოეწყო რამდენიმე ინტეგრირებული საზაფხულო ბანაკი, რომელშიც ჩართულნი იყვნენ არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეები და პროგრამის კონსულტანტ-მასწავლებლები;
- სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის არაქართულენოვანი სკოლების ადგილობრივი მასწავლებლებისათვის ქართული ენის კურსების განხორციელების მიზნით ჩატარდა შემდეგი სამუშაოები:
 - შემუშავდა ენის ფლობის A1 და A2 დონის სასწავლო კურსი (რომელიც არაქართულენოვანი სკოლების ადგილობრივი მასწავლებლებისთვის არის

„მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში“ ჩასართავად საჭირო პროფესიული უნარების კურსის წინაპირობა);

- ენობრივი კომპეტენციის დადგენის მიზნით შემუშავდა პრეტესტი. ცენტრის შესაბამისი ექსპერტ-კონსულტანტების კონსულტაციების შემდეგ პრეტესტის ჩატარება უზრუნველყოფილი იყო პროგრამის მონაწილე კონსულტანტ-მასწავლებლების მიერ; პროგრამის ფარგლებში განხორციელდა არაქართულენოვანი სკოლების ადგილობრივი მასწავლებლების პრეტესტების შედეგების შეგროვება და დამუშავება.

მიუხედავად ამ წარმატებული პროგრამისა, ის ფაქტობრივად ერთადერთია, რომელიც უკვე წლებია ამ მიმართულებით ხორციელდება, ხოლო სხვა ტიპის ინტერვენცია აღნიშნულ პერიოდში ქართულს, როგორც მეორე ენის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების გაუმჯობესების თვალსაზრისით არ განხორციელებულა. უფრო მეტიც, როგორც სახელმძღვანელოებზე საუბრის ქვეთავში უკვე აღინიშნა, შექმნილია ქართული ენის სახელმძღვანელოების დეფიციტი და არაქართულენოვანი სკოლის მასწავლებლები სერიოზული გამოწვევების წინაშე აღმოჩნდნენ. შესაბამისად, სწრაფად მოგვარებას საჭიროებს შემდეგი საკითხები: სომხური და აზერბაიჯანული, როგორც მშობლიური ენის, სახელმძღვანელოს მოძიება; მასწავლებელთა პროფესიაში შესვლა, პროფესიული განვითარების, წახალისებისა და კარიერული ზრდის მექანიზმების შემუშავება და განხორციელება; საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლებლებში სომხურისა და აზერბაიჯანულის, როგორც მშობლიური ენის, შემუშავება; მომავალ მასწავლებელთა მომზადების პროგრამების ამუშავების ხელშეწყობა და კვოტების გაზრდით წახალისების მექანიზმების ამუშავება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავდაპირველ ვერსიაში ჩადებული იყო უმრავლესობისკენ ორიენტირებული ღონისძიებები მასწავლებელთა გადამზადების, სახელმძღვანელოების, სასწავლო გეგმებში მრავალფეროვნების ასახვის, მომავალი მასწავლებლების მომზადების თვალსაზრისით, თუმცა ამ მიმართულებამ ასახვა ვერ ჰპოვა სამოქმედო გეგმის განხორციელების ნაწილში და უმრავლესობის ტრანსფორმაციაზე ორიენტირებული აქტივობები განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან თითქმის არ განხორციელებულა სისტემურ დონეზე.

COVID-19 და არაქართულენოვანი სკოლები

2020 წლის გაზაფხულზე გავრცელებული COVID-19-ის პანდემიის კვალდაკვალ საჯარო და კერძო სკოლების დაიხურა. შესაბამისად, პირისპირ სწავლება შეწყვიტეს არაქართულენოვანმა სკოლებმა და გადავიდნენ ონლაინსწავლებაზე. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სამი ტიპის მხარდაჭერის მექანიზმი შეიმუშავა ონლაინ სწავლებისთვის: 1) მაიკროსოფტ თიმის პროგრამა ხელმისაწვდომი იყო სკოლებისთვის ონლაინ სწავლების განსახორციელებლად; 2) 2020 წლის 30 მარტიდან დაიწყო „ტელესკოლის“ პროექტი საზოგადოებრივ მაუწყებელთან ერთად; 3) შეივსო და რესურსებით გამდიდრდა პორტალი

el.ge, რომელზეც განთავსდა სკოლებისა და მასწავლებლებისთვის დამხმარე რესურსები. აღნიშნული ინსტრუმენტების გამოყენებით არაქართულენოვან სკოლებში 2020 წლის გაზაფხულის სემესტრში სერიოზული ხარვეზები გამოიკვეთა, რაც ხაზგასმულია როგორც 2020 წელს ჩატარებული კვლევაში,⁷² ისე აღნიშნულია განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2020 წლის ანგარიშში⁷³.

ინტერნეტსა და კომპიუტერზე წვდომა არაქართულენოვან სკოლებში იყო დაბალი, რასაც განაპირობებდა ამ სკოლების სასოფლო და მაღალმთიანი განსახლება.⁷⁴ კონკრეტულად:⁷⁵

1. ონლაინ სწავლების განხორციელება ფერხდებოდა ისეთი პრობლემების გამო, როგორც იყო საკუთარი სივრცის არ არსებობა, ელექტროენერჯის ხშირი გათიშვა;
2. დაბალი ხარისხის ინტერნეტი და სწავლებისთვის მობილური ტელეფონის გამოყენება ნაცვლად პერსონალური კომპიუტერისა, რომელზეც გართულებული იყო სასწავლო პროცესში სრულფასოვნად ჩართვა;
3. მასწავლებელთა დიდი ნაწილი არ იყო შესაბამისი უნარებითა და კომპეტენციებით აღჭურვილი, რათა გადაუდებელი დისტანციური სწავლება განეხორციელებინა;
4. თიმის პროგრამა, რომელსაც მოიხმარდნენ საჯარო სკოლები იყო ინგლისურენოვანი, შესაბამისად, ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სკოლის მასწავლებლებს უჭირდათ ენობრივი კომპეტენციების ნაკლებობის გამო გარკვეულიყვნენ პროგრამის მუშაობაში;
5. თიმის პროგრამის მოხმარების ინსტრუქციები ვრცელდებოდა ქართულ ენაზე და ესეც ართულებდა მასწავლებელთა მიერ პროგრამის გამოყენების შესაძლებლობას, ამიტომ მასწავლებლები ცდილობდნენ ალტერნატიული პროგრამები გამოეყენებინათ სწავლებისას;
6. „ტელესკოლის“ პროექტი ნაკლებად გამოყენებადი აღმოჩნდა არაქართულენოვანი სკოლებისთვის და ნაკლებად ეფექტურად რთავდნენ და იყენებდნენ ამ რესურსს ჩ სასწავლო პროცესში;
7. „ტელესკოლის“ პროექტი საკუთარი სასწავლო ბადით შეზღუდული იყო არაქართულენოვანი სკოლებისთვის. იგი მოიცავდა მხოლოდ ქართულის, როგორც მეორე ენის, მშობლიური ენისა და ლიტერატურის და მათემატიკის სწავლებას. სხვა საგნების სწავლებას მოკლებულნი იყვნენ არაქართულენოვანი სკოლები. ამასთანავე „ტელესკოლა“ არ ახორციელებდა გაკვეთილების ტრანსლირებას რუსულენოვანი სკოლებისთვის;
8. ელექტრონული რესურსების პლატფორმის el.ge- ს გამოყენება აგრეთვე შეზღუდული იყო არაქართულენოვანი სკოლებისთვის, რადგან ამ ვებპორტალზე რესურსები

⁷² Shalva Tabatadze & Ketevan Chachkhiani (2021): COVID-19 and Emergency Remote Teaching in the Country of Georgia: Catalyst for Educational Change and Reforms in Georgia?, *Educational Studies*, DOI: 10.1080/00131946.2020.1863806

⁷³ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ანგარიში „პანდემია და ზოგადი განათლება საქართველოში“ (2020), http://mes.gov.ge/mesgifs/1609239131_2020_Angarishi.pdf

⁷⁴ Ibid

⁷⁵ ტაბატაძე და ჩაჩხიანი, 2020


ძირითადად განთავსებულია ქართულ ენაზე და უმცირესობათა ენებზე ამ რესურსების ხელმისაწვდომობის პრობლემა ცხადად გამოჩნდა.

რაც შეეხება 2020-2021 წლის შემოდგომის სემესტრს, მოხერხდა, რომ სკოლების დიდი ნაწილი გახსნილიყო წერტილოვანი შეზღუდვებით და სკოლები ახორციელებდნენ პირისპირ სწავლებას, მარნეულისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტების გარდა. შესაბამისად, პირისპირ სწავლებამ გარკვეულწილად განათლების ხელმისაწვდომობის პრობლემა მოხსნა, თუმცა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხრიდან არ განხორციელებულა მაკომპენსირებელი პროგრამები, რათა 2020 წლის გაზაფხულის ჩავარდნები აღმოფხვრილიყო.

გარდაბნისა და მარნეულის მუნიციპალიტეტებში სწავლება გაგრძელდა დისტანციურად ყველა იმ ხარვეზით, რაც დაფიქსირდა 2020 წლის გაზაფხულზე. ეთნიკური უმცირესობების მოსწავლეები განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ აღიარებულია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი ჯგუფი პანდემიის პირობებში სკოლების დახურვისას.⁷⁶ აღსანიშნავია, რომ თიმსის პროგრამაში რეგისტრირებულთა და თიმსის მომხმარებელთა რაოდენობის შედარება ნათელ სურათს გვაძლევს არაქართულენოვან სკოლებში ონლაინსწავლების შესახებ.

გრაფიკი 1. მარნეულის მუნიციპალიტეტში Microsoft Teams-ის მომხმარებელ მოსწავლეთა რაოდენობა


⁷⁶საქართველოს განათლების, კულტურის, მეცნიერების და სპორტის სამინისტროს ანგარიში, 2020, http://mes.gov.ge/mesgifs/1609239131_2020_Angarishi.pdf



გრაფიკზე თვალნათელია, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის სკოლის მოსწავლეთა 30%-ზე მეტი არ იყენებს მაიკროსოფტ თიმსს; ანალოგიური მაჩვენებელი გაცილებით დაბალია, როგორც დედაქალაქის, აგრეთვე სხვა ქალაქების თუ რაიონული და მაღალმთიანი დასახლებების მოსწავლეებში. შედარებისთვის იხილეთ ქ. თბილისის, ქ. ქუთაისის, ხულოსა და ქ. მარნეულის მონაცემები:

გრაფიკი 2. მარნეულისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში, ქ. ქუთაისსა და ქ. თბილისში Microsoft Teams-ის მოსარგებლე და არამოსარგებლე მოსწავლეთა პროპორცია⁷⁷

⁷⁷ გრაფიკი შედგენილია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS) მიერ მოწოდებული წვდომის მონაცემების საფუძველზე



შუალედური მიზანი 3.3 უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა

ამოცანა 3.3.1 საშეღავათო პოლიტიკის უზრუნველყოფა და მხარდაჭერა

უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს. „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის 43.1 მუხლი ითვალისწინებს სტუდენტებისათვის სახელმწიფო სტიპენდიების გაცემას, უნივერსიტეტიდან ან სხვა წყაროებიდან, ასევე ფინანსურ და მატერიალურ დახმარებებს. ხელისუფლება ფინანსურად გაჭირვებული სტუდენტებისათვის სოციალურ პროგრამებს ახორციელებს განსაკუთრებულ შემთხვევებში (მუხლი 6.1 გდა 52.8).⁷⁸

2010 წლიდან საქართველოს მთავრობა ახორციელებს „საშეღავათო პოლიტიკას“ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ეთნიკური უმცირესობების ჩარიცხვის მიმართულებით, რაც პოზიტიურად აისახა უმცირესობათა მიერ ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში უმაღლესი განათლების მიღების მაჩვენებლებზე:

- გაიზარდა ნდობა სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიმართ და გაჩნდა იმედი, რომ უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ ახალგაზრდობა დასაქმდება საქართველოში;
- გაიზარდა იმ ახალგაზრდათა რაოდენობა, რომელთაც შეუძლიათ სწავლა განაგრძონ ქართულ ენაზე;
- კანონში შეტანილმა ცვლილებამ, მშობლიურ ენაზე ჩააბარონ ზოგადი უნარების გამოცდა, გააჩინა მეტი მოტივაცია ახალგაზრდებში მიიღონ უმაღლესი განათლება;

⁷⁸საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830%23?publication=75>

- გაიზარდა არაქართულენოვანი მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე კანონში შესული ცვლილების შესახებ;
- არსებობს აბიტურიენტთა წარმატებული მაგალითები, რომლებიც უკვე სწავლობენ საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

2015-2020 წლებში „კვოტირების სისტემის“ ფარგლებში ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში 4511 სტუდენტი ჩაირიცხა. არსებული მონაცემები ცალსახად მიუთითებს ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხულთა ზრდაზე. ეს გახლავთ პოზიტიური ტენდენცია, განსაკუთრებით 2013-2014 წლებთან შედარებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წინა წლებთან შედარებით ორი პოზიტიური ტენდენცია გამოიკვეთა:

1. ზრდა არის მკვეთრი, განსაკუთრებით 2013-2014 წლებთან შედარებით. თუ 2015 წელს კვოტირების სისტემით ჩარიცხულთა რაოდენობა იყო 613, ეს ციფრი 2020 წლისთვის 1191-მდე გაიზარდა;
2. თუ კვოტირების სისტემის შემოღების საწყის ეტაპზე ნაკლები ზრდა ფიქსირდებოდა სომხურენოვან აბიტურიენტებსა და ჩარიცხულ სტუდენტებში, ეს ტენდენცია შეცვლილია და სომხურენოვანი ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა თითქმის 100%-ით გაზრდილია 2015 წლიდან 2020 წლამდე, რაც ცალსახად პოზიტიური ნიშანია და წარმოადგენს შედეგს იმ პროექტებისა, რომლებიც სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურის, არასამათავრობო ორგანიზაციის ძალისხმევით ხორციელდება. უნდა აღვნიშნოთ, რომ 2020 წელს კვლავ შემცირდა სომხურენოვანი აბიტურიენტების რაოდენობა, რაც დამატებითი ძალისხმევის აუცილებლობის მანიშნებელია.

ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი დეტალურ ინფორმაციას იძლევა ჩარიცხულთა ენების რაოდენობის მიხედვით, ასევე ზრდის ტენდენციის შესახებ. გაზრდილია იმ სტუდენტთა რაოდენობა, ვინც ისწავლა ქართული ენის ერთწლიან პროგრამაზე, გამოცდაზე დარეგისტრირებულთა ანუ აპლიკანტთა რაოდენობა, აგრეთვე იმ აბიტურიენტთა რაოდენობა ვინც გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და ჩაირიცხა ქართული ენის ერთწლიან პროგრამაზე (ჩარიცხულთა ნაწილი აღარ აგრძელებს სწავლას ერთწლიან პროგრამაზე სხვადასხვა მიზეზით, მათ შორის ნაწილი აბარებს გამოცდას მხოლოდ გრანტის მოსაპოვებლად).

ცხრილი 33. 2015-2020 წლებში ქართული ენის ერთწლიან პროგრამაზე დარეგისტრირებულთა და სწავლის უფლების მოპოვების მაჩვენებელი

მოიპოვა სწავლის გაგრძელების უფლება ქართულ ენაში მომზადების წელი დარეგისტრირებულები პროგრამაზე		
2015	1608	741

2016	2145	960
2017	2361	1047
2018	2530	1211
2019	2724	1334
2020	2083	1191
სულ:	13451	6484

2015-2020 წლებში ქართული ენის ერთწლიან პროგრამაზე 6484-მა აბიტურიენტმა მოიპოვა სწავლის უფლება, აქედან 4471 აბიტურიენტი აზერბაიჯანულენოვანი და 2002-სომხურენოვანი გახლდათ. 2015-2020 წლებში 11-მა ოსურენოვანმა აბიტურიენტმაც მოიპოვა სწავლის უფლება.

ცხრილი 34. 2015-2020 წლებში ქართული ენის ერთწლიან პროგრამაზე სწავლის უფლების მოპოვების მაჩვენებელი ზოგადი უნარების გამოცდის ენის შესაბამისად

წელი	სომხურენოვანი	აზერბაიჯანულენოვანი	ოსურენოვანი	სულ
2015	219	522		741
2016	300	660		960
2017	373	673	1	1047
2018	422	788	1	1211
2019	436	893	5	1334
2020	252	935	4	1191
სულ	2002	4471	11	6484

2015-2020 წლებში მაღალი იყო არა მხოლოდ ჩარიცხულთა რაოდენობა, არამედ დარეგისტრირებულთა და გამოცდაზე გასულთა რაოდენობაც. თუმცა ყველა დარეგისტრირებულმა სტუდენტმა ვერ შეძლო მისაღებ გამოცდაზე გასვლა საატესტატო გამოცდებში წარუმატებლობის გამო. რომ არა ეს ფაქტორი, შესაძლოა 2015-2020 წლებში ჩარიცხულთა რიცხვი ბევრად მაღალი ყოფილიყო. 2015-2020 წლებში სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი 13451 აბიტურიენტი დარეგისტრირდა კვოტირების სისტემის ფარგლებში, ხოლო სწავლის უფლება მოიპოვა 6484-მა, საბოლოოდ კი ერთწლიან პროგრამაზე ისწავლა 5702-მა სტუდენტმა.

რაც შეეხება უნარების გამოცდაზე ჩაჭრილთა რაოდენობას, ეს მაჩვენებელიც საკმაოდ მაღალია და თუ რაოდენობრივ მონაცემებს პროცენტულ წილში გადავიყვანთ, აღმოჩნდება, რომ 2015-2019 წლებში ზოგადი უნარების გამოცდაზე გასულ აბიტურიენტთა 28.7% ჩაიჭრა. ეს მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალია საქართველოში დაფიქსირებულ საერთო მაჩვენებელთა შედარებით, რომლის მიხედვითაც 2015-2018 წლებში ზოგადი უნარების გამოცდებში აბიტურიენტების საშუალოდ 13.5% ჩაიჭრა.⁷⁹

⁷⁹სსიპ გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის მონაცემები

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2015-2019 წლებში ზღვარგადალახულ აბიტურიენტთა მხოლოდ 82.7%-მა მოიპოვა სწავლის გაგრძელების უფლება, ხოლო სწავლის გაგრძელების უფლებამოპოვებულთაგან მხოლოდ 85.3%-მა გააგრძელა სწავლა და ისწავლა ქართული ენის ერთწლიან პროგრამაზე. საბოლოო ჯამში თუ შევაჯამებთ ჩაბარების მსურველთა რაოდენობიდან მხოლოდ 33.3%-მა ისწავლა რეალურად ქართული ენის ერთწლიან პროგრამაზე, რაც სამომავლოდ გარკვეულ შესაძლებლობებს ქმნის ამ თვალსაზრისით მეტი გაუმჯობესების მიღწევისთვის.

მნიშვნელოვანია გავანალიზოთ სახელმწიფო დაფინანსების პოლიტიკა, არსებული სტატისტიკა და მისი სამართლიანობის საკითხი. „ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამით (1+4 პროგრამა) ჩარიცხულთა საერთო რაოდენობიდან დაფინანსებას იღებს სახელმწიფოსგან მხოლოდ 17.8%. შესაბამისად, საინტერესოა გრანტების გადანაწილება სწავლების ენის მიხედვით, რადგან არსებული პოლიტიკით მთავრობა დაფინანსებას თანაბრად ანაწილებს აზერბაიჯანულ და სომხურენოვან კურსდამთავრებულზე. ეს პრინციპი კი გარკვეულ წილად უსამართლო და უთანასწორო გარემოს ქმნის შემდეგ გარემოებებიდან გამომდინარე:

- აზერბაიჯანულენოვანი სკოლის კურსდამთავრებულთა რაოდენობა თითქმის ორჯერ აჭარბებს სომხურენოვანი სკოლების კურსდამთავრებულებს;
- უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხულ აზერბაიჯანულენოვანთა რაოდენობა ორჯერ და მეტჯერ აღემატება სომხურენოვანებს (4471/2002).

თანაბრად განაწილება იწვევს ისეთ შედეგს, როცა სომხურენოვანი ჩარიცხული სტუდენტების 26.75% იღებს სახელმწიფო გრანტს, ხოლო აზერბაიჯანულენოვანებში ის მხოლოდ 13.1%-ია. შესაბამისად, ამ უსამართლობის აღმოსაფხვრელად უპრიანი იქნება სახელმწიფოს დაფინანსების გადანაწილება რაოდენობის პროპორციულად. ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში დეტალურად არის მოცემული ინფორმაცია სწავლების ენის მიხედვით დაფინანსების შესახებ:

ცხრილი 35. სწავლების ენის მიხედვით დაფინანსება 2015-2020 წლებში

დაფინანსება			
	ჩაირიცხა	მოიპოვა დაფინანსება	% შეფარდება
სომხურენოვანი	2002	568	28.4%
აზერბაიჯანულენოვანი	4471	565	12.6 %
ოსურენოვანი	11	10	91%
სულ	6484	1143	17.6%

განსხვავება დაფინანსებაში ფიქსირდება არა მხოლოდ პროცენტულ მაჩვენებელში, არამედ მისაღებ გამოცდებში დაფინანსების მისაღებად საჭირო სკალირებულ ქულებშიც.⁸⁰ აზერბაიჯანულენოვანი აბიტურიენტებს სჭირდება უფრო მაღალი ქულა გრანტის მოსაპოვებლად, ვიდრე სომხურენოვან აბიტურიენტებს.

ცხრილი 36. გრანტის მოსაპოვებლად საჭირო სკალირებული ქულა 2010-2019 წლებში

წელი	საშუალო ქულა უნარებში (სომხურენოვანი)	საშუალო ქულა უნარებში (აზერბაიჯანულენოვანი)	საშუალო ქულა გრანტის მოსაპოვებლად (სომხურენოვანი)	საშუალო ქულა გრანტის მოსაპოვებლად (აზერბაიჯანულენოვანი)
2010	140.3 სკალირებული	139.7 სკალირებული	141.1 სკალირებული	144.1 სკალირებული
2011	140.3 სკალირებული	154.3 სკალირებული	145.4 სკალირებული	157.4 სკალირებული
2012	141.9 სკალირებული	142 სკალირებული	148.1 სკალირებული	153.8 სკალირებული
2013	144.9 სკალირებული	141.6 სკალირებული	152.1 სკალირებული	156.9 სკალირებული
2014	144.1 სკალირებული	142.7 სკალირებული	152.2 სკალირებული	154.9 სკალირებული
2015	143.9 სკალირებული	142.6 სკალირებული	150.5 სკალირებული	155.6 სკალირებული

⁸⁰ტაბატაძე, შ., გორგაძე, ნ., გაბუნია, ვ (2020) საშელავათო პოლიტიკის ეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში 2010-2019. სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი.

2016	147 სკალირებული	144.7 სკალირებული	157.6 სკალირებული	159.8 სკალირებული
2017	145.8 სკალირებული	143.7 სკალირებული	157.8 სკალირებული	158.3 სკალირებული
2018	146.1 სკალირებული	146.3 სკალირებული	160.7 სკალირებული	163.3 სკალირებული
2019	147.7 (სკალირებული)	149.5 (სკალირებული)	161.4 (სკალირებული)	165.1 (სკალირებული)

წყარო: ტაბატაძე, გორგაძე, გაბუნია, 2020, გვ. 48-49⁸¹.

განათლების ხარისხის თვალსაზრისით არსებული ვითარების გასააზრებლად, მნიშვნელოვანია ზოგადი უნარების ტესტის მაჩვენებლების შედარება ტესტის ენის მიხედვით. 2015-2018 წლების შედეგებს თუ გავანალიზებთ, ცხადია, რომ ქართულ და რუსულენოვანი სკოლების აბიტურიენტებს უფრო მაღალი შედეგები აქვთ ზოგადი უნარების ტესტში (38-დან 41 ქულამდე), ვიდრე სომხურ და აზერბაიჯანულენოვან აბიტურიენტებს (27 დან 32 ქულამდე). უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს მნიშვნელოვანი განსხვავება საინტერესოა ორი თვალსაზრისით:

1. აღნიშნული დისპროპორცია ნაწილობრივ ხაზს უსვამს განათლების ხარისხს შორის არსებულ განსხვავებას;
2. წარმოდგენილი მონაცემით ცალსახაა, რომ კვოტირების სისტემის გაუქმების პირობებში სომხურ და აზერბაიჯანულენოვანი აბიტურიენტები არაკონკურენტუნარიანნი იქნებიან ქართულ და რუსულენოვანი სკოლების კურსდამთავრებულებთან შედარებით და ამის განმაპირობებელი არამხოლოდ სახელმწიფო ენის ცოდნის კუთხით არსებული განსხვავებაა.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მთელი საქართველოს მასშტაბითაც მკვეთრი განსხვავებაა უნარების ტესტის შედეგებში ქალაქისა და სოფლის აბიტურიენტებს შორის. თუ გავითვალისწინებთ, რომ სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი სკოლების 90%-ზე მეტი წარმოდგენილია სწორედ სოფლებსა და მაღალმთიან რეგიონებში, შეგვიძლია, მარტივად ავხსნათ არსებული დისბალანსი, თუმცა ეს ვერ წყვეტს სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი აბიტურიენტების კონკურენტუნარიანობის გაზრდის საკითხს.

⁸¹ტაბატაძე, შ., გორგაძე, ნ., გაბუნია, ვ (2020) საშეღავათო პოლიტიკის ეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში 2010-2019. სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი

ცხრილი 37. ზოგადი უნარების საშუალო ქულა წლებისა და ტესტის ენის მიხედვით

წელი	ქართულენოვანი	რუსულენოვანი	სომხურენოვანი	აზერბაიჯანულენოვანი
2015	39.594676	41.074020	28.638676	27.525450
2016	38.561704	38.402685	31.586873	27.923746
2017	39.911807	41.782924	31.965928	28.012873
2018	41.080876	40.832232	32.729964	30.529214

თუმცა ამ თვალსაზრისით ქ. თბილისის მონაცემები იძლევა კარგი შედეგების საშუალებას, ანუ მხოლოდ ქალაქისა და სოფლის ფაქტორი რამდენად განაპირობებს არსებულ დისპროპორციას ტესტირების შედეგებში ენის მიხედვით. თუკი თბილისის მონაცემებს ვნახავთ, მიუხედავად ერთგვარი დასახლების ტიპისა, შედეგებში მკვეთრი განსხვავებაა ტესტირების ენის მიხედვით. ქართულენოვანი აბიტურიენტების ტესტირების ქულა 42-45 შორისაა, რუსულენოვანი - 40-43 შორის, სომხურენოვანი - 29-34, ხოლო აზერბაიჯანულენოვანი - 25-30-ს შორის. თბილისის მონაცემები დეტალურადაა წარმოდგენილი ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

ცხრილი 38. თბილისში ზოგადი უნარების საშუალო ქულა წლებისა და ტესტის ენის მიხედვით

წელი	ქართულენოვანი	რუსულენოვანი	სომხურენოვანი	აზერბაიჯანულენოვანი
2015	43.782960	42.174939	29.160000	28.205714
2016	42.674757	40.101094	30.829411	25.000000
2017	44.383771	43.117255	34.409090	27.511875
2018	45.455093	42.144908	31.600000	30.255526

ქ. თბილისის მასშტაბით სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი ტესტის ჩამბარებელთა დაბალი შედეგი შესაძლოა გამოწვეული იყოს იმ ფაქტორით, რომ ამ სკოლების კურსდამთავრებულთა ნაწილი (რომელთაც პოტენციურად შეუძლიათ მაღალი შედეგების ჩვენება) უნარებს და სხვა ტესტებსაც აბარებდნენ ქართულ ენაზე და მისაღები გამოცდების კონკურსს ჩვეულებრივი პირობებით გადიოდნენ. შესაბამისად, ეს საკითხი დამატებით შესწავლას საჭიროებს. შესაძლოა, ეს სტუდენტები არ სარგებლობდნენ კვოტირების სისტემით ქართული ენის პროგრამის სავალდებულოების გამო, მიუხედავად ენის ცოდნისა. მიუხედავად იმისა თუ რა დონეზე ფლობს სახელმწიფო ენას ჩარიცხული სტუდენტი, ის მაინც გადის ერთწლიან ქართული ენის პროგრამას და სახელმწიფო ხარჯავს არსებულ მწირ რესურსს, ხოლო სტუდენტი კარგავს მნიშვნელოვან ერთ წელს. ამ თვალსაზრისით პროგრამა მოუქნელია და ვერ უზრუნველყოფს არსებული ენის ფლობის შესაბამისად პროგრამაზე ჩარიცხვას და შესაბამის მოქნილ და ინდივიდუალურ საჭიროებებზე დაფუძნებულ კურსებს.

2020 წელს სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების ცენტრის მიერ ჩატარდა კვლევების სისტემის კვლევა⁸². აღნიშნული კვლევა სხვადასხვა მიმართულებით არსებულ პრობლემებს უსვამს ხაზს, კერძოდ:

- ერთწლიანი პროგრამის უნივერსალურობა და სტუდენტთა განსხვავებული საჭიროებების ვერ ასახვა არსებული სისტემის პირობებში;
- ენის ცოდნის და საბაკალავრო დონეზე საჭირო ენობრივი კომპეტენციის შეფასების სისტემის არარსებობა;
- პროფესორ-მასწავლებელთა კვალიფიკაცია და მათ მიერ დაბალ სააზროვნო უნარებზე ორიენტირება ერთწლიანი პროგრამის სწავლებისას;
- ზოგადი განათლების საფეხურზე არსებული პრობლემების გავლენა ერთწლიან პროგრამასა და საბაკალავრო საფეხურზე სწავლისას შექმნილ აკადემიურ პრობლემებზე;
- საბაკალავრო დონეზე უნივერსიტეტების მიტოვების მაღალი მაჩვენებელი ენობრივი პრობლემების, აკადემიური ჩამორჩენის, ადრეული ქორწინებისა თუ იმიგრაციის პრობლემების გამო;
- საუნივერსიტეტო დონეზე აკადემიური მხარდაჭერისა და სოციალური ინტეგრაციის შესაძლებლობების დეფიციტი;
- საბაკალავრო საფეხურზე ერთწლიანი პროგრამის სტუდენტებისთვის სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროგრამების შესახებ პოლიტიკის გაუვრცელებლობა და მათი დისკრიმინაციულ მდგომარეობაში ჩაყენება;
- ბაკალავრიატის შემდგომ დასაქმებასთან და საზოგადოებაში ინტეგრაციასთან დაკავშირებული პრობლემატიკა;
- კვლევების სისტემის არაეფექტურად გამოყენება საზოგადოების ინტეგრაციის პოლიტიკისთვის, სკოლების რეფორმირების, საჯარო სამსახურის რეფორმის, კერძო სექტორისა და კერძო ინიციატივების წახალისების კონტექსტში და ა.შ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევით არაერთი მნიშვნელოვანი ინიციატივა განხორციელდა „1+4“ პროგრამის კურსდამთავრებულთა სტუდენტური, სოციალური თუ აკადემიური ინტეგრაციისთვის. ამ კონტექსტში აღსანიშნავია საქართველოს გაეროს ასოციაციის მიერ დაფინანსებული ახალგაზრდული ცენტრებისა და „1+4“ პროგრამის განმახორციელებელი უნივერსიტეტების ქსელის საქმიანობა და ამ საქმიანობის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები და შექმნილი რესურსები.

ყველა ეს მნიშვნელოვანი საკითხი აქტუალურია, თუმცა 2015-2020 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში არ იქნა გათვალისწინებული. განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხრიდან ანალიზსა და კვლევაზე დაფუძნებული ინტერვენციები პოლიტიკისა და პროგრამის ეფექტურობის გაზრდის მიზნით ნაკლებად განხორციელდა. ამავდროულად, არსებული კვლევები და სტატისტიკური მონაცემების ანალიზი იძლევა შესაძლებლობას დაიგეგმოს და განხორციელდეს შესაბამისი საგანმანათლებლო ღონისძიებები. თუმცა, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და

⁸² ტაბატაძე, შ., გორგაძე, ნ., გაბუნია, ვ (2020) საშეღვათო პოლიტიკის ეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში 2010-2019. სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების ცენტრი

სპორტის სამინისტროს მხრიდან ანალიზსა და კვლევაზე დაფუძნებული ინტერვენციები პოლიტიკისა და პროგრამის ეფექტურობის გაზრდის მიზნით არ განხორციელებულა.

შუალედური მიზანი 3.4 პროფესიული და ზრდასრულთა განათლების უზრუნველყოფა

ამოცანა 3.4.1. პროფესიულ სასწავლებლებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მონაწილეობის გაუმჯობესება, აგრეთვე ზრდასრული მოსახლეობისათვის სახელმწიფო ენის სწავლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

პროფესიული და ზრდასრულთა განათლების უზრუნველყოფა წარმოადგენს სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის პრიორიტეტულ კომპონენტს. ამ მიმართულებით სამოქმედო გეგმის მიხედვით პასუხისმგებელი აქტორია სსიპ ზურაბ ჭვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა, რომელიც ახორციელებს საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარებისა და სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამებს, რაც ეფუძნება არსებულ საჭიროებებს. ზურაბ ჭვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის მიზანია საჯარო სამსახურში კვალიფიციური კადრების დეფიციტის დაძლევა საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების გზით; ასევე საქართველოს მაღალმთიან და ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მცხოვრებ მოქალაქეთა ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში ინტეგრაცია. სტრატეგიის განხორციელების განმავლობაში განვითარდა პროგრამები და ახალი სასწავლო სატრენინგო კურსები შეიქმნა. კერძოდ:

„საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების პროგრამა“

სკოლის მიერ შემუშავდა და განხორციელდა ახალი დარგობრივი კურსები – საზოგადოებასთან ურთიერთობა და კომუნიკაცია, ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური უზრუნველყოფა და მართვა, „გენდერული ბიუჯეტირება“;

- თითოეული კურსის (საჯარო ორგანიზაციების მართვა; ფინანსური მენეჯმენტი და შიდა აუდიტი საჯარო მოხელეთათვის; სახელმწიფო შესყიდვები; ადამიანური რესურსების მართვა და საქმისწარმოება საჯარო სექტორში, საზოგადოებასთან ურთიერთობა და კომუნიკაცია) მოდულების ეფექტურად ჩასატარებლად ჩამოყალიბდა მოწვეული სტუმრის რუბრიკა (მოწვეული სტუმრის სტატუსით სარგებლობენ კონკრეტულ დარგში წარმატებული და გამოცდილი ადამიანები);
- მომზადდა და დაიბეჭდა სასწავლო სახელმძღვანელოები თითოეული კურსისთვის;
- განახლდა და სასწავლო პროცესების მართვის საბჭოს მიერ დამტკიცდა მსმენელთა შეფასების ახალი სისტემა, რომლის მიხედვითაც გაიზარდა სერტიფიკატის მიღებისათვის საჭირო ქულების რაოდენობა;

- SDC ჯგუფთან თანამშრომლობის შედეგად შემუშავდა და მომზადდა საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების პროგრამით სწავლების ორგანიზების პროცედურა;
- ჩატარდა კვლევა კომპიუტერული ტექნოლოგიების შემსწავლელი საბაზისო პროგრამის შექმნის საჭიროებათა დასადგენად, რომლის ფარგლებშიც მოძიებული იქნა ინფორმაცია რეგიონებში მსგავსი კურსების არსებობის შესახებ, საჯარო მოხელეების დაინტერესების მაჩვენებლის დასადგენად, აგრეთვე კომპიუტერული წიგნიერების დონის განსასაზღვრად;
- შემუშავდა კომპიუტერული ტექნოლოგიების შემსწავლელი საბაზისო პროგრამა, რომელიც განხორციელდა ოთხ რეგიონულ სასწავლო ცენტრში (ახალქალაქი, მარნეული, გარდაბანი და დმანისი);
- სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობითა და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთან პარტნიორობით სკოლამ განახორციელა საპილოტე პროგრამა – „საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის (E-document) ოპერირების სასწავლო კურსი“, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა მუნიციპალიტეტებში დასაქმებული ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეები;
- საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების პროგრამის ფარგლებში გადამზადდა 2482 საჯარო მოსამსახურე;
- კომპიუტერული ტექნოლოგიების შემსწავლელი საბაზისო პროგრამის ფარგლებში გადამზადდა რამდენიმე ასეული საჯარო მოსამსახურე;
- შემუშავდა ახალი ტრენინგურსი „საქართველო და ევროატლანტიკური ინტეგრაცია“, რომელიც ჩატარდა 3 რეგიონში: სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი და კახეთი; მონაწილეობა მიიღო 201-მა მსმენელმა (სამცხე-ჯავახეთის რეგიონი - 60 მონაწილე, ქვემო ქართლის რეგიონი 107 მონაწილე, კახეთი-34 მონაწილე);
- შემუშავდა და სსიპ ვანო ხუბუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემისა და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრში დარეგისტრირდა 16 მოკლევადიანი სასწავლო კურსი;
- საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით განხორციელდა შემდეგი კურსები: „საჯარო პოლიტიკის საუკეთესო პრაქტიკა“ (პოლონეთის ლ. კაჩინსკის სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების ეროვნული სკოლა - KSAP); „ადრეული და სკოლამდელი განათლების სისტემის ხელშეწყობა და ადამიანური კაპიტალის განვითარება მუნიციპალიტეტების შესაძლებლობების განვითარების გზით ადრეული და სკოლამდელი განათლების კანონისა და სახელმწიფო სტანდარტების განხორციელების მხარდასაჭერად“ (გაეროს ბავშვთა ფონდი -საქართველო); „ევროატლანტიკური ინტეგრაცია“ (ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრი); „გენდერული თანასწორობა“ (გაეროს მოსახლეობის ფონდი და ორგანიზაცია „We Care“);
- 2019 წელს სკოლამ „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო“ და სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან

თანამშრომლობის ფარგლებში შეიმუშავა სატრენინგო პროგრამა „საქართველოს საჯარო სკოლების ოპერირებისა და მოვლა-პატრონობა“. აღნიშნული პროგრამით ისარგებლა საჯარო სკოლების, რესურსცენტრებისა და მუნიციპალიტეტის მერიის 283-მა წარმომადგენელმა;

- 2019 წელს სსიპ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლამ მიიღო აკრედიტაცია ორ საბაზისო პროგრამაზე „მოხელის მენეჯერული უნარები“ და „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარება“, რომლებიც ეფუძნება საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. აღნიშნული პროგრამებით ისარგებლა საქართველოს 22 მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულების 219-მა თანამშრომელმა.

სახელმწიფო ენის ცოდნის დონის გაუმჯობესების მიმართულებით შემუშავებულმა მიდგომამ კომპლექსური ხასიათი მიიღო როგორც მეთოდოლოგიური, ისე აქტორების ჩართულობის თვალსაზრისით. გაფართოვდა ბენეფიციართა სეგმენტი და ქართული ენის სწავლების პროგრამები და კურსები სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისთვის გახდა ხელმისაწვდომი.

სახელმწიფო ენის სწავლების თვალსაზრისით ზურაბ ჟვანიას სახელობის სკოლა აგრძელებდა კურსების შეთავაზებას, როგორც ქ. ქუთაისში, ისე რეგიონული სასწავლო ცენტრების მეშვეობით. მხოლოდ 2018 წლის განმავლობაში სკოლის 10 რეგიონულ სასწავლო ცენტრში განხორციელდა სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ქართული ენის A1, A2, B1 დონის კურსებით ისარგებლა ეთნიკური უმცირესობების 3400-მა წარმომადგენელმა, შეიქმნა 246 სასწავლო ჯგუფი, მათგან 171 - მობილური ჯგუფი ადგილზე ემსახურებოდა ბენეფიციარებს 10 ქალაქსა და 67 სოფელში.

აღსანიშნავია, რომ 2018 წლის სექტემბრიდან ჟვანიას სახელობის სკოლამ სახელმწიფო ენის კურსების განხორციელება დაიწყო შეიარაღებულ ძალებში სავალდებულო სამხედრო სამსახურში მომსახურე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის სავალდებულო საწვრთნელ ბაზებზე.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით 2017-2018 წლებში, ქართული ენის შემსწავლელი კურსები გაიხსნა ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმინდა ეკლესიის ეპარქიაშიც სასულიერო პირებისთვის (მათივე მოთხოვნის საფუძველზე), რამაც მნიშვნელოვანი ეფექტი მოახდინა ადგილობრივი მოსახლეობის მოტივაციაზე.

2016-2018 წლებში პროგრამის ფარგლებში მომზადდა 16 პროფესიის დარგობრივი მიმართულების სახელმძღვანელო („მენეჯმენტი“, „სამოქალაქო განათლება“, „ინფრასტრუქტურა“, „მეცხოველეობა“, „სასურსათო ტექნოლოგიები“, „საექთნო საქმე“, „ფინანსები და შესყიდვები“, „მშენებლობა“, „დამხმარე კურსი პედაგოგებისათვის“ (A2+ და B1+), „სამართალი“, „ტრანსპორტი“, „ელექტრობა“, „ტურიზმი“), რომელთა საშუალებით ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს შეუძლიათ კონკრეტული მიმართულებით სწავლა-სწავლებისთვის საჭირო ლექსიკისა და გრამატიკული კონსტრუქციების შესწავლა და პროფესიული უნარების შექმნა. აღნიშნული კურსებით ისარგებლა 499-მა ბენეფიციარმა; სახელმძღვანელოებს წარმატებით იყენებენ უნივერსიტეტები „1+4 პროგრამის“ ფარგლებში.

რაც შეეხება 2019 წელს, ამავე მიმართულებით განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის ფარგლებში მომზადდა სახელმძღვანელო „საკომუნიკაციო ქართული“;
- სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამით სკოლის 10 რეგიონულ სასწავლო ცენტრში, რომლებიც მდებარეობს საქართველოს სამ რეგიონში: ქვემო-ქართლი, სამცხე-ჯავახეთი და კახეთი, სწავლა დაასრულა 2018 წელს ჩარიცხულმა (84 ჯგუფი) ეთნიკური უმცირესობის 1342-მა და 2019 წელს ჩარიცხულმა (162 ჯგუფი) 2206-მა წარმომადგენელმა;
- დაკომპლექტდა 276 სასწავლო ჯგუფი, მათგან 207 მობილური ჯგუფი შედგა 4 ქალაქში, 66 სოფელსა და 7 სამხედრო ბაზაზე. ჩაირიცხა ეთნიკური უმცირესობის 3545 წარმომადგენელი;
- სკოლამ სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამა განახორციელა საველე-საწვრთნელ ბაზებზე საქართველოს შეიარაღებულ ძალებში სავალდებულო სამხედრო სამსახურში მომსახურე ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებისთვის, ენის ფლობის A1 დონის პროგრამით ისარგებლა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელმა 541-მა რეკრუტმა;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივითა და ძალისხმევით პროგრამაში აქტიურად ჩაერთნენ ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტების შინაგან საქმეთა ორგანოებში დასაქმებული პირები, სულ გადამზადდა 24 პოლიციელი;
- სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსთან თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, ეთნიკური უმცირესობის 84 სასულიერო პირისგან 4 რეგიონულ სასწავლო ცენტრსა და თბილისში დაკომპლექტდა 7 სასწავლო ჯგუფი, რომლებიც ეუფლებოდნენ სახელმწიფო ენას A1 დონეზე;
- სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების გაცნობის, პედაგოგთათვის ტრენინგის ჩატარებისა და პედაგოგთა შეფასების მიზნით გაიმართა 2-დღიანი სამუშაო შეხვედრა ქუთაისში 60 პედაგოგისა და 10 ადმინისტრატორის მონაწილეობით;
- ქ. თბილისის საკრებულოსთან არსებულ „მეგობრობის სახლთან“ თანამშრომლობით, პროექტის „ვისწავლოთ ქართული“ ფარგლებში, თბილისში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის 44 წარმომადგენლისაგან დაკომპლექტდა სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამის 3 მობილური ჯგუფი.

2020 წელს გაგრძელდა ამ მიმართულებით საქმიანობა, თუმცა კოვიდ პანდემიამ შეცვალა პროგრამების განხორციელება და დისტანციურ სწავლებას მიენიჭა უპირატესობა:

- სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამით სკოლის 10 რეგიონულ სასწავლო ცენტრში (ქვემო-ქართლი, სამცხე-ჯავახეთი და კახეთი) სწავლა დაასრულა 2019 წელს ჩარიცხულმა (68 ჯგუფი) 842-მა წარმომადგენელმა და 2020 წელს ჩარიცხულმა (38 ჯგუფი) ეთნიკური უმცირესობის 504-მა წარმომადგენელმა;
- სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის დასრულებასთან დაკავშირებით 4 რეგიონულ სასწავლო ცენტრსა და 5 სამხედრო ბაზაზე ჩატარდა საბოლოო გამოცდა

(ტესტირება-გასაუბრება), რომელსაც ესწრებოდნენ სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის წარმომადგენლები და გამომცდელები;

- პროგრამა განხორციელდა საველე-საწვრთნელ ბაზებზე საქართველოს შეიარაღებულ ძალებში სავალდებულო სამხედრო სამსახურში მომსახურე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის, რომლებმაც გაიარეს საწყისი საბრძოლო მომზადება. ალგეთის, ვარციხის, ვაზიანის, ორხევის, ახალქალაქის, ახალციხისა და კრწანისის სამხედრო ბაზებზე ენის ფლობის A1 დონის პროგრამით ისარგებლა ეთნიკური უმცირესობის 238-მა წარმომადგენელმა რეკრუტმა. კოვიდ-19-ის გავრცელების პრევენციის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების გამო 17 ჯგუფიდან სასწავლო პროცესი შეჩერდა 7 ჯგუფთან;
- სახელმწიფო ენას A1 დონეზე დაეუფლა/ეუფლება უცხო ქვეყნის 32 მოქალაქე, რომელთაც მინიჭებული აქვთ საქართველოს ტერიტორიაზე ლეგალურად ცხოვრების უფლება;
- დაკომპლექტდა 159 სასწავლო ჯგუფი, მათგან 44 - მობილური ჯგუფი შედგა 2 ქალაქში, 14 სოფელსა და 7 სამხედრო ბაზაზე, 13 ცენტრის და 102 დისტანციური სწავლების ჯგუფი. სულ 2020 წელს ჩაირიცხა - ეთნიკური უმცირესობების 2059 წარმომადგენელი;
- ქვეყანაში ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით, სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამაში განხორციელდა ელექტრონული სწავლების კომპონენტის გამოყენება, შესაბამისად, მოქმედი ჯგუფების ნაწილი, 79 ჯგუფის 890 ბენეფიციარი, გადავიდა ელექტრონული სწავლების ფორმატზე, მათგან სწავლა დაასრულა 64-მა ჯგუფმა;
- ჩატარდა სამუშაოები ელექტრონულ სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით: დაკომპლექტდა ჯგუფები მაიკროსოფტ თიმისის პლატფორმაზე, მომზადდა/მიმდინარეობს მუშაობა დამატებითი რესურსების შექმნასა (ქვიზები, მოსასმენი დავალებები, ტესტები) და საბოლოო ტესტირებების ელექტრონულ რეჟიმში გადაყვანაზე;
- სკოლის ადმინისტრაციასა და პროგრამების ტრენერებს ჩაუტარდათ TOT ელექტრონული სწავლების ეფექტურად განხორციელების მიზნით;
- მომზადდა ელექტრონული რეგისტრაციისთვის პლატფორმა, გამოიყენენ პასუხისმგებელი პირები, რომელთა დახმარებით ბენეფიციარებს შეუძლიათ სახლიდან გაუსვლელად დარეგისტრირდნენ და ჩაერთონ ონლაინ სწავლებაში;
- გარდა სტანდარტული პროგრამებისა, როგორცაა A1, A2 და B1 დონეები, განხორციელდა დარგობრივი მიმართულების პროგრამები 14 სხვადასხვა მიმართულებით. ტურიზმის, საექთნო საქმის, სამოქალაქო განათლებისა და მენეჯმენტის კურსებით ისარგებლა 8 ჯგუფის 90-მა ბენეფიციარმა.

2015-2020 წლებში სახელმწიფო ენის კურსები გაიარა 16 000-ზე მეტმა მოქალაქემ. დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია 39-ე ცხრილში.

ცხრილი 39

სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამა 2015-2020 წწ.			
№	რეგიონი		ჩარიცხული მსმენელები

		რეგიონული სასწავლო ცენტრი	2015	2016	2017	2018	2019	2020	ჯამი:
1	სამცხე-ჯავახეთი	ახალქალაქი	465	917	788	877	616	399	4062
2		ნინოწმინდა	160	383	404	406	502	205	2060
3		ახალციხე	-	161	164	210	158	194	887
4	ქვემო ქართლი	ბოლნისი	61	210	165	126	128	77	767
5		გარდაბანი	117	224	238	267	81	194	1121
6		დმანისი	90	164	205	192	203	48	902
7		მარნეული	233	536	534	544	514	372	2733
8		წალკა	76	131	60	54	111	54	486
9	კახეთი	საგარეჯო	67	141	171	109	114	7	609
10		ლაგოდეხი	-	267	326	152	226	42	1013
11		ახმეტა	-	59	52	25	115	16	267
ქუთაისი			-	-	40	59	10	14	123
WV-ის პროექტი			-	-	-	-	122	43	165
ქ. თბილისი			-	-	100	80	104	123	407
სამხედრო ბაზები									
ხცისი			-	-	-	138	35	-	173
ოსიაური			-	-	-	90	109	-	199
ალგეთი			-	-	-	71	171	29	271
ვაზიანი			-	-	-	-	52	49	101
კოჯორი			-	-	-	-	131	-	131
ორხევი			-	-	-	-	32	52	84
ვარციხე			-	-	-	-	11	53	64
ახალციხე			-	-	-	-	-	32	32
კრწანისი			-	-	-	-	-	23	23

ახალქალაქი	-	-	-	-	-	33	33
ჯამი	1269	3193	3247	3400	3545	2059	16713

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს 2016 წლიდან აქვთ შესაძლებლობა სომხურ, რუსულ ან აზერბაიჯანულ ენაზე ჩააბარონ პროფესიული ტესტირება და სახელმწიფო დაფინანსებით ჩაირიცხონ პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ჩარიცხვის შემდეგ, პროფესიის დაუფლებამდე ისინი სწავლობენ ქართული ენის მოდულს.

არაქართულენოვანი ტესტირების საფუძველზე პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2016 წელს ჩაირიცხა 15, 2017 წელს - 37, 2018 წელს - 59, ხოლო 2019 წელს 212-მა პირმა გამოთქვა სურვილი პროფესიული ტესტირება გაიაროს სომხურ, რუსულ ან აზერბაიჯანულ ენებზე, რომელთაგანაც 76 პირი ჩაირიცხა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ დაწესებულებაში და ჩაერთო ქართული ენის მოდულის სწავლებაში. 2020 წელს კი, სომხურ, რუსულ ან აზერბაიჯანულ ენაზე ჩატარებული პროფესიული ტესტირების/კონკურსის/შერჩევის გავლის გზით სწავლის უფლება მოიპოვა 227-მა აპლიკანტმა.

აღსანიშნავია, რომ ჩარიცხვის მეტი მოქნილობის უზრუნველსაყოფად 2020 წელს გაუქმდა ცენტრალიზებული ტესტირება იმ პროგრამებზე, რომლებზეც არ დაფიქსირდა კონკურსი. ასეთ პროგრამებზე აპლიკანტებმა გაიარეს მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულებების შიდა შესარჩევი პროცედურები. ხოლო დუალურ პროგრამებზე სწავლის უფლების მოპოვების მიზნით აპლიკანტები გადიან დამსაქმებლის მიერ ორგანიზებულ კონკურსს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმისაწვდომობისა და მათზე დარეგისტრირების შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით, პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის წარმომადგენლები და ცალკეული კოლეჯები ახორციელებდნენ საინფორმაციო შეხვედრებსა და ვებინარებს.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, 2017 წელს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ შრომაში განხორციელდა სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „აისი“ ფილიალის რეაბილიტაცია. ფილიალში სტუდენტების მიღება დაიწყო 2017 წლის საშემოდგომო მიღებიდან. 2020 წელს მარნეულში დასრულდა სსიპ კოლეჯის "მოდუსი" ფილიალის მშენებლობა და აღჭურვა, რომელიც მსურველებს შესთავაზებს როგორც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, ასევე პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამებს. ასევე, ახალქალაქში 2020 წლიდან შექმნილია პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობა. სამინისტროს მხარდაჭერით განხორციელდა სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალქალაქის განყოფილების/ფილიალის სრული რეაბილიტაცია, რის შემდეგაც უნივერსიტეტმა მოიპოვა ავტორიზაცია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე. შედეგად რეგიონში დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ეძლევათ მიიღონ პროფესიული განათლება.

შეჯამების სახით უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკისა და 2015-2020 წლების სამოქმედო გეგმის განათლების

კომპონენტთან მიმართებით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ განაგრძო წინა პერიოდში დაგეგმილი პროგრამების განხორციელება. აქვე აღსანიშნავია, რომ სტრატეგიაში განსაზღვრული სარეფორმო ნაბიჯების უმრავლესობა განუხორციელებელი დარჩა. სამინისტროს მიდგომებში ნაკლებად იკვეთება რეალური რეფორმებისა და ცვლილებებისკენ გადადგმული ნაბიჯები. განხორციელებული საქმიანობის შეფასებამ გარკვეული მიმართულებების შეცვლის, გაძლიერების ან გადახედვის აუცილებლობა გამოავლინა. გამოწვევები, რომლებიც 2015 წლამდე არსებობდა, დიდწილად უცვლელი და მოუგვარებელი რჩება და საჭიროებს კონკრეტული ღონისძიებების გატარებას.

სტრატეგიული მიზანი 4 - ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის შენარჩუნება და ტოლერანტული გარემოს წახალისება

შუალედური მიზანი 4.1 კულტურის პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში ეთნიკური უმცირესობების როლისა და მნიშვნელობის ასახვა

ამოცანა 4.1.1 ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის შენარჩუნებისაკენ მიმართული საქმიანობის გაუმჯობესება; კოორდინაციის უზრუნველყოფა რეგიონულ და ადგილობრივ ერთეულებთან

ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის დაცვა და ტოლერანტული გარემოს შექმნა სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. სტრატეგია ითვალისწინებს ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის თვითმყოფადობის შემადგენელი ისეთი ელემენტების დაცვას და განვითარებას როგორებიცაა - ენა, ტრადიციები და სხვა. უფრო კონკრეტულად, სტრატეგია შემდეგი მიზნების მიღწევას ითვალისწინებს: კულტურის პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელებისას ეთნიკურ უმცირესობათა როლისა და მნიშვნელობის ასახვა; ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და პოპულარიზაცია; კულტურული მრავალფეროვნების წახალისება.

ზემოაღნიშნული შუალედური მიზანი გულისხმობს ეთნიკურ უმცირესობათა მატერიალური და არამატერიალური კულტურული ფასეულობების დაცვასა და განვითარების ხელშეწყობას. კერძოდ, გათვალისწინებულია ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული ძეგლების აღრიცხვისა და ინვენტარიზაციის გაგრძელება, ძეგლების გამაგრება და რესტავრაცია, ასევე თეატრებისა და მუზეუმების საქმიანობის მხარდაჭერა, ბიბლიოთეკების, როგორც ტოლერანტობის, ინტერკულტურულ-საგანმანათლებლო საინტეგრაციო ინსტრუმენტის, გამოყენება. კულტურული მრავალფეროვნება აგრეთვე მოიცავს ქართული კულტურის უკეთ გაცნობას ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლების, განსაკუთრებით ახალგაზრდების მიერ.

კულტურის მიმართულებით სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს გამოწვევას წარმოადგენს ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და ამავე დროს აღნიშნული

მემკვიდრეობის სრული ინტეგრირება ზოგად ქართულ კულტურულ სივრცეში. აღნიშნული სტრატეგიული და შუალედური მიზნებისა და ამოცანების შესრულებაზე მთავარი პასუხისმგებელი უწყება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო. სამინისტრო მთელი რიგ პროექტებს აფინანსებს და ახორციელებს, რომლებიც მიმართულია ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და პოპულარიზაციისკენ.

ასევე, მნიშვნელოვან ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს 2016 წლის 1 ივლისს საქართველოს მთავრობის მიერ „კულტურის სტრატეგია 2025-ის“ დამტკიცება. სტრატეგია ინიცირებული იყო საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ, თუმცა საკონსულტაციო პროცესში ჩართულები იყვნენ საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტი, მათ შორის ეთნიკურ უმცირესობათა თემებისა და მათი კულტურული უფლებების დამცველი საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში მცხოვრები ეთნიკურად და რელიგიურად განსხვავებული ჯგუფების კულტურული მემკვიდრეობა აღიარებულია ზოგადქართულ კულტურულ მონაპოვრად. სტრატეგიის დოკუმენტით კი, სახელმწიფო იღებს ვალდებულებას ხელი შეუწყოს და განავითაროს ყველა განსხვავებული ჯგუფისა, თუ ეთნიკური უმცირესობის კულტურული მემკვიდრეობა. ეს გამოხატულია კიდევ სტრატეგიის ერთ-ერთ მიზანში, რომლის მიხედვითაც კულტურული მრავალფეროვნება სხვადასხვა კულტურის შეუზღუდავი თვითგამოხატვა და ურთიერთქმედება ამდიდრებს სახელმწიფოს და ხელს უწყობს საზოგადოების განვითარებას.

შუალედური მიზანი 4.2 ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და პოპულარიზაცია

კულტურის პოლიტიკისათვის ძირითადი საკითხების განსაზღვრისა და ხელისუფლების მიერ კულტურული მრავალფეროვნების კონცეპტუალური გააზრების გარდა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ დააფინანსა და განახორციელა მთელი რიგი პროექტები, რომლებიც მიმართულია ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და პოპულარიზაციისკენ. კულტურის სტრატეგიის დოკუმენტში ძირითადი აქცენტი გაკეთებულია ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული დაწესებულებების დაფინანსებასა და მხარდაჭერაზე.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის თვალსაზრისით, უკანასკნელ პერიოდში აღსანიშნავია თბილისის ნორაშენის სომხური ეკლესიის რეაბილიტაციის პროექტის მომზადება, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კვირიკეს მეჩეთის რეაბილიტაცია. აღნუსხული იქნა საქართველოში არსებული ოსმალური კულტურული ძეგლები, ჩატარდა საქართველოში არსებული გერმანული დასახლებებისა და გერმანული კულტურული მემკვიდრეობის სრული დოკუმენტირება და ინვენტარიზაცია.

2015-20 წლებში სახელმწიფო დაფინანსება მნიშვნელოვნად გაიზარდა ეთნიკური უმცირესობების კულტურის მოვლა-შენარჩუნება-პოპულარიზაციის მიმართულებით. ძირითადი აქცენტი გაკეთდა ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული დაწესებულებების დაფინანსებასა და მხარდაჭერაზე. დაფინანსების პრაქტიკა კი შემდეგნაირად გამოიყურება:

დაწესებულება	2015 წ.	2016 წ.	2017 წ.	2018 წ.	2019 წ.	2020 წ.
სსიპ დავით ბააზოვის სახელობის ქართველ ებრაელთა და ქართულ- ებრაულ ურთიერთობათა ისტორიის მუზეუმი	115000 ლარი	129000 ლარი	120000 ლარი	115000 ლარი	115000 ლარი	115000 ლარი
სსიპ მირზა- ფათალი ახუნდოვის სახელობის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმი	57250 ლარი	67441 ლარი	35000 ლარი	35000 ლარი	47000 ლარი	47000 ლარი
სსიპ სმირნოვების მუზეუმი	57500 ლარი	67150 ლარი	65000 ლარი	60000 ლარი	59000 ლარი	60000 ლარი
სსიპ თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი	440000	440000	396000	400000	400000	518800
სსიპ ჰეიდარ ალიევის სახელობის თბილისის აზერბაიჯანული პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი	160000 ლარი	160000 ლარი	220881 ლარი	215000 ლარი	175000 ლარი	182000 ლარი
სსიპ ალექსანდრე	1210000 ლარი	1210000 ლარი	1089000 ლარი	1900000 ლარი	1090000 ლარი	1240000 ლარი

გრიბოედოვის სახელობის რუსული პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი						
---	--	--	--	--	--	--

როგორც 2015-2020 წლების ანგარიშებიდან ირკვევა, სხვადასხვა პროექტის ფარგლებში მუზეუმებმა გამოსცეს წიგნები და პუბლიკაციები, გამართეს შემოქმედებითი საღამოები, გამოფენები, ფილმების ჩვენება, უმასპინძლეს კულტურის გამოჩენილ მოღვაწეებს, რაც ემსახურებოდა არა მხოლოდ ეთნიკური უმცირესობების კულტურის პოპულარიზაციას, არამედ კულტურათაშორის დიალოგსა და ტოლერანტობის განმტკიცებას. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა დავით ბაზოვის სახელობისა და სმირნოვების მუზეუმის ინვენტარიზაცია.

ასევე აღსანიშნავია, რომ ცხრილში მითითებული სამი სსიპ თეატრი სტაბილურად წარმოადგენს სპექტაკლებს და ეწევა აქტიურ შემოქმედებით საქმიანობას, თუმცა სპექტაკლებისა და პრემიერების რაოდენობით თუ ვიმსჯელებთ ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის რუსული თეატრის სპექტაკლების წლიური რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება სომხური და აზერბაიჯანული თეატრების სპექტაკლების რაოდენობას. მაგალითად, 2015-დან 2018 წლის ჩათვლის რუსული თეატრის წლიური სპექტაკლების და გასტროლების რაოდენობა აღემატება ას წარმოდგენას.

საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფების კულტურის მხარდაჭერას. კერძოდ, ვაინახური კულტურის პოპულარიზაციისა და კულტურული დიალოგის გაძლიერების მიზნით, სახელმწიფო მინისტრის აპარატის ჩართულობით 2016-2020 წლებში დაიგეგმა და გაიმართა „პანკისობა“, „ვაინახური კულტურის კვირეული“, რომლის ფარგლებში განხორციელდა მრავალფეროვანი პროგრამა - კონცერტი, საჯარო ლექციები, ქისტური ფოლკლორისა და ხელოვნების ნიმუშების გამოფენა, ვაინახურ თემაზე შექმნილი წიგნების პრეზენტაცია, პანკისის ხეობასა და პანკისელ ქისტ ქალებზე გადაღებული ვიდეორგოლების პრეზენტაცია, ქისტი პოეტების შემოქმედების გაცნობა, ბავშვთა თეატრის სპექტაკლი, სპორტული ღონისძიებები და სხვა. ოსურ ენაზე დაიდგა სპექტაკლები, მომზადდა თარგმანები და გამოიცა პუბლიკაციები.

2015 წელს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ლექსიკონთა ერთიან ბაზაში განთავსდა უკრაინულ-აფხაზურ-ქართული, რუსულ-ქართული, სომხურ-ქართული და ქართულ ოსური ლექსიკონები.

ამოცანა 4.2.1 ეთნიკურ უმცირესობათა მატერიალური და არამატერიალური კულტურული ფასეულობების დაცვა

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის თვალსაზრისით, ბოლო წლებში აღსანიშნავია ქ. თბილისის ნორაშენის სომხური ეკლესიის რეაბილიტაციის პროექტის მომზადება. 2018 წლისათვის კი, დასრულდა ტაძრის რეაბილიტაციის ეტაპი, ასევე ქ. ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კვირიკეს მეჩეთის რეაბილიტაცია, აღნუსხულ იქნა საქართველოში არსებული ოსმალური კულტურული ძეგლები, ჩატარდა ასევე საქართველოში არსებული გერმანული დასახლებებისა და გერმანული კულტურული მემკვიდრეობის სრული დოკუმენტირება და ინვენტარიზაცია, ინვენტარიზაციის შედეგად აღირიცხა 150-მდე ობიექტი თეთრიწყაროს, წალკის, მარნეულისა და დმანისის მუნიციპალიტეტებში, ასევე დიდუბის რაიონში. აღსანიშნავია, რომ 2016 წელს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა გერმანული კულტურული მემკვიდრეობის 40-მდე ობიექტს, მათ შორის წალკის მუნიციპალიტეტში, სოფელ თრიალეთში და სხვა. გერმანულ კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო სამენოვანი პუბლიკაციის მომზადება „გერმანულ კოლონისტთა არქიტექტურული მემკვიდრეობა საქართველოში“, რომლის თანადაფინანსებაში მონაწილეობა მიიღო გერმანიის ფედერალურმა რესპუბლიკამ.

აქვე აღსანიშნავია, რომ 2018 წელს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს - „ქართულ-ებრაულ 26-საუკუნოვან უნიკალური ურთიერთობის ტრადიციას“ განესაზღვრა ეროვნული მნიშვნელობის კატეგორია.⁸³

შუალედური მიზანი 4.3 კულტურული მრავალფეროვნების წახალისება

ამოცანა 4.3.1 კულტურათაშორისი დიალოგის განვითარება

2015-2020 წლებში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ განახორციელა ათობით დიდი თუ მცირე პროექტი კულტურული მრავალფეროვნებისა და კულტურათაშორისი დიალოგის განვითარებისათვის. გარდა ამისა, „კულტურის ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში, სამინისტროს მიერ გამოცხადებული კონკურსების გზით, დაფინანსდა სხვადასხვა სახის პროექტი, მათ შორის გამოიცა საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნოსის საზოგადო მოღვაწეთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი წიგნი-ალბომები, მოეწყო სხვადასხვა სახის გამოფენა, გაიმართა კონცერტები, საიუბილეო ღონისძიებები, სპექტაკლები და ა.შ. კონკურსების შედეგად განხორციელებული პროექტების რაოდენობა წლიდან წლამდე იზრდებოდა.

სამინისტროს მიერ დაფინანსებულ პროექტებს შორის აღსანიშნავია პროექტი „მრავალფეროვანი საქართველო“, რომელიც ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში (ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი და პანკისის ხეობა) ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა კულტურულ ცხოვრებაში ინტეგრირების, ახალგაზრდების ინფორმირებულობისა და სახელოვნებო განათლების ღონისძიებების, შემოქმედებითი უნარების განვითარების მიზნით, კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელებას ისახავდა მიზნად. აღნიშნული პროექტის ფარგლებში 2016-

⁸³ საქართველოს მთავრობის დადგენილება N163, 2018 წლის 5 აპრილი

2020 წლებში ყოველწლიურად იმართებოდა 200-ზე მეტი ღონისძიება/აქტივობა (20 000 - ზე მეტი ბენეფიციარი).

აღსანიშნავია, რომ 2015-2019 წლებში ტარდებოდა მულტიეთნიკური ხელოვნების ფესტივალი „ერთი ცის ქვეშ“, რომელიც 2009 წ. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და საქართველოს გაეროს ასოციაციის ფინანსური მხარდაჭერით დაფუძნდა. ფესტივალი წელიწადში ორჯერ იმართება საქართველოს სხვადასხვა ქალაქში (ქ. გორი, ქ. ბათუმი, ქ. ახალციხე, ქ. რუსთავი, ქ. თელავი, ქ. თბილისი, ქ. მარნეული, ქ. ლაგოდეხი), ჯამში 2015-2019 წლებში ჩატარდა 10 კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 2000-ზე მეტმა ახალგაზრდამ. ფესტივალს დიდი მნიშვნელობა აქვს კულტურათაშორისი დიალოგის განვითარებისა და ეთნიკური უმცირესობების კულტურულ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის თვალსაზრისით, აგრეთვე მათი კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება/განვითარებისა და ტოლერანტული გარემოს გაძლიერებისათვის.

უშუალოდ სამინისტროს გარდა, სხვადასხვა ცალკეულმა უწყებამ (სახელმწიფო რწმუნებულების ადმინისტრაციებმა, თვითმმართველობის ორგანოებმა, საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ) აქტიური მონაწილეობა მიიღო კულტურული ღონისძიებების მოწყობასა და განხორციელებაში. აღნიშნულმა უწყებებმა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატთან თანამშრომლობით კულტურათაშორისი დიალოგის გაღრმავებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით განახორციელა სხვადასხვა სახის პროექტი, რომლებიც მიმართული იყო კულტურული მრავალფეროვნების წარმოჩენასა და განვითარებაზე.

2015-2020 წლებში პარტნიორ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად ეროვნულ ბიბლიოთეკაში ჩატარდა 30-მდე ღონისძიება. მათ შორის იყო ფოტოგამოფენები, კონცერტები, წიგნების პრეზენტაციები. ზემოხსენებული ღონისძიებების მიზანი იყო საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების კულტურული მემკვიდრეობის, ხელოვნებისა და ტრადიციების პოპულარიზაცია, მათი კულტურულ სივრცეში ინტეგრაცია. ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში ყოველწლიურად ტარდებოდა კულტურული სახის ღონისძიებები, რომლებშიც ჩართულნი იყვნენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები. ფართომასშტაბიანი ფორმატით ტარდებოდა ისეთი ღონისძიებები როგორებიცაა: „ხაზ ნისანი“, „ნოვრუზ ბაირამი“, „გარისობა“, „ტოლერანტობის დღე“, ფესტივალი „ერთიანი კავკასია“, ნახატების გამოფენები, სახალხო დღესასწაულები („გარდაზნობა“, „ქოსალარობა“, „ავასობა“, „რუსთავექალაქობა“). ამასთანავე, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ სხვადასხვა ეროვნულ დღესასწაულშიც.

2015-2019 წლებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა ჩატარა ტოლერანტობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეულები, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა მრავალფეროვანი პროგრამა: ჩატარდა ლექცია/სემინარები სტუდენტ-ახალგაზრდებთან, მოსწავლეებთან; ფოტო და მედიაკონკურსები; პროექტის „გაიცანი მრავალფეროვანი

საქართველო“ ფარგლებში მომზადდა ვიდეოკლიპები, რომლის მიზანიც იყო საქართველოში მცხოვრები წარმატებული ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების წარმოჩენა.

აღსანიშნავია, რომ 2018 წელს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივითა და ორგანიზებით, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარაჯალაში, დემოკრატიული გზით არჩეული პირველი მუსლიმი ქალის - ფარი-ხანუმ სოფიევას მემორიალი გაიხსნა.

შეჯამების სახით პოზიტიურად უნდა შეფასდეს საქართველოს კულტურის პოლიტიკის სტრატეგიის შემუშავება, რომელშიც პრიორიტეტული მიმართულებად გათვალისწინებულია ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული მემკვიდრეობის დაცვა. მისასალმებელია, რომ კულტურის სფეროში დიდწილად გრძელდებოდა უკვე ტრადიციად ქცეული პრაქტიკა, რაც ითვალისწინებს საბიუჯეტო სახსრების გამოყოფას სახელმწიფოს ბალანსზე მყოფი მსხვილი კულტურული დაწესებულებების მხარდასაჭერად, რაც თავისთავად პოზიტიური მოვლენაა. თუმცა, აღნიშნულის ფონზე ნაკლები ყურადღება ექცევა საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვას და ნაკლებად ცნობილი, გაქრობის საფრთხის ქვეშ მყოფი ისეთი კულტურული ჯგუფების პოპულარიზაციას და მათი კულტურული საჭიროებების დაკმაყოფილებას და წახალისებას, როგორცაა ასირიელების, უდების, ხუნძებისა და სხვადასხვა კულტურული მემკვიდრეობა. ასევე, მნიშვნელოვანია აქტიური საქმიანობის გაგრძელება საქართველოში არსებულ ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენის, შესწავლისა და პოპულარიზაციის მიმართულებით. ამავდროულად, 2015 -2020 წლებში განხორციელებულმა ღონისძიებებმა ცხადყო, რომ მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს კულტურათაშორისი დიალოგის განვითარებასა და ტოლერანტული გარემოს განმტკიცებას საგანმანათლებლო მექანიზმების აქტიური ამოქმედების საშუალებით⁸⁴.

რეკომენდაციები

სტრატეგიული მიზანი - თანაბარი და სრულფასოვანი მონაწილეობა სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში

შუალედური მიზანი- მცირერიცხოვან და მოწყვლად ეთნიკურ უმცირესობათა მხარდაჭერა

- გაგრძელდეს მცირერიცხოვანი უმცირესობების ენების სწავლება. შესაბამისად, განხორციელდეს პროგრამები, რაც ხელს შეუწყობს ამ ენების სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლებას; ხელი შეეწყოს მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების ენების სწავლების გაძლიერებას დამატებითი რესურსების

⁸⁴Third Opinion on Georgia, adopted on 7 March 2019, Advisory Committee on the Framework Convention for the Protection of National Minorities, p. 17, <https://rm.coe.int/3rd-op-georgia-en/1680969b56>

მომზადების საშუალებით;

- უზრუნველყოფილ იქნეს ქურთული ენის პედაგოგის მოძიება რომ მოხდეს ქურთული ენის სწავლების დანერგვა ქ. თბილისის 179-ე საჯარო სკოლაში;
- დადგინდეს ბოშათა რაოდენობა;
- გაგრძელდეს ბოშა მოსახლეობის რეგისტრაციის პროცესი;
- გამოვლინდეს ბოშათა თემის საჭიროებები და შემუშავდეს მათი სოციალურ-ეკონომიკური რუკები;
- განხორციელდეს აქტიური საინფორმაციო კამპანია ბოშა მოსახლეობისთვის სახელმწიფო პროგრამებისა და სერვისების შესახებ.

შუალედური მიზანი- გენდერული მეინსტრიმინგი

- ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში გაგრძელდეს ინტენსიური საინფორმაციო/ცნობიერების ამაღლების კამპანიის წარმართვა გენდერული თანასწორობის, ქალთა უფლებების, ადრეული ქორწინების, ოჯახური ძალადობის, ტრეფიკინგის საკითხებზე;
- ქალთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მიზნით განხორციელდეს სასწავლო სემინარები და ტრენინგები;
- ქალებისთვის წარმართოს საინფორმაციო კამპანია სახელმწიფოს სოციალურ პროგრამებსა და სერვისებზე.

შუალედური მიზანი - სახელმწიფო ადმინისტრირების, სამართალდამცავი ორგანოებისა და მექანიზმების ხელმისაწვდომობის გაზრდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის

- ადგილობრივ თვითმმართველობებში, საჭიროებისამებრ, უზრუნველყოფილ იქნეს ეთნიკური უმცირესობების ენებზე დოკუმენტაციასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა;
- ხელი შეეწყოს ეთნიკურ უმცირესობათა ინფორმირებას სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობის შესახებ.

შუალედური მიზანი - ეთნიკურ უმცირესობათა მონაწილეობის წახალისება პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში

- ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის გაზრდის მიზნით მეტად ინტენსიური გახდეს ქვემო ქართლისა და კახეთის მხარეებში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციებში საზოგადოებრივ-საკონსულტაციო საბჭოების საქმიანობა. ანალოგიური საკონსულტაციო საბჭო ჩამოყალიბდეს სამცხე-ჯავახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციაში, ასევე შეიქმნას მუნიციპალურ დონეზე ანალოგიური საკონსულტაციო საბჭოები უფრო ფართო მონაწილეობით;
- განხორციელდეს საჯარო სამსახურში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ

„ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის“ („1+4“ პროგრამა) ბენეფიციართათვის არსებული სტაჟირების პროგრამის კვლევა მისი განვითარების მიზნით, მომზადდეს რეკომენდაციები;

- გაგრძელდეს იმ ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც უზრუნველყოფს არჩევნებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ინფორმირებას მათი თანაბარი და სრულფასოვანი მონაწილეობის მიზნით;
- დაწყებულ იქნეს ექსპერტული მსჯელობა იმ სამართლებრივი და საკანონმდებლო ხარვეზების გამოვლენის მიზნით, რომლებიც ხელს უშლის ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლების ეფექტურ ჩართულობას პოლიტიკურ ცხოვრებაში;
- დაიგეგმოს ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები პოლიტიკური პარტიებისთვის, რათა მათ სათანადო ყურადღება დაუთმონ ეთნიკურ უმცირესობათა სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებს თავიანთ საქმიანობაში;
- მოწვეულ იქნენ საერთაშორისო ექსპერტები (განსაკუთრებით ევროსაბჭოსა და ეუთოს ეგიდით) ეთნიკურ უმცირესობათა პოლიტიკური და სამოქალაქო ჩართულობის თვალსაზრისით გამოცდილების გაზიარების მიზნით.

შუალედური მიზანი - ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებისთვის მასმედიასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

- გაგრძელდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამული პრიორიტეტის განხორციელება, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ინფორმირებას მათ მშობლიურ ენაზე, ასევე უმცირესობების შესახებ საქართველოს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას;
- ხელი შეეწყოს რეგიონული მედიების განვითარებას ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ მუნიციპალიტეტებში;
- დაიგეგმოს და განხორციელდეს ჟურნალისტებისა და მედიანინსტიტუტების წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლება კულტურული მრავალფეროვნების საკითხებში;
- გაგრძელდეს არაქართულენოვანი ბეჭდვითი მედიის ხელშეწყობა.

შუალედური მიზანი - ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის უზრუნველყოფა

- დაიგეგმოს საინფორმაციო კამპანია და სემინარების სერია სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებისათვის (როგორც ადგილობრივ დონეზე, ისე ცენტრალურ სახელისუფლებო სტრუქტურებში) ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების და მათი საჭიროებების შესახებ;
- გაგრძელდეს საჯარო ლექციები და სემინარები საჯარო სკოლების მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების შესახებ;
- ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის გაგრძელდეს ინფორმაციის მიწოდება ადამიანის უფლებათა დაცვის, კერძოდ ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების, საერთაშორისო მექანიზმების შესახებ.

სტრატეგიული მიზანი - თანაბარი სოციალური და ეკონომიკური პირობებისა და შესაძლებლობების შექმნა

შუალედური მიზანი- სოციალური და რეგიონული მობილობის ხელშეწყობა

- შემუშავდეს და განხორციელდეს საჭიროებებზე დაფუძნებული ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას;
- გაგრძელდეს საინფორმაციო/ცნობიერების ამაღლების კამპანიის წარმართვა ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ჯანდაცვის, სოფლის მეურნეობის, ადგილობრივი ინფრასტრუქტურის, გარემოს დაცვის სახელმწიფო პროგრამების შესახებ;
- ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ მუნიციპალიტეტებსა და რეგიონებში სოციალ-ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების დროს უზრუნველყოფილ იქნეს ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა;
- ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის გაგრძელდეს სრული ინფორმაციის მიწოდება საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესისა და პერსპექტივების შესახებ. მომზადდეს და გავრცელდეს შესაბამისი მასალები ეთნიკური უმცირესობების ენებზე;
- განხორციელდეს სასწავლო ვიზიტები ქ. ბრიუსელში ისეთი სამიზნე ჯგუფებისთვის, როგორცაა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მასწავლებლები, ჟურნალისტები, ახალგაზრდები, მათი ევროპული კულტურის, ფასეულობების, საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური პერსპექტივების უკეთ გაცნობის მიზნით.

სტრატეგიული მიზანი - ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესება

შუალედური მიზანი - სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის

- ამუშავდეს სასკოლო მზაობის პროგრამა ყველა არაქართულენოვან სკოლაში შესაბამისი ენობრივი განათლების ალტერნატიული მოდელებით;
- გაიხსნას სკოლასთან სკოლამდელი დაწესებულებები და მოეწყოს შესაბამისი ინფრასტრუქტურა;
- ხელი შეეწყოს სკოლამდელი განათლების ალტერნატიული მოდელების შემუშავებასა და განხორციელებას შესაბამისი ენობრივი პროგრამებით;
- მოხდეს პილოტირება და დაინერგოს სკოლამდელი განათლების ექსპერიმენტული მულტილინგვური პროგრამები;

- განხორციელდეს სკოლამდელი განათლების დაწესებულებისა და სასკოლო მზაობის პროგრამის მასწავლებელთა და ადმინისტრაციის პროფესიული განვითარება, გაიზარდოს სასწავლო რესურსებზე ხელმისაწვდომობა;
- შემუშავდეს ადგილობრივი თვითმმართველობის ჩართულობისა და თანამშრომლობის მექანიზმები;
- წახალისდეს სკოლამდელი დაწესებულებების პედაგოგთა და აღმზრდელთა მომზადება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და პროფესიულ სასწავლებლებში;
- მოიხსნას ბიუროკრატიული მექანიზმები ალტერნატიული პროგრამების განხორციელებისთვის;
- წახალისდეს და მხარი დაეჭიროს მულტილინგვური პროგრამების განმახორციელებელ სკოლამდელ დაწესებულებებს;
- განხორციელდეს ღონისძიებები სკოლამდელი დაწესებულებების მუნიციპალური სააგენტოების თანამშრომელთა პროფესიული განვითარებისთვის სკოლამდელ საფეხურზე მულტილინგვური განათლების პროგრამების განხორციელების შესახებ;
- შეიქმნას სასწავლო რესურსები სკოლამდელ საფეხურზე არსებული სტანდარტის მისაღწევად და ენობრივი კომპეტენციების განსავითარებლად;
- შეიქმნას ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების მასწავლებლის სტანდარტი სკოლამდელ საფეხურზე და სტანდარტის შესაბამისად მომზადდნენ და გადაამზადდნენ მასწავლებლები.

შუალედური მიზანი - ხარისხიანი ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა როგორც სახელმწიფო, ისე მშობლიურ ენებზე

ამოცანა: ეროვნული სასწავლო გეგმისა და საგანმანათლებლო რესურსების გაუმჯობესება-განვითარება ხარისხიანი ორენოვანი განათლების დანერგვის ხელშესაწყობად

- შემუშავდეს მშობლიური ენის სასწავლო გეგმა და პროგრამები: კომპაქტური განსახლების რეგიონებში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების მშობლიური ენის სასწავლო გეგმა საბაზისო და საშუალო საფეხურზე აისახოს ეროვნულ სასწავლო გეგმაში და შემუშავდეს შესაბამისი პროგრამები;
- შემუშავდეს მცირერიცხოვანი ლინგვისტური ჯგუფების მშობლიური ენის საბაზისო და საშუალო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმა და პროგრამები;
- მოხდეს ექსპერიმენტული სასწავლო გეგმების შემუშავების შესაძლებლობის სამართლებრივი უზრუნველყოფა: (ა) განხორციელდეს საპილოტე მულტილინგვური განათლების პროგრამები ექსპერიმენტული პროგრამების ფორმატში და ამუშავდეს შესაბამისი მექანიზმები; (ბ) შემუშავდეს ექსპერიმენტული პროგრამები სკოლებისთვის სხვადასხვა მოდელსა და კონტექსტზე დაყრდნობით და შეეთავაზოს არჩევანი სკოლებს; (გ) განისაზღვროს გამიჯნული მულტილინგვური განათლების მოდელი და მის განსახორციელებლად ამუშავდეს შესაბამისი ინსტრუმენტები;

- შემუშავდეს მშობლიური ენის სახელმძღვანელოები კომპაქტური განსახლების რეგიონების არაქართულენოვანი სკოლებისთვის: ა) გამომცემლობების მიერ გრიფირების პროცედურით; ბ) მიზნობრივი პროგრამით უმაღლესი სასწავლებლების სპეციალისტებისა და მოქმედი მასწავლებლების თანამშრომლობით; გ) სომხეთისა და აზერბაიჯანის განათლების სამინისტროსთან და მათ ავტორებთან თანამშრომლობით მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში;
- მომზადდეს მშობლიური ენის სახელმძღვანელოები მცირე ეთნიკური ჯგუფებისთვის: ა) მოხდეს არსებული სასწავლო რესურსების იდენტიფიცირება და სარეკომენდაციო სასწავლო რესურსების ნუსხის შემუშავება; ბ) ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებით შემუშავდეს მიზნობრივი სახელმძღვანელოები; გ) დონორი და პარტნიორი ორგანიზაციების დახმარებით განხორციელდეს მიზნობრივი პროექტები;
- შემუშავდეს სასკოლო სახელმძღვანელოების ალტერნატიული მოდელები და განხორციელდეს მესამე თაობის სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული სახელმძღვანელოები კომპაქტური განსახლების რეგიონების არაქართულენოვანი სკოლებისთვის: ა) მოხდეს ქართულ და მშობლიურ ენებზე სახელმძღვანელოების ერთობლივი გამოყენება; ბ) ითარგმნოს სახელმძღვანელოები და მიეწოდოს თემატური გაკვეთილები ქართულ ენაზეც;
- უმოკლეს ვადაში შეიქმნას ქართულის, როგორც მეორე ენის სახელმძღვანელოები ახალი სასწავლო გეგმიდან და ენობრივი კონცეფციიდან გამომდინარე სპეციალური პროგრამის ფარგლებში და უზრუნველყოფილი იქნეს სკოლები ამ სახელმძღვანელოებით;
- განხორციელდეს არაქართულენოვანი სკოლების დამატებითი სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა სპეციალური პროგრამის ფარგლებში (დამატებითი ლიტერატურა კითხვის უნარების განსავითარებლად; ვიზუალური მასალა და ა. შ.);
- შეიქმნას სახელმძღვანელოების თარგმნის მექანიზმები და ამუშავდეს თარგმანის ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმები.

ამოცანა: არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა

- განხორციელდეს პროგრამები მასწავლებელთათვის სახელმწიფო ენის სწავლების უზრუნველსაყოფად. ამუშავდეს მასწავლებელთა სახელმწიფო ენის სწავლებისა და შეფასების მექანიზმები;
- უზრუნველყოფილი იქნეს მშობლიური ენის მასწავლებელთა ჩართულობა პროფესიულ განვითარებაში. შეთავაზებული იქნეს მშობლიური ენის მასწავლებელთათვის შეფასებისა და პროფესიული განვითარების ალტერნატიული მოდელი (პრაქტიკოსიდან უფროსი მასწავლებლის კატეგორიაზე გადასვლის

საფეხურისთვის შეთავაზებული იქნეს გამოცდის ალტერნატივები, მათ შორის მცირე ეთნიკური ჯგუფების მასწავლებელთათვის);

- უზრუნველყოფილი იქნეს დაწყებითი კლასების მასწავლებელთა ჩართულობის პროფესიულ განვითარებაში. შემუშავდეს დაწყებითი კლასის მასწავლებელთათვის შეფასებისა და პროფესიული განვითარების ალტერნატიული მოდელი (მშობლიური ენის საგნობრივი გამოცდის ალტერნატიული მოდელები);
- გაძლიერდეს მშობლიურ ენაზე პროფესიული განვითარების შესაძლებლობები. გაძლიერდეს არსებული პროგრამები, ამუშავდეს მოქმედი მასწავლებლების პროფესიული განვითარების მექანიზმები მშობლიურ ენაზე (ახალი მიზნობრივი პროგრამების მასწავლებელთა სახლის მიერ, კერძო პროვაიდერების აუთსორსინგი);
- შეიქმნას და ამუშავდეს ენისა და საგნის (მულტილინგვური სწავლების) პროგრამაში ჩართული მასწავლებლების სერტიფიცირების მექანიზმები. ამუშავდეს ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლებისთვის მოქმედი მასწავლებლების სერტიფიცირების მექანიზმები; შეიქმნას მათი პროფესიული განვითარებისა და წახალისების სისტემა: (ა) წარმოდგენილ იქნას სატრენინგო პროგრამა და გაკვეთილის გეგმა და პორტფელი; ბ) დადასტურდეს ენობრივი კომპეტენცია; გ) განისაზღვროს მასწავლებელთა ხელფასის ფორმირების წესში ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლებისთვის შესაბამისი კოეფიციენტი; დ) ამუშავდეს სკოლებისთვის პრემიებისა და დანამატების სისტემა გაზრდილი ვაუჩერიდან;
- განხორციელდეს არსებული პროგრამების მოდიფიცირება და ბილინგვური განათლების რეფორმაზე მორგება. მოხდეს სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის „არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის“ პროგრამის მოდიფიცირება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული ექსპერიმენტული ბილინგვური განათლების ახალი მოდელის შესაბამისად;
- აისახოს მულტილინგვური განათლების პროგრამებში ჩართული მასწავლებლების საქმიანობა სქემების აქტივობებში. აისახოს ექსპერიმენტული ბილინგვური განათლების ახალ მოდელში ჩართული მასწავლებლების საქმიანობა მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის სქემაში;
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების აკრედიტაციის დებულებაში აისახოს მულტიკულტურული განათლების სტრატეგიების გამოყენების მოთხოვნები. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის დებულებაში მულტიკულტურული სტრატეგიების ასახვის ვალდებულების შესაბამისი მექანიზმები;
- ხელი შეეწყოს მასწავლებელთა ინტერკულტურული მგრძობელობის გაზრდისა და საკლასო აქტივობებში მულტიკულტურული განათლების სტრატეგიების გამოყენებას. განვითარდეს მასწავლებელთათვის მულტიკულტურული მგრძობელობა და შეიქმნას კლასში შესაბამისი სტრატეგიების გამოყენების შესაძლებლობები პროფესიული განვითარების შესაძლებლობების გზით (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი ან აუთსორსინგი);

ამოცანა: არაქართულენოვან სკოლებში მიმდინარე განათლების რეფორმის ხელშეწყობა

მომავალ მასწავლებელთა მომზადება

- შეიქმნას პროფესიაში შესვლის გამჭვირვალე, მერიტოკრატული და დეცენტრალიზებული სისტემა;
- შეიქმნას და ამუშავდეს პროფესიიდან გასვლის ინსტრუმენტები პრაქტიკოსი მასწავლებლებისთვის, ვინც ვერ დააკმაყოფილებს სერტიფიცირების ან სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ სხვა მოთხოვნებს;
- განისაზღვროს და აისახოს ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების მასწავლებლისათვის შესაბამისი სახელფასო კოეფიციენტი და აღნიშნული აისახოს მასწავლებლის ხელფასის ფორმირების წესში;
- მოხდეს მასწავლებელთა განათლების, როგორც სახელმწიფოს მიერ პრიორიტეტულად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის, სახელმწიფოს მიერ, დაფინანსების გავრცელება საშეღავათო სისტემით ჩარიცხულ სტუდენტებზე;
- ხელი შეეწყოს და წახალისდეს საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში სომხურისა და აზერბაიჯანულის, როგორც მშობლიური ენის მომავალ მასწავლებელთა მომზადების პროგრამების ამუშავებას;
- ხელი შეეწყოს/წახალისდეს უმაღლეს სასწავლებლებში მეორე ენის, მშობლიური ენის, საგნობრივი ბილინგვური მასწავლებლების მომზადება;

სკოლის ხელმძღვანელთა გაძლიერება

- ამაღლდეს სკოლის დირექტორთა კვალიფიკაცია რელიგიური და კულტურული თვალსაზრისით ნეიტრალური სასკოლო გარემოს შექმნის შესახებ;
- სკოლის დირექტორის სტანდარტში აისახოს მოთხოვნა სკოლის დირექტორის მიერ მრავალფეროვნების მართვის, ინტერკულტურული და ინტერრელიგიური განათლების ცოდნის ფლობის შესახებ;
- უზრუნველყოფილ იქნეს სკოლის დირექტორების მრავალფეროვნების მართვის უნარების განვითარება;
- უზრუნველყოფილ იქნეს არაქართულენოვანი სკოლის დირექტორების სახელმწიფო ენის სწავლება;
- უზრუნველყოფილ იქნეს არაქართულენოვანი სკოლის დირექტორების პროფესიული განვითარება.

სასკოლო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა

- შემუშავდეს პოლიტიკა სასკოლო გარემოს გასათავისუფლებლად ინდოქტრინაციისა და პროზელიტიზმისაგან;

- პროგრამაში „არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერა“ ამალღდეს სამოქალაქო ცნობიერება და გაძლიერდეს ინტერკულტურული დიალოგის წარმართვაზე ორიენტირებული კომპონენტები და მასში მეტად ჩაერთოს ქართულენოვანი სასკოლო საზოგადოება;
- შემუშავდეს შესაბამისი ნორმატიული ბაზა, რათა სკოლებმა დამოუკიდებლად მიიღონ სასკოლო კალენდრის დაგეგმვის გადაწყვეტილება მოსწავლეთა კონტინგენტის რელიგიური და კულტურული ფაქტორების გათვალისწინებით;
- შემუშავდეს არადისკრიმინაციული სასკოლო გარემოს მოთხოვნები სკოლების შეფასებისა და ავტორიზაციის პროცესისთვის.

შუალედური მიზანი - უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის ზრდა

- სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული უმაღლესი განათლების ყველა პრიორიტეტულ მიმართულებაზე, რომლებიც ფინანსდება სახელმწიფოს მიერ გავრცელდეს დაფინანსება, მათ შორის საშეღავათო სისტემით ჩარიცხულ სტუდენტებზეც;
- შეიქმნას ქართული ენის შეფასების ინსტრუმენტი;
- შეფასების ინსტრუმენტზე დაყრდნობით განხორციელდეს ქართული ენის ერთწლიანი პროგრამის მოდიფიცირება სტუდენტთა საჭიროებებიდან გამომდინარე;
- საშეღავათო პოლიტიკა გავრცელდეს რუსულენოვან კურსდამთავრებულებზეც მკაცრად რეგულირებული სისტემითა და შეზღუდული კვოტების რაოდენობით;
- საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში წახალისდეს მცირე ეთნიკური ჯგუფების მშობლიური ენის კვლევის, განვითარებისა და სწავლების სამეცნიერო და სასწავლო მიმართულებები;
- საშეღავათო პროგრამაზე სტუდენტებისთვის კონკრეტულ პროგრამებზე წინაპირობების წაყენების პრაქტიკა შეიცვალოს მათი მხარდაჭერის ინსტრუმენტებით;
- შემუშავდეს უნივერსიტეტების მიერ ეფექტიანი საინტეგრაციო პოლიტიკა, რომელიც გაითვალისწინებს კვოტირების სისტემით ჩარიცხულ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფისა და უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის შედეგად უცხოელ სტუდენტთა ინტეგრაციასთან დაკავშირებით არსებულ პრობლემებს და ხელს შეუწყობს მათ აღმოფხვრას. შემუშავდეს და უმაღლესი სასწავლებლების მიერ განხორციელდეს საუნივერსიტეტო მრავალფეროვნების სტრატეგია და სამუშაო გეგმა.

შუალედური მიზანი - პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის ზრდა

- პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობა გაიზარდოს ჩარიცხვის სისტემის მოდიფიცირებით;
- პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობა გაიზარდოს რეგიონული პროფესიული საგანმანათლებლო ქსელის გაფართოების გზით;
- უზრუნველყოფილი იქნეს, კვლევის საფუძველზე, ბაზრის მოთხოვნებისა და უმცირესობათა საჭიროებებიდან გამომდინარე შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზება;
- განხორციელდეს პროფესიული განათლების პროგრამების დივერსიფიცირება და მოკლევადიანი კურსების შეთავაზება.

შუალედური მიზანი -ზრდასრულთა განათლების ხელმისაწვდომობა და ხარისხის ზრდა

- ზრდასრულთა განათლების პროგრამებისთვის შეიქმნას შესაბამისი საფინანსო, ადმინისტრაციული და სამართლებრივი მექანიზმები;
- შეიქმნას და ამოქმედდეს ზრდასრულთა განათლების პროგრამების ხარისხის შეფასების ეფექტური მექანიზმები;
- მოხდეს ზრდასრული მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფებისა და მათი საჭიროებების იდენტიფიცირება და ხელი შეეწყოს შესაბამისი ზრდასრულთა განათლების პროგრამების განხორციელებას;
- ზრდასრულთა განათლების პროგრამებში გაიზარდოს ადგილობრივი ხელისუფლების როლი, როგორც რესურსების მობილიზების, აგრეთვე საჭიროებების განსაზღვრის პროცესში;
- სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის პროგრამები საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების მიმართულებით მოერგოს არსებულ საჭიროებებს.

არაფორმალური განათლების წახალისება

- დაიხვეწოს არაფორმალური განათლების აღიარების მექანიზმები;
- მაქსიმალურად მოიხსნას ბიუროკრატიული და ადმინისტრაციული მექანიზმები იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლების ყველა საფეხურზე პრინციპების მაქსიმალურად ამოქმედება, განსაკუთრებით სკოლის მიტოვების გავრცელებული პრაქტიკის გასაწინააღმდეგებლად და განათლების მეორე შესაძლებლობისთვის.

პროგრამები და პროექტები

- ეთნიკურ უმცირესობათა მოსწავლეებისგან დაკომპლექტებულ ქართულენოვან სექტორებზე განხორციელდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და ამ მოსწავლეთა მხარდაჭერის პროგრამების ფორმირება;
- შერეული ეთნიკური შემადგენლობის კლასებში შემუშავდეს ქართულენოვანი სწავლების სკოლებში მრავალფეროვნების მართვისა და ენობრივი მხარდაჭერის მექანიზმები და პროგრამები;
- შემუშავდეს სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებასა და ინტერკულტურული დიალოგის წარმართვაზე ორიენტირებული ინიციატივების ხელშეწყობის მექანიზმები;
- შემუშავდეს საკვირაო სკოლების მხარდაჭერი ინსტრუმენტები;
- შემუშავდეს პროგრამა, რომელიც მხარს დაუჭერს კულტურულ თვითმყოფადობის წარმოჩენაზე ორიენტირებული ინიციატივების განხორციელებას;
- ამაღლდეს ეთნიკური უმრავლესობის წარმომადგენელთა სამოქალაქო ცნობიერება და ხელი შეეწყოს ტოლერანტული კულტურის დამკვიდრებას;
- სასკოლო გაცვლითი პროგრამების განსახორციელებლად მოხდეს სამართლებრივი,

ადმინისტრაციული და ფინანსური უზრუნველყოფა, მათ შორის მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის სქემაში ასახვა;

- ხელი შეეწყოს ქართულ და არაქართულენოვან სკოლებს შორის სკოლათა განვითარებაზე ორიენტირებულ პარტნიორობას და ამუშავდეს წამახალისებელი მექანიზმები;
- ხელი შეეწყოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სოციალურ და სამოქალაქო აქტივობებს. მხარი დაეჭიროს საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებას თუ კლუბების/წრეების შექმნას;
- მშობელთა და თემის ჩართულობის ხელშეწყობის პროგრამების განსახორციელებლად შეიქმნას ადმინისტრაციული და ფინანსური მექანიზმები;
- „საზაფხულო ჩავარდნების“ გასაწვრივებად შეიქმნას შესაბამისი პროგრამების ადმინისტრაციული, სამართლებრივი და ფინანსური მექანიზმები.

შონიტორინგისა და ადმინისტრირების მექანიზმები

- შეიქმნას პოლიტიკის დოკუმენტის განხორციელების მონიტორინგის სისტემა და მოხდეს მისი სამართლებრივი, ადმინისტრაციული და ფინანსური უზრუნველყოფა;
- შეიქმნას პოლიტიკის განხორციელების შეფასების სამართლებრივი, ადმინისტრაციული და ფინანსური მექანიზმები რაოდენობრივი და ხარისხობრივი მეთოდების გამოყენებით;
- შეიქმნას პოლიტიკის განხორციელებისთვის შესაბამისი პასუხისმგებელი ადმინისტრაციული მაკოორდინირებელი სისტემა.

დაფინანსების მექანიზმები

- განხორციელდეს ცვლილებები ერთ მოსწავლეზე გათვლილ ნორმატივში და აისახოს მულტილინგვური განათლების დაფინანსება: ა) შესაძლებელია დაემატოს კოეფიციენტი; ბ) შესაძლებელია, განისაზღვროს იმ მოსწავლეების რაოდენობის მიხედვით დამატებითი თანხა, როგორც ეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების შემთხვევაშია გათვალისწინებული;
- ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტებში მოხდეს სკოლამდელი განათლების დაფინანსებაში პოლიტიკის დოკუმენტის მიმართულებების შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფა;
- ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტებში ზრდასრულთა განათლების დაფინანსებაში განხორციელდეს პოლიტიკის დოკუმენტის მიმართულებების შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფა;
- სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების საბიუჯეტო პროგრამაში გათვალისწინებულ იქნეს დაფინანსების 10%-ის დამატება კვოტირების შედეგად ჩარიცხული სტუდენტებისთვის;
- განხორციელდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის შესაბამისი პროგრამების ბიუჯეტების კორექტირება სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესაბამისად;
- რეფორმების განხორციელების ეფექტურობის შეფასებისთვის ჩატარდეს საბაზისო და მომდევნო კვლევები;

- პოლიტიკის სხვადასხვა მიმართულებით დამატებითი და მნიშვნელოვანი პროგრამებისა და პროექტების განსახორციელებლად გაძლიერდეს თანამშრომლობა ადგილობრივ არასამთავრობო, საერთაშორისო, დონორ ორგანიზაციებთან და შეიქმნას მათი ჩართულობის მუდმივად განახლებადი მატრიცა.

სტრატეგიული მიზანი - ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის შენარჩუნება და ტოლერანტული გარემოს წახალისება

- გაგრძელდეს ეთნიკური უმცირესობების თეატრების, მუზეუმების, კულტურის ცენტრების მხარდაჭერა;
- დაიგეგმოს და განხორციელდეს პროგრამები და ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს კულტურათაშორის დიალოგს და ტოლერანტული გარემოს გაძლიერებას;
- კულტურული პროექტების განხორციელების დროს გათვალისწინებულ იქნეს ყველაზე მოწყვლადი ეთნიკური ჯგუფების კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და განვითარების საკითხი.

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის კოორდინირების პროცესი

- პირდაპირი დიალოგის ფორმატით დაიგეგმოს და გაიმართოს უწყებათაშორისი კომისიის გასვლითი სხდომები /შეხვედრები რეგიონებში;
- გააქტიურდეს უწყებათაშორისი კომისიის ფარგლებში არსებული თემატური ჯგუფების საქმიანობა;
- გაგრძელდეს კომუნიკაცია/თანამშრომლობა სახალხო დამცველის აპარატთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა საბჭოსთან;
- რეგულარულად გაიმართოს შეხვედრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან რეგიონებში;
- სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის ფარგლებში დაიგეგმოს და განხორციელდეს სასწავლო ვიზიტები სამოქალაქო ინტეგრაციისა და კულტურული მრავალფეროვნების შესახებ ევროპული გამოცდილების გასაცნობად;
- მოხდეს სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების ფინანსური უზრუნველყოფა შესაბამისი მიმართულებების განსახორციელებლად და გათვალისწინებულ იქნეს შემდგომი წლების სახელმწიფო ბიუჯეტში შესაბამისი ასიგნებები.